

XIII

## კარი მეცამეტე

# ქუჩუკ
# ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთ-ხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი".

---

გამოცემა მეორე.

გამოცემული დ. ა. ლაზარევის-მიერ.

---

ტფილისი.
განყოფ. „პროგრესის" სტამბისა, სასახლის ქ., სათ.-აზნ. სახლი.
1910.

# XIII

## კარი მეცამეტე

# ქუჩუკ ყარამანიანი

---

ესენი ამ ამბავში დაუტეოთ და ასლა დაიწყობა უკვე დიდი ამბავი.

რა რომ ესეთი სასიამოვნო ამბავი ქუჩუკმა, ნარიმანმა და ბანოვანთა მოისმინეს, დიდად ისიამოვნეს, მაშინვე უცხო ფეშქაშები გაუგზავნეს და მიულოცეს. აგრეთვე ეს ოთხნივ გმირნი ფალევნები თავიანთის შვილებით დაიბარეს. ამაში გავიდა რამდონიმე ხანი რომ ყოველს ფეშქაშები მიუვიდათ და მოკითხვის კაცნი ამასთან მოვიდნენ. დიდის თხოვნით მოიწვიეს თავაანთის შვილებით. რა ესე წიგნები გაშინჯა მაშინვე ყოვლიბანი დიდის სამზადისით და უცხო ფეშქაშებით წამოვიდა და თავისი შვილი უცხო სახელმწიფო ტანისამოსით შემოსა და დიდის მძლავრი ჯარით წამოვიდა უშანგბათში, არდევან შაჰასთან რომ მოახლოვდა, მაშინათვე თავისი მოსვლა შვილის იუმილის ხელმწიფეს აცნობა. რა არდევან შაჰამ მოისმინა, ქუჩუკმა და ნარიმანმა მაშინვე წინ მიეგებნენ, ერთმანერთი იხილეს მაშინვე წინ მიეგებნენ და ცხენებიდამ გარდმოხტნენ,

რა ყოვლიბიანმა არდევან შაჰა დაინახა, საჩქაროთ ცხენიდამ გადახტა და გვერდითაც თავისი შვილი ახალი ფალევანი ბეგზად შაჰას უბძანა: „შვილო აგერ ჩვენი დიდი ხელმწიფე არდევან შაჰ და საპეირანი, ქუჩუკი და ნარიმან ხელმწიფე მობძანდებიანო რასწამს დაუახლოვდე, მაშინვე პირდამხობით გაექანე და მუხლთა აკოცეო, აგრეთვე ნარიმანსა და ქუჩუკ ყარამანსაო“. ამ დროს არდევან შაჰამ შახედა ნახა რომ ყოვლიბანის უკან ერთი მშვენიერი და საფალევნოთ შექმნილი ახალი ფალევანი მოდის იმისთანა რომ

იმისსა მრისხანებასა შვიდ თავიანი ვეშაპი ვერ გაუძლებდა. რა მოასლოვდა ყოვლიბანი გაექანა და ხელმწიფე არდევან შაჰას კალთას აკოცა, მაშინ არდევან შაჰამ ხელი სტაცა ააყენა და ორსავე თვალებში აკოცა და აგრეთვე ამ სამთა ხელმწიფეთა არდევან შაჰას, ნარიმანს, და სააბყირანს, ამ ყმაწვილზედ დარჩათ თვალი და ამბობდნენ ნეტარ ესეთი ახალი ფალევანი და მშვენიერი ვინ უნდა იყოსო. იმ დროს გამოექანა ელვარესავით ის ყმაწვილი და ხელმწიფე არდევან შაჰას თაყვანი სცა და მუხლთა აკოცა, მაშინ ხელი სტაცა და ააყენა, შუბლზედ აკოცა, გატრიალდა ყმაწვილი და ახლა ნარიმანს და ქუჩუკს კალთას აკოცა და საჩქაროთ გამობრუნდა, მერე არდევან შაჰამ ხელი მოჰკიდა, პირდაპირ დააყენა და დიდი ხანი უყურა; შემდეგ გაბრუნდა და ყოვლიბანს უბძანა: ჰეი გმირო ეს უცხო ფალევანი ვინ არისო? და ან ვისი ჩამამავლობისა უნდა იყოსო, ანუ შენი ახლად შობილი შვილი რა უყავიო და იმ ახალ ფალევანსა კიდევ გაკვირვებულნი უყურებდნენ! მაშინ ქუჩუკმა მოახსენა: ხელმწიფეო მე ამისთანა სათვალევნოთ აგებულსა და მშვენიერსა და გმირსა არ შევსწრებივარო, უნამეტნესუსათ ამის მრისხანების სახემ გამაკვირვა და უბძანა ყოვლიბანსა, ძრიელ მესწრაფების ამ ყმაწვილის ვინაობა და საჩქაროთ შენი შვილიც მიჩვენეო. ამ დროს ყოვლიბანს გაეცინა და მოახსენა: შვიდის იყმილის ხელმწიფეო! ეგ გახლავსთ ჩემი შვილი და თქვენი ტახტის მიწა მტვერიო; რა რომ არდევან შაჰამ შეიტყო, ნარიმანმა და ქუჩუკმა მაშინათვე მისცვივდნენ და დიდხანს ლოშნიდნენ, რა სალმობა გაათავეს, არდევან შაჰამ დაიჩოქა და გულ მდუღარეთა სთქვა: ჰოი, საბაოთ ღმერთო! ვმადლობ შენს მოწყალებასსაო, რომ ამისთანა ჩვენის ტახტისთვის და სახელმწიფოსთვის ესეთი შესაფერი შვილი გიბოძებია. ამ სიტყვების შემდეგ ხელი დაუჭირეს, სასახლეში მიიყვანეს და ერთი მშვენიერი დიდი მინის ოთახში ტახტი დაუდგეს და ზედ დასვეს. იმ დროს სარვიხურამან, უსნიარ და გულიჯანი შემოვიდნენ, ყოვლიბანმა მაშინათვე უბძანა: შვილო, გადმოხტი და დედოფლებსა მოეგებეო. საჩქაროთ გამოიქცა და სარვიხურამანსა, უსნიარსა და გულიჯანსსა ხელთა აკოცა. მაშინ რა ესე შახედეს მოეხვივნენ და დიდხანს მოხვეულნი იყვნენ და გაოცებული უყურებდნენ, ღმერთს დიდ მადლობას სწირავდნენ, იმისთანა ყმაწვილის შობისათვის. შემდეგ ყოვლიბანს მიულოცეს და მრავალი თვალ-მარგალიტი გადააყარეს, შემდეგ უბრძანა არდევან შაჰამ ყოვლიბანსა, სახელათ რა უწოდეო? მოახსენა: ხელმწიფეო, სახელათ ბეგზად-შაჰ უწოდეთო. იმ დროს კიდევ ხელმწიფემ დალოცა, დასხდნენ და უცხო მეჯლისი გამართეს.

## ახლა ხოსროვშირის ამბავი მოვიხსენიოთ.

Რა დროსაც ხოსროვშირსა და თავის შვილის დაბარების ბძანება მოუვიდა და ამისთანა დიდი მოსალოცავი სჩუქარი მიიღო მაშინვე, თავისი ტახტი ერთს თავის დიდებულს ჩააბარა და თითონ დიდის ყოფით წამოვიდა. ათასი უცხო დიდებულთაგანნის შვილები უცხოთ დართულნი და თავისი შვილიც ასეთის ტანისამოსით მორთო, რომ შაგეხედნათ თვალს ვერ გაუმართამდით და თითონაც ყმაწვილი ასეთი მშვენიერი რამ იყო რომ, არც ქუჩუკი არც ყარამანი, მშვენიერებით ვერვინ სჯობდა. ამის გარდა ასეთი ფალევნური სახე და ტანი ჰქონდა რომ, მამალი ვეშაპიც ვერ გაუძლებდა იმის ყურებასა. იმის სახისათვის რომ შაგეხედნათ ამას იტყოდით, რომ პირზე ბაზმა უნთიაო და ერთი ხელი ყარამანის ხმალი არტყიაო და ასეთს ცხენზედ ზის რომ, მთასა ჰგავს და მშვილდი მხარზედ გადუგდია, ორი და სამი მწყრთა თავისი მამა ხოსროვშირზედ უფრო მაღალია, წამოვიდნენ დიდის ფეშქაშებით და დიდის ყოფით, მაშინ ხოსროვზადმა მოახსენა ხოსროვშირს, ხელმწიფეო ჩემო, ჯერ მე რომ შვილის იოლიმის ხელმწიფე არდევან შაჰი არ მინახამსო ან როგორ უნდა მოვექცეო, ან ფეშქაშები რომ არა მაქვს რა უნდა მივართვაო? მაშინ მამამ უბძანა: შვილო ხოსროვზად ამოდენა ხაზინა მაქვსო რომ მეტი არ იქნებაო, ესენი სულ შენ მიართვიო. მხოლოდ ხელმწიფეს ცალკე და საბუირანს ცალკე. მაშინ მოახსენა: მამაო გთხოვთ რომ ეგ თვალი და მარგალიტი თქვენ მიართოთ და მე ჩემის კაცებით ცოტას ხანს მთაზედ სანადიროთ გავალ და რაც ნადირს მოვახელებ იმას მივართმევო; ეგ ხაზინა თქვენი მონაგებია და მე რას დამიმადლებსო. ამაზე ხოსროვშირსა გაეცინა და უბძანა: შვილო, ხოსროვზად ჯერ შენ რა ნადირის შეპყრობა შეგიძლიანო. მოახსენა: მამავ უმორჩილესათ გთხოვთ მხოლოდ ნება მომეცით და იმისი მე ვიციო. მაშინ მამამ ნება მისცა და ყმაწვილმა საჩქაროდ მთისაკენ გასწია და ერთ ალაგას ნადირთა სიმრავლეს შეხვდა; ისე რომ რიცხვი არ შეიგდებოდა, იქ მრავალი ნადირი დახოცა და გამობრუნდა. იმ დროს ერთი დიდი ხევი დახვდა, იმ ხევის პირს რომ მოახლოვდა, ორი საშინელი ხვადი ლომი შეხვდა, იმ ლომებმა შამოუტიეს ამ ყმაწვილს, ამან საჩქაროთ ცხენი ზედ მიაგდო და ერთსა ხმალი შემოჰკრა და შუა გაწყვიტა, შემდეგ მეორეს კისრის ჯაგარში სტაცა ხელი და დედამიწაზედ დასცა და მოკლა. მაშინვე ის ორივე ლომები ერთ სპილოს აჰკიდა, გაამაგრებინა და ხელმწიფის საძღვნოთ წამოიღო. მაშინ ერთი კაცი ხოსროვშირთან საჩქაროდ

მიიჭრა და მიულოცა, მამას: ხელმწიფევ, თქვენმა შვილმა ორი ლომი ერთ წამსვე მოკლაო, სპილოზედან აჰკიდა და ხელმწიფისათვის ფეშქაშათ მოაქვსო. ამ დროს დაიჩოქა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და წინ მიეგება, მიიკრა გულს და ორსავ თვალებში აკოცა და დაარიგა, კულავ ნუღარ გაბედავო; ჯერ გამოუცდელი ხარო და თვით უმაწვილიო. გამოსწიეს და უშანგბათში მოვიდნენ, ხელმწიფეს მოახსენეს: ხოსროვშირი გიახლათო დიდის ჯარითაო. მაშინათვე ხელმწიფე არდევან შაჰა ნარიმან და ქუჩუკ-უარამანი კარში გამოვიდნენ, რა ხოსროვშირმა არდევან შაჰა დაინახა, საჩქაროდ გაექანა და მუხლსა აკოცა. არდევან შაჰამ ორსავ თვალებში აკოცა, შემდეგ მობრუნდა ნარიმანს და სააპყირანს მოწიწებით თაყვანი სცა, მაშინ საჩქაროდ ხელი სტაცა ქუჩუკმა და შუბლზედ აკოცა, აგრეთვე უოვლიბანი მოეგება და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მაშინ უბძანა არდევან შაჰამ ხოსროვშირს, შენი შვილი რაუყავიო? მოახსენა: ხელმწიფევ, ჩემმა შვილმა თავის ტოლები დიდებულთაგანნი შვილები შეჰყარა და გუშინ ასრე მოგახსენათ რომ, ჯერ ხელმწიფეს არ უნახივარო და არცა საბყირანსაო და რა უნდა მივართოვო. საჩქაროთ მთისაკენ სანადიროთ გიახლათ და ეს არის კაციც მომეწია რომ მრავალი ნადირი დავხოცეთო; ხოსროვზადმა ორი უშველებელი ლომი მოკლა, სპილოზედ აჰკიდა და საძღვენოთ ის მოაქვსო. ქუჩუკი გაჰკვირდა, აგრეთვე ხელმწიფე არდევან შაჰა ნარიმანი. და უოვლიბანს უფრო უკვირდა, ჯერეთ ოთხის წლისა აროსო და არ დაიჯერეს, მაშინ შახედეს ნახეს რომ ცოტას ლაშქრითა· ერთი უცხო მშვენიერი და მტრის ზარის დამცემი, უცხოს იარაღში ჩამჯდარი კისკისით მოდის და ასეთს ცხენზედ ზის რომ, სწორედ ფრინველსა ჰგავს და ასეთი მრისხანე სახე აქვს რომ, იმის შემხედავს გული გაუსკდებოდა. რა მოახლოვდა, საჩქაროდ ცხენიდან გადახტა და ქვეითი წამოვიდა, რა შეხედეს—ასრე სთქვეს ღმერთო! ასეთი სათვალევნოთ აგებული უმაწვილი იქნებაო რომ ქუჩუკის მშვენიერება და ტანადობა სულ აღარ გამოჩნდა. მოვიდა საჩქაროდ და დაიჩოქა; პირმიწას გაერთებით ხელმწიფეს თაყვანი სცა, წამოდგა, საბყირანს, ნარიმანს და უოვლიბანსაც აგრეთვე. მაშინ ხელმწიფემ გადახედა და ორსავ თვალებში აკოცა, აგრეთვე ქუჩუკი, ნარიმანი და უოვლიბანი, უყურებდნენ და უკვირდათ იმისთანა მშვენიერება არსად ენახათ, მაშინ ხოსროვზად გამობრუნდა და სპილოდან ის ორი ლომი ჩამოიღო დაიჩოქა და ხელმწიფეს მიართო; ამასთან მოახსენა, მე ამის მეტი ხელმწიფისათვის ძღვენი არა მაქვსო და ხელმწიფის დიდება ნუ გამიწყრებაო. დაიწყეს სიცილი; და მაშინ არდევან შაჰამ დაიჩოქა და იმისი სიცოცხლე ღმერთს შეავედრა, მერე ქალები გამოვიდნენ და რა ნა-

ხეს: ყველანი ზედ ეხვეოდნენ. იმ დროს სასახლეში რომ შევიდნენ თვალი შეასწრო რომ იმის ოთახში ერთი უცხო და მშვენიერი ყრმა ფალევანი ზის ის თავის მამამ აცნობა, მაშინვე გადატრიალდა და ერთი სინი ალმასი შეიტანა და იმ ყმაწვილს თავს გარდააყარა და გადაეხვივნენ ურთმანერთსა და დიდხანს ლოშნიდნენ, რა ორნივე ერთათ დასხდნენ ამას იტყოდა კაცი, რომ ქვეყანაში ამისთანა უკეთესნი აღარავინ დაიბადებაო, თუ თვალადობით, თუ ტანადობით და ვნახოთ ძალსა როგორსა გამოიჩენენ, მგონია რომ თუ მამის შვილები არიან უნდა რომ ღვთის ძალით კარგნი გამოვიდნენო.

ახლა ყათრან და ბარამჯიბილიც მოვიდნენ თავიანთის შვილებით, რადას ვაგრძელებთ უკეთესები იყვნენ მამებზედ, მშვენიერება, ტანადობა და საფალევნოთ მოყვანილობა, სულ ერთმანერთს მიემგზავსებოდნენ, ეს ოთხივე ყრმა ფალევნები ერთათ დასხეს: ვინც უყურებდნენ იტყოდნენ ქვეყანაზედ ამისთანა უკეთესნი აღარავინ გამოჩნდებიანო. იმ დროს გამართეს უცხო მეჯლისი და მშვენივრათ შეექცნენ. მეორეს დღეს ხელმწიფე არდევან შაჰი სანადიროთ წაბძანდა და საბყირანიც გამოსაცდელათ წავიდა იმ ყმაწვილებისა. უყურებდა ქუჩუკი და დიდად მოეწონა, რომ ეხლავე თავიანთ მამებს მეტობდნენ და დიდად უხაროდათ და იმათში ხოსროვშირის შვილს უფრო სხვა რიგი ფალევნური ქცევა ჰქონდა. მაშინ ყოველიბანმა მოახსენა: ხელმწიფევ, ხოსროვზად უცხო რამ შეიქმნებაო და დაჰყვეს იმ ნადირობაში ერთი კვირა, ყოველსა იარაღში გამოსცადეს და ამათში ხოსროვშირის შვილი ხოსროვზად ყოველ იარაღსა უცხოთ ხმარობდა და დიდათაც მოიწონა. დაბრუნდნენ და ყმანგბათში მოვიდნენ. მაშინ ქუჩუკმა სთხოვა ბურჯუვეზირსა; ბურჯუვეზირო და ჩვენთვის კეთილის მრჩეველო, მე გთხოვ დიდის თხოვნით რომ ეს ოთხნივ ახალი ფალევანნი, შენ უნდა დაზარდოვო და ყოველივე სამეცნიერო რაც რომ იცოდე ასწავლოვო, აგრეთვე არდევან შაჰმა სთხოვა, მერე ყოვლიბანმა, ხოსროვშირმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა სთხოვეს და სასტატოში ამ ოთხთა გმირთა ამოდენა მისცეს ბურჯუვეზირს რომ შენახვა ეზარებოდა. მაშინვე ეს ოთხნი ახალი ფალევანნი და ფალევანთა შვილები და დიდის ხელმწიფის ჩამომავალნი, ასე გასწურთნა ბურჯუვეზირმა ყოველ სამეცნიეროში რომ, არა მეცნიერება აღარ აკლდათ რა. ამას გარდა რაც რომ ქუჩუკს ასწავლა სახის ცვლილობა, იმათაც ასწავლა და დარჩნენ ეს ახალი ფალევნები ყმანგბათში; და მუდამ ქუჩუკი გაუძღვებოდა და ანადირებდა ხან აბურთავებდა ხან ყაბახს ასროლინებდა. ერთი სიტყვით აღარაფერი აღარა აკლდა რა, ეს ამ ხელმწიფეების ერთათ შეყრა და სიხარული, და ამ ოთხთა გმირთა ღვთისაგან შვილების ბოძება, ესე ამბავი სამთავისში ფარვან დევს მიუვიდა და დიდად ესიამოვნა იმასაც; და

საჩქაროთ სამანსაც აცნობა და დიდის ჯარებით და უცხოს ფეშქაშებით წამოვიდნენ, მოვიდნენ უშანგბათში შეხედეს ნახეს რომ, შვიდის იულიმის ხელმწიფე არდევარ შაჰი საამყირანი, ქურუკი, ამასთან ნარიმანი, ყოვლიბანი, სარჟანი, ხოსროვშირი, ყათრან და ბარამჯიბილი, მოედანზედ მრავალი უცხო ფალევნებით შაურილან და უცხო მეჯლისი აქვთ. მარჯვნივ მხარესაც ნახა რომ ოთხი უცხო ფალევანნი სხედან, ასეთი რამ არიან რომ, იმათსა მრისხანებას შვიდ თავიანი ვეშაპი ვერ გაუძლებს და მეტათ საფალევნოთ აგებულნი არიან და უცხოს იარაღითაცა სხედან და უკვირდათ. ეს უცხო ფალევანნი ვინ არიანო და თუმცა იცოდნენ რომ ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ყათრანსა და ბარამჯიბილსა შვილები მისცემიათ, მაგრამ ის კი არ იცოდა აქ დახვდებოდნენ თუ არა, რას იფიქრებდნენ რომ ისინი იყვნენ. მაშინ საჩქაროდ ჭაერიდამ ძირს ჩამოვიდნენ და რა ქურუკმა შახედა ნახა ასი ათასის კარგის მოლაშქრე ჯარებით ფარვან დევი და სამან თავისის ამხანაგებით მოდიან, რა ამ ხელმწიფეებმა დაინახეს; მაშინათვე წინ მიეგებნენ და უცხოთ შაიყარნენ. რა სალამობაც მორჩნენ, მაშინ მობრუნდნენ ფარვანი და სამანი თავისი ათერთმეტის დევით, ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ყათრანსა და ბარამჯიბილს მიულოცეს ძიანობა. მრავალი თვალი და მარგალიტი გარდააყარეს, მაგრამ ფარვან დევსა და სამანსა თვალი და გონება იმ ოთხთა ყმაწვილზედ დარჩათ, ამაში რადასაც ხელმწიფეები დასხდნენ და აგრეთვე საამყირანი მივიდა იმ ყმაწვილებთან დაჯდა, დიდის მხიარულებით და დიდს სიხარულში იყვნენ. მაშინ ფარვან დევმა და სამანმა ანიშნეს და რამოდენიმე დევნი წამოდგნენ და ყველას თითო ოქროს სინები ხელში ეჭირათ თვალითა და მარგალიტითა. წავიდნენ და პირველათ არდევან შაჰს გარდააყარეს, შემდეგ ქურუკს და გამობრუნდნენ. აგრეთვე ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ნარიმანსა, ყათრანსა და ბარამჯიბილსა გარდააყარეს და შვილები მიულოცეს. მანამ ამ მილოცვას დაასრულებდნენ, იმ ყმაწვილების ვინაობა სამანმა შეიტყო, გაბრუნდა საჩქაროთ ოთხი დიდებულების შვილებს, უცხოთ დართულთა, თითო თეფში ალმასი მისცა და მიმოვიდა, გარდაიარა და იმ ოთხთა ახალთა ფალევანთა თავზედ გარდააყარა და შემდეგ მივიდა და ოთხთავეს მუხლთზედან აკოცა და გამობრუნდა, მოვიდა და შვიდის იულიმის ხელმწიფეს წინ დაიჩოქა და მოახსენა, ვმადლობ დაუსაბამო მამა ღმერთსაო, რომ თქვენის სახელმწიფოს და ტახტს, თავის საივერნი ფალევანნი ღვთისაგან ებოძათო! მერე საამყირანს მიულოცა, გამობრუნდა ყოვლიბანს, ხოსროვშირს, ყათრანს და ბარამჯიბილსაც მიულოცა. ამაზე სამანს დიდი მადლობა უბრძანეს, ახლა ფარვან დევმა შეიტყო იმ ყმაწვილების იმათ გმირთა შვილობა. დაემხო დედამიწა-

ზედ და ღმერთს შაავედრა, შემდეგ უბძანა ფარვანსა არდევან შაჰამ: ჰეი, ერთგულო ჩვენო და დაჭირებაში მშველელო ფარვან! თუ ჩემი სიყვარული გაქვსო, აგრეთვე საბურანმა და იმ ოთხთა ფალევანთა სთხოვეს რომ, ყოველივე ჯადოს გამქარვებელი ლოცვები ასწავლოთ, რადას გაგრძელებთ



რაც რომ ბურჯვეზირმა და ფარვან დევმა იცოდნენ, ყოველივე ამ ყმაწვილებს ასწავლეს რომ აღარა აკლდათრა, შემდეგ დასხდნენ და სულ ლხინობდნენ და შაექცეოდნენ და დიდად უხაროდათ, ამ ყმაწვილების ისეთი ფალევნურის აგებულობისა, მაშინ ფარვან დევმა უყურა ოთხთავეს და აგ-

რეთვე ბურჯვეზირმა და სტროლებში ჩახედა, და დიდი ხანი უყურა იმ ყმაწვილებსა და მაშინ მაღლად აიხედა ფარვან დევსა და სამანსა უთხრა: ამ ოთხთავესთანა ფალევანი არას სახელმწიფოში არ დაიბადებაო, მაგრამ ამ ოთხიდან ხოსროვშირის შვილისა სთქვა, მთელსა ქვეყანაზედან ამისთანა გმირი და უცხო ფალევანი არ გამოვაო, და ბოლოს ეს იქნება ერთის დიდი ხელმწიფის შვილის საბუირანიო, და ესენი დიდს სარგებლობას მისცემენ და შემატებენ არდევან შაჰსაო ამ ცოტას ხანშიაო. ყოველი სახელმწიფო და ხელმწიფენი დევნი, თუ ადამიანნი სულ არდევან შაჰზედ აპირობენ მოსვლასაო და ქურუკზედაო, მაგრამ ამ ყმაწვილი ფალევნებისაგან სულ ყველანი იძლევიანო, ეს ხოსროვშირის შვილის ხოსროვზადის ძლიერება და როგორც ბურჯვეზირის სტროლაბი აჩენს. ქურუკს სულ ყოველივე მოახსენეს და ქურუკმაც უბძანა, მეც აგრე ვხედამო რომ ეგ უფრო ძრიელი ფალევანი შეიქნებაო, თორემა მე ამ ოთხთავესა ჩქარა გამოვცდიო. მაშინათვე ფარვან დევს უბძანა: ფარვან დევო, მე მსურს რომ ეს ყმაწვილები გამოვცადოვო და შენ უნდა შენის ხელით დახელოვნებითა ერთი დიდი და ძლიერი ვეშაპი უნდა წარმოადგინოვო, და ვნახოთ ამა ოთხთავნისა რომელს უფრო გული მიერჩისო, უნდა შავიტყო სჩქაროთაო. მაშინ ფარვან დევი ერთი შვიდ თავიანსა ვეშაპათ გარდაიქცა და ერთ მაღალ მთაზედ გავიდა და იქიდან ყურება დაუწყო. მაშინ ქურუკი სანადიროთ დაემზადა და ეს ოთხნივე ყმაწვილები თან წაიყვანა და დაიწყეს ნადირობა. მრავალი ნადირი დახოცეს, ამასთან უმრავლესი ლომნი და ისრე გულადათ მიდიოდნენ სომრათ ლომზედა, ვეფხვზედა რომ ვითარცა შავარდენი ტრედის გუნდზედა და ამათი ესეთი მხნეობა და გულადობა ძრიელ მოსწონდა ქურუკსა, და დიდათაც შაუყვარდა ეს ყმაწვილები. იმ დროს ქურუკი ერთს მხარეს წავიდა და ეს სამნი ყმაწვილნი, ესე იგი ყოვლიბანის შვილი ყათრანისა და ბარამჯიბილისა საბუირან ქურუკს გაჰყვნენ და ხოსროვშირის შვილი ხოსროვზად ცალკე წავიდა და ნადირობდნენ. ამ ნადირობაში შახვდა ხოსროვზადმა რომ, მთიდამ ერთი უშველებელი ვეშაპი წამოვიდა, რომელსაც შვიდი თავი აბია და პირიდამ საშინელ ცეცხლსა ჰყრის და ასეთი ჯაგარი ასხია რომ ტანი ჯაგრით სავსე აქვს. იმ დროს რა ხოსროვზადმა კარგათ გასინჯა, თავის დღეში ვეშაპი არ ენახა და სთქვა ეს რა უნდა იყოსო, მაგრამ გამოხატულები რომ ენახა, მაშინ სთქვა ვეშაპს რომ იტყვიან სწორეთ ეს არისო. ამ დროს პირდაპირ იმ ვეშაპმა ამ ყმაწვილ ხოსროვზადისკენ გამოსწია, რა მოახლოვდა, ერთი ღვთის სახელი ახსენა და დიდის ხმით შესძახა, და მაშინვე გულ უშიშრათ ხმალს ხელი გაიკრა, და ასეთი გადახტა ამ ვეშაპისკენ რომ ვითარცა ელვა, ის-

რედ ზედ მივარდა და რა ხმალი მოუქნია შემოსაკრავათ სწორედ შუაგასწყვეტდა, მაშინ სწრაფლათ ეს ვეშაპი უჩინოთ იქმნა. ხოსროვზადმა აქაიქ დაიწყო ყურება, რომ ველარ ნახა, ასეთი განრისხდა და განრისხებული აქა იქ იყურებოდა და ჯავრობდა რომ იმისი გულის ძგერა ერთს ალაგზედ ისმოდა. იმ დროს ქურუკი ერთს ხალვათ ალაგიდამ უყურებდა, რანახა ამ ყმაწვილის ისეთი გულადობა, მაშინ სთქვა მართლათა უცხო ფალევანი შაიქნებაო, მივიდა შუბლზედ გადაეხვია და აკოცა. შემდეგ უბძანა: ჰაბაშ შენსა გულოვნობასაო. მაშინ მოახსენა, საამყირანო ის ვეშაპი საითწავიდაო, მე თუ ის ხელთა არ ვიგდე მამაჩემი შამიტყობს და რა პასუხი უნდა მივცეო, ამას არ მიბძანებს, რომ ერთი გველი გამოჩნდა და ისიც ვერ შაიპყარიო... ამ სიტყვას სიკვდილი მირჩევნიაო. მაშინ ქურუკმა გაიცინა და უბძანა, ჯერ შენი მაგოდენი დრო არ არის რომ, შენ ეგ გიბძანოსო, და ის ასეთი ვეშაპი იყოვო რომ, თვით პაპა ჩემსა ყარამანსაც არ შეეძლოვო იმის წინ დადგომაო. მაგრამ შენ კი გაგექცაო. როგორც იყო დაამშვიდა და სთქვა: ღმერთო! ამისთანა ძრიელება არა ფალევნისაგან არ მინახამსო. იმ დროს როდესაც ფარვან დევი ხოსროვშაჰს მოშორდა, დიდი ქება შეასხა, და ახლა ფარვანი სამთავა დევათ მოეჩვენა და ერთი საშინელი კეტი მხარზედან გადიღო და წამოვიდა და ტყეში ნადირობა დაიწყო; იმ დროს შეხედა ნახა რომ ქურუკ და ის ოთხნი ახალი ფალევანნი ნადირობენ. უცებ ხმა უყო ფარვანმა: ჰეი! თქვენ ადამის შვილნო, თქვენ ვინ მოგცათ ნება რომ, ამ ჩემსა სანადიროში უშიშრათ შამოსულხართო!? ახლავე გამიფთხილდით რომ მიწასთან მინდა გაგასწოროთო. რა ესეთი მუქარება ყოვლიბანის შვილმა ბეგზად შაჰჯამ გაიგონა საჩქაროდ შესძახა: ჰეი, შენ ბილწო დევო, შენის სიდიდით და მაგ შენის სამი თავით ვის აშინებო... საჩქაროთ გურზი წელთაგან გამოიღო და დასაკრავათ მიმართა. რა ბეგზად შაჰჯამ გურზი შაუმაღლა, ფარვან დევმა საჩქაროთ ფარი მიაგება, მაგრამ ბეგზად შაჰჯამ გურზით ასეთი დაჰკრა რომ, ის ფარი სულ მტვრათ აქცია და მხარსა მოახვედრა, და დიდი ძალა დაადგა ფარვანსა, მაშინვე დიდი ქება დაუწყო ფარვანმა. მეორე და მესამედ დაკვრა აღარ დააცალა, და უთხრა, შენ მიწის შვილო და ახალო ფალევანო, გამიფრთხილდითო მინდა მიწასთან გაგასწოროვო; ეს სთქვა და თავისი კეტი შაუმაღლა დასაკრავად. იმ დროს ბეგზად შაჰჯამ ერთი საშინელის ხმითა შესძახა და შეხტა. ის მოქნეული კეტი ხელთაგან წაართო და ის კეტი თითონვე ფარვანისათვის უნდა დაეკრა, მაგრამ ნახეს რომ ეს დევი უჩინოთ იქმნა. რაღა გავაგრძელოთ, ყათრანის შვილიც რომელსაც ერქვა გორშარაბ და ბარამჯიბილის შვილსაც ერქვა ბარზინ. ესენიც გამოსცადა ფარვანმა, მაგ-

რამ ერთი ერთმანერთზე უკეთესი ფალავნები იყვნენ. მაშინ ქუჩუკი მივიდა და ოთხთავეს დიდი ქება შეასხა და წამოვიდნენ ნადირობით, მრავალი ნადირი დახოცეს, მანამ ქუჩუკი და ის ოთხნი ახალი ფალავნები შინ მოვიდნენ, მანამდე ფარვან დევი მოვიდა და ყოველივე ამბავი არდევან შაჰას მოახსენა, აგრეთვე ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ყათრანსა და ბარამჯიბილს დაწვრილებით. ის ოთხნივ ასეთი ფალავანნი არიანო რომ მთელი ქვეყნის დევნი და ქაჯნი რომ იმა ოთხთა შამოეხვიონ ერთიც ცოცხალი არ წაუვათო და როგორც მამხდარიყო, ყოველივე ამბავი მოახსენა და დიდი ქებაც შეასხა. ამაზე არდევან შაჰას დიდად იამა და მაშინათვე ბძანა, წინ მივეგებნოთო და სამხიარულო ნაღარას ჰკრეს. იმ დროს ქუჩუკი და ის ყმაწვილები მოვიდნენ და ხელმწიფესა მუხლთა აკოცეს და თავიანთსა მამებსა ხელთა აკოცეს. მაშინ ქუჩუკმა მოახსენა ხელმწიფეს გამარჯვება მოგვილოცავსო. მაშინ ამ ყმაწვილებს უთხრა ხოსროვ შაჰამ: სააბყირანნო ღმერთმან გამარჯვება ნუ მოგაკლოსთო, შემდეგ ყმარწვილებმა სთქვეს ჩვენ ოთხთავე შარცხვენილები დავრჩითო, თუმცა საომარი კარგი გამოგვიჩნდაო მაგრამ, ხელთა კი ვერა ვიგდეთრაო; რა წამს შაუტიეთ მაშინვე უჩინოთ იქმნენო, იმ დროს ფარვან დევიც იქ იყო და ამ ხოსროვზალის სიტყვაზედ მრავალი იცინეს. მაშინ ხელმწიფე არდევან შაჰამ უბძანა: თქვენ ასეთი ვეშაპი და დევი გჩვენებიათ რომ, ბევრი თქვენისთანა ფალავნები მოუტყუებიაო და შექნეს სიცილი. მაშინ ხელმწიფე არდევან შაჰამ უბოძა დიდი ძალი ხაზინები, ოთხთავესა ას-ასი ათასი უცხო მეომარი ჯარები თავიანთ სარდალ ფალავნებითა და თითო კარგი ქალაქები, და დიდის საჩუქრებით და ლოცვით თავიანთ მამებს ჩააბარა. მერე უბძანა საბყირანმა რომ ყოველსა, თვეში ერთხელ ჩვენთან მოხვიდეთ ხოლმეო. მაშინ თითო ასეთი ცხენი თავისი შაკმაზულობითა და თითო ხელიც ასეთი იარაღი უბოძა საბყირანმა რომ; თითოს ქალაქების ფასად ღირდა, ნარიმანმაც თითო ყარამანისეული ასეთი ხანჯლები უბოძა რომ, თითო ქვეყნის ფასად ღირდა, აგრეთვე დედოფლებმა მრავალი საჩუქარი უბოძეს, მოვიდნენ ეს ოთხნივე ახალი ფალავანნი და ხელმწიფეს თაყვანი სცეს, აგრეთვე ნარიმანსა, საბყირანსა და დედოფლებსა ხელთა აკოცეს და წამოვიდნენ თავიანთ კარავში, შემდეგ ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი და ბარამჯიბილი დაეთხოვნენ და დიდის საჩუქრითა წავიდნენ. ყოვლიბანი თავის შვილით თავის სახელმწიფოში წავიდა, ხოსროვშირი ერანთურანში წავიდა, ყათრანი ქიშმირში წავიდა, ბარამჯიბილიც ფერისტანში წავიდა. რა ესენი არდევან შაჰამ და ქუჩუკმა გაისტუმრეს, მაშინ უბძანა ფარვან დევო, თუ გიყვარვარ ის ოთხნი ყმაწვილნი ხომ გამოსცადე? და

რომელს უფრო ატყობ რომ ძლიერება ჰქონდესო? ან თავიანთ ფალევანთაბის შესადარნი არიან თუ არაო? მაშინ მოახსენა: ხელმწიფეო ეგ ოთხნი ასეთი ფალევნები შაიქმნებიან რომ, არას საბძანებელში მაგათთანა ფალევანნი არც დაბადებულან და არცა დღეის შემდეგ იქნებიანო, ჩვენის ქურუკის გარდაო, მაგათ მომრევი ძნელათ გამოჩნდებიანო, მაშინ ქურუკმა მოახსენა: ხელმწიფეო ეს ჩვენი ფარვანი ვეშაპის სახით ხოსროვშირის შვილს ხოსროვშაჰს რომ ეჩვენა, მაშინ ის ასეთი მრისხანის სახით მიუხტაო რომ, თუ წინიდამ დროით არ მოშორებოდა უთოოთ შუა გასწყვეტდაო; და აგრეთვე ყოვლიბანის შვილი ბეგზად შაჰი, იმან რო კეტი შეუმაღლა, შესწვდა და ხელთაგან წაართო, და თუ წინიდან არ გასცლოდა მაშინვე მიწასთან გაასწორებდაო. ყათრანისა და ბარამჯიბილის შვილებსა გორშარაბისა და ბარზინისა უმეტესი ქება წარმოსთქვა. ჰკითხა ხელმწიფემ, მაგ ოთახში რომელი უფრო ძლიერი არისო? მოახსენა: ჯერ ის კი არ ვიცი თუ რომელი უფრო ძრიელი არისო, მხოლოდ მაგასაც მალე შევიტყობო, ჩემ დევს რუიზანს შევაბამდი მაგრამ, შეშინიან ერთმანერთსა არა აუტეხონრაო,

## ესე ამბავი აქ დაუტეოთ და ახლა სხვა ამბავი მოვისსენიოთ.

როდესაც რომ ქურუკმა ბაბან ხანი, ქირმან ხანი და ზურან ხელმწიფენი დაამარცხა და თითო მკლავი მოსჭრა და ისრე გაისტუმრა. ამაში ხომ დიდმა ხანმა გასწია რომ ქურუკმა ზარბაქ დევიც დაამარცხა და შემდეგ ბაუბაუ დევიც დაამარცხა. ამაში გამოვიდა რამოდენიმე ხანი, შემდეგ კიდევ რუიზანსაც რომ ადამ ხანი და მუშთარ ხანი მოუხდნენ ინდოეთში, დიდრონი ჯარებით. მაშინ ხომ ისინი რუიზანმა მოტყუებით შააპყრა და იმათი ჯარები ამოსწყვიტა. ამათი ამბავი ხომ ქურუკ ყარამანის მეორე კარში მოგხსენდათ. ახლა რამდენი დრო და ჟამი გამოვიდა ამაში. ბაბან ხანსა დარჩა ერთი შვილი, აგრეთვე ქირმან ხანსა და ზურან ხელმწიფეს, ესენი ჯერ პატარები იყვნენ, ბნელეთის ქვეყანაში და აგრეთვე ადამ ხანსა და მუშთარ ხანსა და მანამდინ ეს ზემო ხსენებული ხელმწიფის შვილები დაიზდებოდნენ; დიდმა ხანმა გამოზარდა და რაკი ასაკათ მოვიდნენ და შურის ძებნა შაეძლოთ, მაშინ ბაბან ხანის შვილსა ერქვა მაჰმად ხან, და ადამ ხანის შვილსა ერქვა იბრეიმ ხან და მუშთარ ხანის შვილსა ერქვა მეათი ხან. ეს ზემოთ ხსენებულნი ხელმწიფის შვილები, რაკი წა-

მოიზარდნენ და თავიანთ მამის სახელმწიფოებისა პატრონობა დაუწყეს, ნახეს რომ თავიანთი სახელმწიფოები სულ აკლებული იყო, იმ დროს თავიანთ მოხუცებულთ ვეზირებსა ჰკითხეს: ჩვენნი მამა პაპანი ვინ იყვნენო და ან სად არიანო ან სად დახოცილანო? რომ ასე გაურიგებელი სახელმწიფოები გაუშვიათო. მაშინ როგორც შომხდარიყო ყოველივე დაწვრილებით უამბეს. ნარიმანის ომიდამ, როვშან ბახტის ომამდისინ და შემდეგ ქურუკისაგან რაც საქმეს გაევლო, ყოველივე უამბეს. მაშინათვე ამ ყმაწვილებმა დაიწყეს ტირილი და დიდი მწუხარება. მაშინ ამათ ჰყვანდათ გამოცდილი ვეზირნი და იმათ დაამშვიდეს. შემდეგ მოახსენეს: ხელმწიფის შვილებო, თქვენ ორნი ბიძისძენი უნდა წახვიდეთ ბნელეთის ქვეყანაშიო, იქ იმ სამთა ხელმწიფეებსა თქვენსავით აოხრებული სახელმწიფო დარჩენიათ, რომელთაც ერთსა ჰქვიან ისმეილ ხან, მეორეს უსეინ ხან და მესამეს მაჰმად ხანიო. თქვენ იქ უნდა წახვიდეთო და როდესაც ერთათ შაიყრებით, მაშინ რასაც ღმერთი გაფიქრებინებსთ იმ აზრზედ დამკვიდრდითო. მაშინათვე რომელიც გამოჩენილი ვეზირი ჰყვანდათ ამ იბრეიმ ხანსა და მეითი ხანსა, საჩქაროთ მცირე ჯარები შამოიყარეს, ასე რომ ორმოცი ათასი მეომარი და სუმბუქად წამოსასვლელათ ბნელეთის ქვეყნისაკენ გაემზადნენ. თავიანთი სახელმწიფოები კი ერთგულ დიდებულს ჩააბარეს და თითონ კი წამოვიდნენ ბნელეთის ქვეყანაში.

ესენი ამ მიმავლობაში დაუტევოთ, ახლა მოვითხრობს ბნელეთის ხელმწიფის ბაბან ხანის შვილისა, ქირმან ხანის შვილისა და ზურან ხელმწიფის შვილისა. ქირმან ხანის შვილსა ერქვა უსეინ ხან, ბაბან ხანის შვილსა ერქვა ისმეილ ხან, ზურან ხელმწიფის შვილს ერქვა მამად ხან და აგრეთვე ის ორნი ხელმწიფის შვილები რომელნიც იმათთან მიდიან, თურქმანის ხელმწიფის ადამ ხანის შვილსაც ერქვა იბრეიმ ხან, და მუშთარ ხანის შვილსა ერქვა მეითი ხან.

რა ეს ყმაწვილები წამოიზარდნენ და როგორც ზევით მოგახსენეთ თავიანთი სახელმწიფოები გაოხრებული ნახეს. მაშინათვე თავისთა ვეზირთა ჰკითხეს და მათ ვეზირთა ყოველივე წვრილათ მოახსენეს. მათ საჩქაროთ

ჰკითხეს: ვეზირებო! ჩვენის სახელმწიფოების ამაოხრებელი ხელმწიფენი კიდევ ცოცხალნი არიანო? ესენი ამასობაში რომ იყვნენ, იმ დროს კარზედ მდგომმა აიარმა იხილა რომ, ორნი ხელმწიფეთა მგზავსნი უცხოთ მორთულნი და მშვენიერნი, რამდონსამე ფალავნებით, სარდლებითა და აგრეთვე მცირე ლაშქრით მოდიან. იმ დროს საჩქაროთ შევიდნენ და იმ სამთა ახალთა ხელმწიფეთა მოახსენეს; ხელმწიფენო ამ თქვენის სასახლის სასახლოვეს ორნი ხელმწიფენი მოდიან, უცხოს ფალავნებითა და მცირე მოლაშქრე ჯარებითა, აქ გიახლნენო და არ ვიცით მტერნი არიან თუ მოყვარენიო. მაშინათვე ერთსა დიდებულთაგანსა უბძანეს, შეიტყევით ვინ არიანო. საჩქაროთ მივიდა და წინ მომავალსა კაცსა ჰკითხა, ეს ხელმწიფენი ვისა ბძანდებიანო? ან ესე მცირე ლაშქრით საით მიგიმართავთო, მაშინ იმ კაცმა მოახსენა: ესენი თურქმანის ხელმწიფის შვილები ბძანდებიანო; იბრეიმ ხანი და მეითი ხანიო—და თქვენსა ხელმწიფის სანახავათ მობძანდებიანო. მაშინ ეს კაცი უკან დაბრუნდა, საჩქაროთ მოვიდა და მოახსენა: ეს მომსვლელნი თურქმანის ხელმწიფის შვილები გახლავანო; იბრეიმ ხანი და მეითი ხანი, თქვენს სანახავათ გხლებიანო. რა ამათ ესე სასიამოვნო ამბავი მოისმინეს მაშინათვე საჩქაროთ სამნივ წინ მიეგებნენ. რა ერთმანერთს დაუახლოვდნენ, მაშინათვე ხელმწიფურათ ერთმანერთს თაყვანი სცეს, მიესალმნენ და სასახლეში მიბძანდნენ. მოლაშქრეთა კი საჩქაროთ ჯარები დააბინავეს და დანარჩენნი დიდებულთაგანნი ხელმწიფეებს ახლნენ. რა ერთათ შაიყარნენ მეჯლისი გამართეს. რა ღვინის სმისაგან მობეზრდნენ, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა და ქვეყნის დამაშვენებელმან მზემან თავისი ნათელი სხივი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ეს ხელმწიფენიც ადგნენ და ერთათ შაიყარნენ. იმ დროს კარნი დახშეს და რომელიც გულითადი ვეზირნი და ჭკვიანი ხალხნი ახლდათ, ისინი გვერდით მოისხეს და შექმნეს ვეზირობა, პირველათ თავიანთ ამბავი ერთმანერთს უამბეს; როგორც ამ ყმაწვილების მამა-პაპანი ინდოეთში რუიზანისაგან როგორ დახოცილიყვნენ, ან ბნელეთის ქვეყანაში ქუჩუკი როგორ მისულ იყო და ხელმწიფეები როგორ დაეჭირა, ერთი სიტყვით ნარიმანის ომებიდამ ვიდრე ქუჩუკის მაღრიბამდინ რაც იმათ მამა-პაპისათვის საქმე გადაეხადნა, ყოველივე დაწვრილებით ვეზირეემა მოახსენეს. ამაზედ ჰკითხეს თვისთა ვეზირთა. იგი ჩვენი სახელმწიფოს ამაოხრებელი ხელმწიფენი კიდევ ცოცხალნი არიანო? ანუ რომლისა ქვეყნის ხელმწიფენი იყვნენო? მაშინ ვეზირმა ყოველივე სრულებით მოახსენა, ქუჩუკისაგან ზარბაქ დევის გამოჩენა, იმისი შაპყრობა, შემდეგ ბაყბაყ დევის მოსვლა თავისი ძრიელის ფალავნებითა და დიდის ჯადოს ლაშქრითა და კიდევ ქუჩუკისაგან იმისი

დამარცხება, შემდეგ იმათი შეწყნარება და თავიანთი ქვეყნების უკანვე მიცემა და დიდის ერთგულობით ფიცის მიცემა, აგრეთვე ოთხის დევისგან შერიგება და ახლა ბნელეთის ქვეყანაში ხელმწიფეთ დასმა, უცხოს ქალაქის აშენება და დიდის ციხეების გაკეთება და სიმაგრით ყოფნა. ერთი სიტყვით როგორც მოგვხსენებიათ ყოველივე ვეზირთა ამ ბნელეთის ხელმწიფისა და თურქმანის ხელმწიფის შვილებსა მოახსენეს. რა ამათ ესე ამბავი დაწვრილებით მოახსენეს ესენი დაფიქრდნენ და შემდეგ თურქმანის ხელმწიფის შვილებმა იბრეიმ ხანმა და მეითი ხანმა მოახსენეს, ხელმწიფენო ამას დაფიქრება აღარ უნდა, ჩვენ ჩვენის მამა პაპის სისხლები ავიღოთო და მოვძებნოთო, და ჩვენი იმოდენა ხაზინანით, ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო. რასაკვირველია ეს სამნი ხელმწიფენიც: ისმეილ ხანი, ესეინ ხანი და მამად ხანიც თანახმა შეიქნენ, იმ დროს იმ ვეზირებში ერთი გამოჩენილი და მოხუცი ვეზირი იყო, იმან მოახსენა: ხელმწიფენო და ახალო ფალავანნო! ამგვარსა საქმესა აჩქარება არ უნდაო, ისინი დიდი ხელმწიფენი არიანო და დიდის ფალავნების პატრონები, ამათ თუ დიდი მძლავრი ლაშქარი და ფალავანნი არ შეკრიბეს ძნელიაო. ასე იფიქრეთ ცათა ქვეშეთა სამი მონაწილეობაა, თუ ერთი თანახმანი არ არიან, იმათი ბრძოლა ძრიელ ძნელიაო, ასე რომ დიდის ლაშქრისა და დიდის მძლავრი ფალავნების პატრონნი არიანო, ფასკუნჯიც იმათთან არისო და ფარვან დევიცაო, რომ იმისთანა ფალავანი და ჯადოს მცოდინარე ცათა ქვეშ არ დაბადებულაო და ახლა თქვენ ხუთნივე უმაწვილები ბძანდებითო და იფიქრეთ, შეგიძლიანთ იმათთან ომიო? მე თითონ გირჩევთ რომ თქვენი მამა-პაპის სისხლი აიღოთო. მაგრამ რომ ვერ შეიძლოთ და თქვენი თავიც ზედ დაადოთო და სახელმწიფოებიც ხელ მეორეთ აოხრებინოთ, უფრო სათაკილო იქნებაო? ესე მოახსენა და დაჩუმდა. კიდე ეს ხელმწიფენი დაფიქრდნენ და იმ დროს ერთი ვეზირი ჰყვანდა ადამ ხანის შვილსა; ის ვეზირი წამოდგა და მოახსენა: ხელმწიფენო! მაგაზედ ნუ შესწუხდებიითო, მე ნება მიბოძეთ წავალ შავ დევსაც, ხაზარან დევსაც, საყანჩუნ დევსაც, არჯავ დევსაც და ბაუბაუ დევსაც ვნახავო. მე შემიძლიან რომ თავიანთის ლაშქრით, ფალავნებით და აგრეთვე ყულყუნ ჯადო და ბარუელ ჯადო ყველანი აგმალოვო. ისინი დევნი არიან და კიდეც ირცხვინან იმათის დამორჩილებასაო. ამათ შეუძლიანთ რომ ოცდა ხუთი ასი ათასი ლაშქარი შეყარონ და თუ თეთრი დევიც დავიმორჩილეთ უფრო კარგიაო, თუ არა იმას გარდა შავი ზღვის სანაპიროში ორი მძლავრნი დევნი მკვიდრობენ; დიდის ქალაქების და დიდის ჯარების პატრონები არიანო. ერთსა ჰქვიან ულხუზ დევი—სამი თავი აბია და სამასი მწყრთა სიმაღლე

აქვს, მეორესა ჰქვიან მაზმურ დევი, ისიც არის ორას ორმოცის მწყრთის სიმაღლე და ორი თავი აბია, ამ ორთაც შეუძლიანთ რომ ოცჯერ ასი ათასი სულ ცეცხლის ფრქვეველი ჯარი შემოუარონ და დიდის ხაზინების პატრონიც არიან და უცხო ფალევანი დევნიც ჰყავსანთ. თითონ მაზმურ დევი და ულხუზ დევი ბაუბაუ დევს ყოველფერში, ესე იგი ძრიელებაში ადგილად სჯობიანო, მრავალი ჯადოს ლაშქარიცა ჰყავთო. ამას გარდა თქვენ ხუთთა ხელმწიფეთა ვიცი რომ, ოცჯერ ასი ათასი მეომარი ჯარი გყოლებათ და როდესაც სულ ერთად შეიყრებით და ამოდენა ძალა რომელ სახელმწიფოზედაც მივა, რა სახელმწიფო გაუძლებსო! ანგარიშით თუ სულ ერთად შეიყარნენ, მაშინ მთელი ხელმწიფის ქვეყნები სამი წილდ შესრულდებაო. რა ამ ვეზირმა ეს სიტყვა დაასრულა შემდეგ დაჩუმდა. იმ დროს რა ამ ხუთთა ხელმწიფეთა ესე სასიამოვნო ამბავი მოისმინეს, მაშინვე ამ ვეზირს დიდი ძალი საჩუქარი უბოძეს და დიდი ქვეყნების ჩუქებაც აღუთქვეს. ერთის სიტყვით ეს ვეზირი მოამზადეს უცხოს ფეშქაშებით და ბაუბაუ დევისაკენ გაისტუმრეს.

აქ ამ ხუთთა ხელმწიფეთაგან ვეზირის გაგზავნა დიდის ფეშქაშებით ბაუბაუ დევთან, შავ დევთან, ხაზარან დევთან, სიყანჩუნ დევთან, არჯაგ დევთან, ულხუზ დევთან და მაზმურ დევთან სალაპარაკოთ და მოსაწვევნათ. ვნახოთ ეხლა ეს უმეცარნი რას გაარიგებენ, ბოლოს გამოჩნდება და კიდეც მოგხსენდებათ.

## ეს ვეზირი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ეხლა ამ ხუთთა ხელმწიფეთა ამბავი მოვიხსენიოთ:

რა ამ ხელმწიფეთა თავიანთ საკუთარი ვეზირი გაისტუმრეს, მაშინ ესენიც სამზადისს შეუდგნენ, თურქმანის ხელმწიფის შვილებმა მოახსენეს: ხელმწიფენო! ეხლა ჩვენ ნება გვიბოძეთ რომ წავიდეთ და მოვემზადოთო, ამ ოცდა ხუთ დღემდინ ჩვენის ყოველივე ძალით თქვენსა ხელმწიფობას ვიახლებითო დიდის ხაზინებითაო. მაშინვე ნება მისცეს და სთხოვეს რომ, თქვენც დროით მოდითო და ჩვენც ყოვლის ჩვენის ძალით და ხაზინით მზად დაგხვდებითო.

## აქ თურქმანის ხელმწიფეებისა თურქმანში მოსვლა, იბრეიმ ხანისა, მეით ხანისა და დიდი სამზადისის ნახვა:

რა ეს ძმათა შვილები იბრეიმ ხანი და მეით ხანი, თავიანთს საბძანებელში მოვიდნენ და ბძანება გასცეს, დიდროვანი ჯარები დაიბარეს და

უცხოთაც მოემზადნენ. მაშინ რა გავიდა მრავალი ხანი უცებ ბძანება მოუვიდათ თურქმანის ყოველივე საბძანებელში; სიჩქარით შეიყარნენ ჯარები დაიწყეს დენა ოთხუტმეტი დღე და მთელი თურქმანის ჯარები მარილაც მსწრაფლად ერთად მოუყარეს თავები. თურქმანის ქალაქს გარეთ დიდი მინდორი იყო და ეს ჯარები სულ იქ დააბინავეს. რა იბრეიმ ხანს და მუსათ ხანს მოახსენდათ ჯარების მოსვლა; დიდად ისიამოვნეს და ჯარების სანახავათ წავიდნენ. შეხედეს ნახეს რომ დიდი მძლავრი ჯარი შეყრილა. რა მივიდნენ ახლოს თავიანთ ვეზირებით, მაშინვე სალამი ჰკადრეს ხელმწიფეებმა, ერთეთვე ჯარმაც დიდი მამაცური ხმით ერთიანათ ხმა მაღლა ხელმწიფეებს სალამი ჩამოართვეს. რა ჯარები გასინჯეს უცხოთ მოეწონათ, მაშინვე ანგარიში ნახეს და შეიტყეს; მეომარი ჯარი იყო ოცჯერ ასი ათასი, ორასი ათასიც ჯადოთ ლაშქარი იყო და ამას გარდა ხუთი ათასიც ფალევანნი იყვნენ. ამ ჯარებს სიჩქარით სარდლები დაუნიშნეს და აგრეთვე ფალევანნი, ყველას თავთავის შესაფერი ჯამაგირი დაუნიშნეს და ორი დღე შეისვენეს, სარდლებს ხალათები უბოძეს და მეორეს დღეს ბნელეთის ქვეყნისაკენ გამოისტუმრეს და თითონაც წამოსასვლელად დაემზადნენ. იმ დროს ორი უცხო დიდებულთაგანნი მოიყვანეს და თავიანთ ტახტი ჩააბარეს, თავს გვირგვინები დაადგეს და ნაზირ-ვეზირები უჩინეს. თითონ იბრეიმ ხანი და მუსა ხანიც აიყარნენ და წამოვიდნენ ბნელეთისაკენ, როგორც იყო მოასწრეს ბნელეთის ქვეყანაში (ისმეილ ხანის, უსეინ ხანის და მამად ხანის სახელმწიფოში.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და მოვიდეთ ბნელეთის ხელმწიფეებთან.

რა ამათ ეს ორნი თურქმანის ხელმწიფეების შვილები გაისტუმრეს ჯარების მოსაწვევათ, მაშინ ეს სამნი ხელმწიფის შვილებიც მოემზადნენ და ყოველს თავიანთ საბძანებელში ბძანებები გაგზავნეს და სადაც კი უცხო ფალევანნი ანუ ჯადონი იყვნენ, ყოველივე მოიწვიეს. მაშინ რა ბძანებები მიიღეს ყოველნი მოემზადნენ და ჩქარის სიარულით ბნელეთის ქვეყნისაკენ გასწიეს; რამდონსამე დღეზედა უკვე მოასწრეს, ისმაილ ხანის, უსეინ ხანის და მამად ხანის საბძანებელში. მისვლისთანავე მოახსენეს: ხელმწიფეენო! თქვენი დაბარებული ჯარები და სარდლები გიახლნენო. რა ეს ამბავი მოიხსენიეს, მაშინვე ეს სამნი ხელმწიფეენი სიჩქარით წინ მოეგებნენ და გამოუძღვნენ მიიყვანეს ერთს უცხოს დიდს და მშვენიერს

ადაგას ჩამოახდინეს. შემდეგ სარდლები დაიბარეს და ჰკითხეს: რამდენი ათასი არის მეომარი კაციო? მოახსენეს სარდლებმა: ხელმწიფენო! სულ თქვენის სამთავის სახელმწიფოდან ოცდა ათი ათასი არისო, ათი ათასიც ფალევანიო და ორასი ათასიც ჯადოს დამქარიო. მაშინვე სარდლები და ფალევნები უჩინეს, ჯამაგირები დაუნიშნეს და დააყენეს.

## ახლა თურქმანის ხელმწიფის შვილების იბრეიმ ხანისა და მეით ხანის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ისინიც თავიანთ სახელმწიფოდამ წამოვიდნენ, თავიანთის ოცის ათასის ჯარის კაცებით, ღამე და დღე განუწყვეტლად იარეს და ბნელეთში მოახწიეს. იმ დროს საჩქაროდ პირდაპირ ისმეილ ხანის და იმისი ძმების სასახლისაკენ გამოსწიეს. რა მოახლოვდნენ, მაშინვე ცხენებიდამ გადახტნენ და საჩქაროდ მოახსენეს: ხელმწიფენო! თურქმანის ხელმწიფენი გიახლნენო. რა ისმეილ ხანმა, უსეინ ხანმა და მამად ხანმა ეს ამბავი მოიხსენიეს საჩქაროდ წინ გამოეგებნენ, ერთმანერთს გარდაეხვივნენ და დიდ ხანს ლოშნიდნენ. რა სალმობა გაათავეს, მაშინ სასახლეში შევიდნენ უცხო მეჯლისი გამართეს და უცხოთაც შეექცნენ. შემდეგ იბრეიმ ხანის და მეით ხანის ჯარების გასასინჯავათ წამოვიდნენ ნახვის უმალ ძალიან მოეწონათ. მაშინ თავიანთ ჯარები და იმათი ერთათ შეყრთეს: რომელიც შეიქნა ოთხმოცი ასი ათასი მეომარი ჯარი. ამათ ჯამაგირები დაუნიშნეს, კიდეც დაურიგეს და საჩქაროდ ერთი დიდი მთის ძირში დააბინავეს და თითონ გამობრუნდნენ და ქალაქში მოვიდნენ. შემდეგ დაუწყეს ლოდინი იმ ვეზირს, რომელიც გაგზავნილი იყო ბაყბაყ დევთან და აგრეთვე მეორე დევებთან ამბავის მოსატანათ.

## ეს ხელმწიფეები ამ მომავლობაში დაუტეოთ და ახლა ამ ხსენებულ გაგზავნილი ვეზირის ამბავი მოვიხსენიოთ.

ამაში რამდონიმე დღემ განვლო, რომ ამ ვეზირმა მიახწია ბაყბაყ დევის საბძანებულში, თითონ კი ბაყბაყ დევის სასახლესთან გადმოხტა. მაშინვე ბაყბაყ დევის კარის კაცთა ჰკითხეს: ადამიანო თქვენ ვინა ხართო ანუ საიდამ მოხვალთო? მაშინ ვეზირმა მოახსენა: ჩვენ ბნელეთის ხელმწიფის და თურქმანის შვილების ვეზირი გახლავართო, ესე იგი ისმეილ ხანისა, უსეინ ხანისა, მამად ხანისა, იბრეიმ ხანისა და მეით ხანისაო.—

ჩვენ დიდი ხელმწიფე ბაყბაყ დევთან გამოგზავნილნი ვართ და წიგნები გვაქვსო; ნება მოგვეცით რომ ვნახოთო. შევიდნენ და მაშინვე მოახსენეს: ხელმწიფეო! ხმელეთის, თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფეების ელჩები გახლავანო და თქვენის ნახვასა დომულობენო. მაშინვე შემოყვანა უბძანა, რა შევიდნენ და ამ დევს შეხედეს შიშით გულები დაუსკდათ და კინაღამ პირქვე დაეცნენ. როგორც იყო გულები გაიმაგრეს, გაექანენ და მუხლთა აკოცეს და გამობრუნდნენ; მარცხნივ და მარჯვნივ შახედეს, ასეთი სარდლები ისხდნენ რომ, თითო მთებს გვანდნენ. გარდა ამისა ნახეს რომ შავი დევი, ხაზარან დევი, არჯავ დევი და საყანჩუნ დევიც იქ არიან და მეჯლისი აქვთ. იმ დროს ამ ვეზირებს საჯდომი ადგილი უჩვენეს. ცოტას ხანს შემდეგ ბაყბაყ დევმა უბძანა: მშვიდობა თქვენი მოსვლაო და ახლა ბძანეთ დაბარებული თქვენის ხელმწიფისაო. მაშინვე ვეზირი ფეხზედ წამოდგა და წიგნები მიართვა; აგრეთვე თითო წიგნიც მიართვეს შავ დევს, ხაზარან დევს, არჯავ და საყანჩუნ დევებს; გარდა ამისა რაც პირათ მოსახსენებელი ჰქონდათ პირათ მოახსენეს. წიგნები რომ ჩამოართვეს და პირათაც შეიტყეს მაშინ მათ ვეზირთა დაჯდომა უბძანეს, თითონ კი ხალვათში შევიდნენ ხუთნივე, წიგნები წაიკითხეს და ერთმანერთს შეხედეს. დიდხანს აღარა თქვეს რა. ამ დროს ის მაცდური რაჯაბ ქემაკიც მოეჩვენათ; გადაიარა და თავს დაჯდა, შემდეგ უთხრა მშვიდობა ჩემო გულის ნაწილნო და უცხო ხელმწიფენოვო, იმ დროს ბაყბაყ დევმა უთხრა: შე წყეულო კიდევ მოხველი ჩემსა შესარცხვენათაო? მაშინ რაჯაბმა უთხრა: მაგისთანა სიტყვებს რომ მეუბნებით, მეც იმისათვის ხელს არ გიმართამო. იმ დროს შავმა დევმა უთხრა: ჩვენო ღმერთო აბა ახლა თურქმანის ხელმწიფეების და ბნელეთის ხელმწიფეების წიგნები მოგვივიდათ და შემწეობასა გვთხოვენო, ამისას რასას გვიბძანებო? მაშინ რაჯაბმა გაიცინა და უთხრა: მე იმისთვის მოვსულვარ თქვენთან რომ ყოველივე რაც ჩემთვის შეგიცოდნიათ ის მიპატიებია თქვენთვისაო, რომელიც მე დამტოვეთ და უხილავი ღმერთი იწამეთო აბა რაღა შემწეობა მოგცეთო? რომელიც თქვენ ის ვერა გხედავთო და ვერც თქვენ იმასაო, აბა ერთი მითხარით რა უნდა შეატყობინოთო. ამაზედ დიდხანს დაფიქრდნენ, მაშინ იმ წყეულმა უთხრა: ხედამ თურქმანის ხელმწიფის შვილებსაო? იბრეიმ ხანს და მეით ხანს, ბნელეთის ხელმწიფის შვილებს; უსეინ ხანს და ისმეილ ხანსაო რომ ჩემი სიტყვა დაიჯერეს და ოთხმოც ჯერ ასი ათასი ჯარებით და ფალავნებით წამოვიდნენო და მთელს ხმელეთს დაპყრენო; აგრეთვე თქვენც თქვენის ჯარებით წადითო და რომელს მხარესაც როგორც დაგინიშნოთ ისე მოიქეცითო და ჩემს სიტყვას აღარ გადა-

ჩვიდეთო. რაკი თქვენ და იმ ხელმწიფეებს ერთი პირი გექნებათ, ბლარავის ვეღარ შეუძლიანთ თქვენი დაძვრათ, მთელ ხმელეთსა და ზღვასა სულ თქვენ დაიპყრობთო. ახლავე რაც ჯარები გყავს, სულ შამოიყარე, აგრეთვე შენი გმირნი ფალევანნი და სარდლები. შავი დევი, ხაზარან დევი, საყანჩუნ და არჯავ დევი; თავიანთის ჯარებით, აგრეთვე მაზიანის კუნძულში ყულუნ ჯადო და ბარუულ ჯადონიც: ესენი სულ შამოიყარე. რა რომ სრულათ შეიყარნეთ, მაშინათვე უნდა საჩქაროთ ბნელეთის მხარეს ერთი დიდი მთა არის, ჯარები იქ უნდა დააყენოთო და თქვენ თქვენის სარდლებით და ჯადოს ლაშქრით იქ უნდა იყოთ. ბნელეთის ხელმწიფენი და თურქმანის ხელმწიფენი ერთათ უნდა შაიყარნეთ და როგორც სჯობდეს ისე მიხედეთო. რა ამ წყეულმა იმისთანა სიტყვები ბაუბაუ დევს უბძანა და იმათსა უგუნურსა სარდლებსა, იმათაც ისრე აღასრულეს. მაშინვე ყულუნ ჯადო და ბარუულ ჯადო დაიბარეს, ამისთანაცა რომელიც შავი ზღვის კუნძულში ორნი დევნი მკვიდრობდნენ, სახელწოდებულნი ყლსუზ დევი და მაზმურ დევი; იმათაც საჩქაროთ წიგნები მისწერეს და დაიბარეს რა ამათთან კაცები მივიდნენ ბაუბაუ დევისაგან, საჩქაროთ წიგნები მიართვეს. რა წაიკითხეს დიდათ ისიამოვნეს და ესენიც დაემზადნენ თავიანთის ჯარებით. დიდის ხაზინებით და ფალევან სარდლებით წამოვიდნენ, მანამ ესენი მოვიდოდნენ, მანამ ბარუულ ჯადო და ყულუნ ჯადო მოვიდნენ და პირდაპირ ბაუბაუ დევთან შევიდნენ, მივიდნენ და თაყვანი სცეს. მაშინვე ბაუბაუმა საჯდომი ალაგი უჩვენა და შემდეგ რაც რომ აზრი ჰქონდა ან ხელმწიფეების მოწერილი წიგნები იყო სულ აჩვენა. რა ყულუნ ჯადომ წაიკითხა, გულში დიდათ ეწყინა და სთქვა: მაშინ ხომ ბევრი რამ დააკლდით და ახლა ხომ სულ აიკლებით. შემდეგ გამოეთხოვნენ ყულუნმა და ბარუულმა ამ სიტყვებით: ჩვენ წავალთ მოვემზადებითო და ისე გიახლებითო. მაშინვე ბარუულ და ყულუნ წამოვიდნენ თავიანთ ქალაქებში. იმ დროს რასაც წამს ბარუულ ჯადო თავის სახლში მივიდა. მაშინვე ჯარები შემოყარა და ბაუბაუ დევისაკენ წამოვიდა, თავისის ჯადოს ლაშქრითა, ყულუნ ჯადოს გამოუარა—ყულუნ ჯადომ უთხრა, ბარუულ შენ წადი და მეც ამ ორიოდე დღეს საქმე მაქვსო და მეც ჩქარა წამოვალო, ვინიცობაა დამიგვიანდეს ნუღარ დამიცდითო. მე ჩქარა მოგეწევითო. ბარუულ ჯადო წამოვიდა თავისი ჯარებით, მოვიდა ბაუბაუ დევთან, თავი დაუკრა. ბაუბაუს დიდათ უამა და უბძანა: ყულუნ ჯადო ის რაღა იქნაო? მაშინ მოახსენა: ხელმწიფეო! ისიც ჩქარა გიახლებათო. რაღას ვაგრძელებთ, როდესაც ბაუბაუ დევმა თავიანთ ჯარები სულ შამოიკრიბა და აგრეთვე შავი დევი, ხაზარან დევი, საყანჩუნ დევი და არჯავ დევნი თავიანთ სარდალ-ფალევნებითა, მო-

ვიდნენ და დიდის ძალით და მრავალის ლაშქრით ერთათ შეიყარნენ. მაშინვე მეჯლისი გამართეს და უცხოთ შექცნენ. შემდეგ ულხუზ დევს და მაზმურ დევს დაუწყეს ლოდინი. განვლო ამასობაში ათი-თორმეტი დღე ისინიც მოვიდნენ. რა მათი მოსვლა გაიგეს, ადგნენ და წინ მიეგებნენ. რა ერთათ შეიყარნენ, ერთმანერთს მიესალმნენ. შემდეგ ბაყბაყ დევმა უკრეს დაუწყო მაზმურ დევს და ულხუზ დევს და კარგათ გასინჯა. შემდეგ სთქვა მართლაც უცხო ფალავნები ყოფილხართ, ახლა ჩვენი წინაღმდეგი ვინღა იქნებაო. მაშინ ბაყბაყ დევმა უბძანა: მაზმურ დევო და ულხუზ დევო! რამდენის ასის ათასის მოლაშქრეთა ხართო? მაშინ ულხუზმა მოახსენა: ჩემი საკუთარი ჯარი მყავსო, სულ ცეცხლის მფქვეველი დევნი ათასჯერ ასი ათასიო, ორასი ათასიც სარდალი და ფალავნნიო, მაზმურ დევსაც ერთი ამოდენა ქონებაო: ერთის სიტყვით ჩემი და მაზმურ დევის ლაშქარი ერთიანათ სარდალ-ფალავნებით არიან ოცდა ოთხჯერ ასი ათასიო. ბაყბაყ დევის, შავი დევის, ხაზარან დევის, არჯავ დევის და საყანჩუნ დევის ჯარებიც არის სულ რიცხვით ასჯერ ასი ათასი და ათჯერ ათასიც ჯადოს ლაშქარი არისო. რა ეს ამოდენა ჯარები ერთათ შეიყარნენ, ამათმა ორთქლმა ჰაერი მოიცვა, მაშინათვე გამოვიდნენ და ეს ამოდენა ჯარება გამოამგზავრეს და დანიშნულ ადგილას უბძანეს მისვლა და იქ მოგვიცადეთო. თითონ ბაყბაყ დევი, შავი დევი, ხაზარან დევი, არჯავ დევი, საყანჩუნ დევი, ულხუზ და მაზმურ დევი, ბარუელ ჯადო, ესენი ბნელეთის მხარეს წამოვიდნენ ხელმწიფეებისკენ და რა ბნელეთის ქალაქში მოვიდნენ, სადაც ისმეილ ხანისა უსეინ ხანისა და მაჰმად ხანის საბძანებელი იყო. იმ ხუთთა ხელმწიფეეთა სადაც შეყრილნი იყვნენ თავიანთის ჯარებით იქ მოახწიეს, შეხედეს ნახეს, ასეთი ქალაქი რომ არას სახელმწიფოში არ იქნებოდა; ერთი ისეთი დიდი და მშვენიერი ქალაქი იყო და ასეთი ციხეები ჰქონდია რომ, რაც უნდა მძლავრი ჯარები შამოადგეს თუნდა მთელი ქვეყნის ჯარები შემოეხვიოს მაინც ერთი ქვის გამოძრობასაც ვერ შეიძლებენ; ამას გარდა მარჯვნივ და მარცხნივ ორ რიგათ ასეთი მძლავრი ადამიანთ ჯარები ედგას რომ, ასე ეგონებათ მნახველთ რაც ხმელეთზედ სახელმწიფოები არის, იმათ ჯარები სულ აქ შეყრილანო, მაშინ ბაყბაყ დევმა უბძანა თავის სარდლებსა: ამ უსეინ ხანს, ისმეილ ხანს და მამად ხანს თუ კი ამოდენა ჯარები და ფალავან-სარდლები ჰყოლიათ და ამისთანა სიმაგრე, ჩვენ რაღა საჭირონი ვიყავითო? ამათ რა სახელმწიფოები გაუძლებსო. მაშინ თავისმა სარდლებმა მოახსენეს; ხელმწიფეო თქვენი და თქვენის სარდლების სახელი მთელს ქვეყანაზედ მოფენილი არისო. შემდეგ თავიანთ მისვლა ხელმწიფეებს აცნობეს. რა იმ ხელმწიფეეთა ამათი მისვლა შეიტყეს, ხუთ-

ნივე ხელმწიფენი თავიანთის სარდალ-ფალავნებით წინ მიეგებნენ; რა ამათ
ბაუბაუ დევს შახედეს სთქვეს, ღმერთო, ეს როგორი ცხოველნი არისო?
სწორეთ ერთს მთას მიამგზავსეს და აგრეთვე იმისი სარდლები; მაგი დე-
ვი, ხაზარან დევი, არჟავ დევი, საუანჩუნ დევი, ამასთან ულხუზ დევი და
მაზმურ დევი, ესენი რაკი შორით გასინჯეს მაშინ სთქვეს, ნეტავი ჩვენ-
სავე სახელმწიფოში დავხოცილ ვიყავით და ესენი არ გვენახა. მაშინ კი-
დეც ერთმანერთს დაუახლოვდნენ. რა ბაუბაუ დევმა ხელმწიფეები დაინახა
თავის სარდლებით, მაშინ ქვეითი წინ მოეგება და ხუთნივ ხელმწიფენი
გულზედან მიიკრა და მიესალმა; ამათაც მიესალმნენ. რა სალამობა მორჩნენ,
შემდეგ წინ გამოუძღვნენ და სასახლისაკენ წავიდნენ, მაშინ მოქალაქენი
წინ მოეგებნენ და დიდი ძალი თვალ-მარგალიტი გარდააყარეს ბაუბაუ დევს
და იმის სარდალ-ფალავნებს. მაშინ დიდი მადლობა უბძანა, შავიდნენ სა-
სახლეში და დასხდნენ. რაღა თქმა უნდა უცხო მეჯლისი გამართეს და უც-
ხოთ შეექცნენ; მთელი ერთი კვირა სულ მაქცევაში და ლხინში იყვნენ.
რა ლხინისაგან მობეზრდნენ, შემდეგ ცოტას ხანს მოსვენებას მიეცნენ.
რა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მზემან თავისი სხივნი ქვეყანას
მოჰფინა, ესენიც აიშალნენ და ერთათ შეიყარნენ. ახლა რჩევა შექნეს, რო-
გორ უნდა დაეწყოთ საქმე, მერე ბაუბაუ დევმა ჰკითხა, ხელმწიფენო ეს
ამოდენი ჯარები რო გყოლიათ და უცხო ფალავნები ჩვენ რაღა საჭირონი
ვიყავითო?

მაშინ ხელმწიფეებმა მოახსენეს: ხელმწიფეო! რაც უნდა იყოს მაინც
თქვენი სახელი და თქვენის სარდლების სახელი ცის ძირამდის მოფენილი
არისო. ამ სიტყვებზედ დიდათ გაიცინა უმგზავსი პირით ბაუბაუმა და მო-
ახსენა: თქვენ ფიქრი ნურავისი გაქვსთო, მე რაკი თქვენამდისინ მოვასწიე
ქნა მე იმათ სულ ფეხით დავჭყლეტამო, მაშინ იმათი მაცდური და ეშ-
მაკი რაჯაბი ღმერთი იქ უჩინრათ იდგა და ამ ბაუბაუ დევის სიტყვაზედ
გაიცინა და სთქვა, თუ ქურუკ ყარამან თავისის ძრიელის ფალავნებით ის-
ევ ცოცხალნი არიანო; მგონია რომ შენი ტყავიც გუდათ ამოღებული
ზარბაქ დევის ქალაქიდან გამოიკიდოსო. იმ დროს ბაუბაუ დევმა უთხრა:
ხელმწიფენო! თქვენ ქურუკისაგან და ანუ იმათ ფალავნებისაგან რა წაგკი-
დებიათო ყველა მიანებეთო? მაშინ ამ ხუთთა ხელმწიფეთა რაც ამათ მა-
მებს ინდოეთში რუიზანისაგან საქმე მოხდენოდათ და ანუ ქურუკისაგან ბნე-
ლეთის კუნძულში, როგორც მიხდომოდათ და მილეთით მაღრიბში რო-
გორც გამოეგზავნათ, ყოველივე უამბეს და (შესჩივლეს ტირილით), ბო-
ლოს თქვენი ძრიელება და თქვენის ფალავნებისა ჩვენმა ღმერთმა რაჯიბმა
გვიბძანათ, თუმცა ის შერიგებული არისო ბაუბაუო, მაგრამ მოატყუას,

თქვენ იმას შესწირავდეთო და ის ყველა სახელმწიფოების წაართმევსო და თქვენს სისხლსაც ის აიღებსო და ამასთან მთელი ქვეყნის ხელმწიფობაც იმისათვის მიიღოსო. ეს სიტყვა ბაყბაყ დევს და იმისა უგუნურ სარდლებს დიდათ იამათ და რაჭაბისაგან იმისთანა სიტყვის თქმა მოეწონათ. იმ დროს ის წყეული თეთრის ტანისამოსით მოსილი, ხელში დიდი კრიალოსანი ეჭირა, გადმოიარა დაჯდა და უბძანა: ხელმწიფეებო და ფალევნებო! მშვიდობა თქვენი ნახვაო. ისინი დედამიწაზედ დაცვივდნენ და დაჩოქილნი ყურს უგდებდნენ, მაშინ კიდევ უთხრა ეშმაკმა: ხელმწიფენო და ფალევნებო! ახლა ძრიელ სარწმუნოთ იყავით რომ არდევან შაჰის სახელმწიფოები სულ თქვენთვის მომიცია, ქურუკის ფალევნობა და იმისი ფალევნების ძრიელება, სულ დამირღვევია და ყოველივე იმათი საბძანებელი სულ თქვენ უნდა დაგრჩეთო. ბაყბაყ დევო! შენ და შენს სარდლებს ქვეყანაზედ რა გაუძლებდათ, მაგრამ შენ ბევრნაირათ მაწყენინე და იმისათვის ძალა და ძრიელება მე თითონ გამოგაცალე და იმათ მივეცით; წახვედი და იმათ უხილავი ღმერთი იწამეო! ეს ჩემი წინააღმდეგობა და წყენა ყოველივე შენთვის მიპატიებიაო. ახლა ამას იქით ჩემი ერთგული მონა იყავით. მაშინ ბაყბაყ დევი და იგი ხელმწიფენი თავიანთის ფალევნებით მიწაზედან დასცვივდნენ და ვედრება დაუწყეს... მაშინ კიდევ ეშმაკმა ხმა უყო: ჰე თქვენ ხუთნო ხელმწიფენო! ეს ბაყბაყ დევი თავის სარდლებით თქვენი მეომრები იქნებიანო და როდესაც ქვეყანას დაიპყრობთ, მაშინ ამათ დიდრონი ქვეყნები უნდა მისცეთო, ამას შემდეგ ჩემსა სახელს ახსენებდეთო და ისე მიდითო, მეც თქვენთან განუყრელათ ვიქნებიო, და ეს ბარყულ ჯადოც განუყრელათ თქვენთან იქნებაო თავისის ჯარებითა. ახლა ესრე მოიქეცითო.—გამოვიდა რაჭაბ და უჩინარი იქმნა. მაშინ წამოდგნენ ეს ხელმწიფენი და ფალევნები დიდის სიხარულით ამ უგუნურთა ხელმწიფეთა; იმდენი არ იცოდნენ რომ ღვთის მლოცავსს, ღმერთი არ გაუშვებს და ეშმაკის მლოცავს არასოდეს არ გაუმარჯვებს. ახლა შეიყარნენ სულ ერთათ და დაიზიარეს რომ რომლის მხარიდამ როგორ, ან რომლებიი მივიდნენ. მაშინ ბაყბაყ დევმა უბძანა: ხელმწიფენო! თქვენ ხუთნივ თქვენის ლაშქარ-ფალევნებით და ამ ორის გამოჩენილი დევთა სარდლებითა; თავიანთის სარდალ-ფალევნებით, ულხუზ დევით და მაზმურ დევით უნდა ინდოეთზედ მიხვიდეთ, და იქ ისეთი არავინ გამოჩნდება, რომ ამ დევთა პასუხი გასცენო. ბარყულ ჯადოც თავისის ჯარებით თქვენთან იქმნებიანო. მერე მოუბრუნდა მაზმურ დევს და ულხუზ დევს უბძანა: თქვენ იციით როგორც გაირჯებითო და რასაწამს მიხვიდეთ და დაამარცხოთ, მაშინვე ინდოეთის ხელმწიფე როვშანბახტ და იმისი ცოლი რუიზან, საჩქაროთ

შეიპყარ, ორნივე დაატუსაღე და ყოველივე იმისი სახელმწიფო მაჰრათ დაიჭირეთ და ჩემს მოსვლამდისინ იქ იყავით, ამასთანაც მრავალთ ყმაწვილები დააგროვეთ, დიდებულთა შვილები და ვინც დიდნი კაცნი იყვნენ ყოველნი შეიპყარით, რადგანათ მოიქეცით, ახლა ჩემის ღმერთი რაჯიბისათვინ მიმიბარებიხართო,

რა ესენი ამნაირათ გაამგზავრა, მაშინ თითონ და შავი დევი, ხაზარან დევი თავიანთის ჯარებით ზარბაქ დევის მხარეს გაგზავნა, არჯავ დევი და საყანჩუნ დევი თავიანთის ჯარებით მაღრიბში. და აგრეთვე თეთრი დევის სახელმწიფოში მიუჩინა. იმ დროს კიდევ ერთათ შეიყარნენ და დიდრონი ცეცხლები დაანთეს, რამოდენიმე კაცი ცეცხლსა შესწირეს და დაიჩოქეს; ხელ გაპყრობილნი ევედრებოდნენ რომ ჩვენსა მტერზედა გაგვიმარჯვეო. მაშინ ცეცხლისაგან თავიანთ ეშმაკის ხმა გამოხდა შემდეგის სიტყვებით: „ჩემო მონანო ხუთნო ხელმწიფენო"! მთელი ინდოეთი თქვენ ხუთთავესთვის მიბოძებიათ, მაღრიბი და თეთრის დევის საბატონო არჯავ და საყანჩუნ დევებისათვისაო ზარბაქ დევის სახელმწიფო ვიდრე სამთავისამდინ და ქაბულამდისინ, ბაჲბაჲ დევისათვისაო და ქაბულიდამ ყარამანია ქალაქი, უმანგბათი, რაც რომ აქეთ ქვეყნებია შავის და ხაზარან დევისათვინ მიმიცია. ნარიმან, ყოვლიბან, ხოსროვშირ, ყათრან და ბარჯმჯიბილ, უმანგის შვილი, არდევან შაჰი, ქურუკ ყარამანი ესენი თავიანთის ცოლშვილებით სულ შეიპყარით და დაატუსაღეთ როდესაც მე მოვალ მაშინ როგორც გიბძანებთ ისრე აღასრულებთო... რა ეს ბძანება იმამაცდურმა ბილწმა რაჯიბმა იმათ უძახა, მაშინათვე ისმაილ ხანი, ქარამხანის შვილი, უსეინ ხანი, მაჰმად ხანი, იბრეიმ ხან და მეთ ხანი, ულხუზ დევი და მაზმურ დევი თავიანთის ლაშქრებით და დიდის ძალით ინდოეთისაკენ წამოვიდნენ, იქ ერთი მაღალი მთა იყო, იქ დაბინავეს. არჯავ დევი და საყანჩუნ დევი თავისი ჯარებით თეთრ დევზედ და მაღრიბისაკენ წამოვიდნენ და ქალაქის სიახლოვეს ერთ უჩინარს ალაგას ჩამოხდნენ და დაბინავდნენ. შავი დევი, ხაზარან დევი და თვითო ბაჲბაჲ დევი ანბირ და ზანგ დევის საბძანებლისაკენ წამოვიდნენ. გზები და ალაგები რომ კარგათ იცოდნენ და მოვიდნენ სიახლოვეს. ესენიც ერთს უჩინარს ალაგას ჩამოხდნენ და დაბინავდნენ.

ეს ზემოხსენებული ბაბაყ დევის ამბავი და ხელმწიფეებისა დაუტევოთ თავიანთის მიმავლობაში და ახლა სხვა ამბავი ვიწყოთ. — ესლა ქურუკ ყარამანის და იმ ოთხთა ფალავანთა ამბავი მოვიხსენიოთ: როდესაც ყოვლიბან, ხოსროვშირ, ყათრან, ბარამჯიბილ, ნარიმან და არდევან შაჯი ერთათ შეყრილნი, დროებას ატარებდნენ და დიდსა შექცევაში იყვნენ, ამასთანაც ის ახალი ფალავანნი ხოსროვშირის შვილი ხოსროვზად, ყოვრიბანის შვილი ბეგზად შაჯი, ყათრანის შვილი გორშარაბ და ბარამის შვილი ბარზინ. ესენი რომ ქურუკმა გამოაცდევინა ფარვან დევს და დიდადაც მოსწონდა რომ უცხო ფალავნები შეიქმნებიანო; შემდეგ ხომ თავიანთ ქვეყნებში გაგზავნა და უბძანა რომ ყოველ თვეში ერთხელ ჩემთან მოსვიდოდეთო, — მკითხველნო ეს ამბავი ხომ გახსოვთ? მაშ ესლა ამათი ფალავნობის ამბავი მოგახსენოთ.

რა ქურუკმა და არდევან შაჯამ, ნარიმანმა და ბურჯვეზირმა უშანგბაითში დიდი ხანი დაჰყვეს. მტერი რომ აღარსაიდ არ გამოუჩნდათ, იყვნენ თავიანთ სახელმწიფოში. იმ დროს ბურჯვეზირმა მოახსენა: შვიდის იყლიმის ხელმწიფევ და სააბყორანო ხმელეთისაო! მაშინ რომ ფარვან დევს იმ უცხოს ფალავანთა შვილები, ესე იგი ყოვლიბანის, ხოსროვშირისა, ყათრანის და ბარამჯიბილის შვილები რომ გამოვაცდევინეთ, იმ დროს უფრო უმაწვილები იყვნენ; ახლა დავიბარეთო, უცხო რამ შეიქმნებოდნენო და ვნახოთო. მაშინ ქურუკმან უბძანა: ბურჯვეზირო! რას ბძანებ, ისინი ასეთი ფალავნები არიანო რომ თავიანთ მამებს ბევრათ სჯობიანო, ისე რომ არცა ჩემს სახელმწიფოში და არც შვიდის იყლიმის სახელმწიფოში, იმათთანა არ დაიბადებაო. მე ყოველთვის ვფიქრობ რომ ისინი კიდევ როგორ უნდა გამოვცადოთ და იმათი ფალავნობა და ძლიერება როგორ უნდა შევიტყოთ. თუმცა გუნებაში მაქვს რომ, რუიზანი დავიბარო და იმას შევაბაო ოთხნივეო, მაგრამ ესეც მეშინიან რომ რუიზანს არა ავნოსრაო. ხოსროვშირის შვილი ხოსროვზად და ყოვლიბანის შვილი ბეგზად შაჯი ძლიერნი ფალავანნი დადგებიანო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ ერთი სწრაფროთ მავალი ფეიკი მოიჭრა ისპაანიდამ; ქურუკ ყარამანი და არდევან შაჰი იკითხა, უთხრეს: სასახლეში პატიჟებიანო. მაშინვე სასახლისაკენ გასწიეს. ამ დროს ბურჯუზირი კარში დასეირნობდა. ნახა ერთი უცხო მამავალი ფეიკი მოდის; ჰკითხა მისი ვინაობა, მაშინვე მივიდა და ბურჯუზირს მუხლთა აკოცა და მოახსენა: შვიდი იელიმის ხელმწიფის დიდო ვეზირო! მე გახლავართ ასიმის და სიროფანჯის აიარი და ხელმწიფესთან წიგნი მაქვსო. მაშინვე წინ გაუძღვა და არდევან შაჰსთან შეიყვანეს. ქურუკი, ნარიმანი, უსიარ, სადაბახურამანი და ბელიჯან სხედან, იმ დროს ამას ლაპარაკობენ რომ გარდანქუმანმა ასე დაგვივიწყაო რომ ეს ამოდენა ხანია აღარ გვნახაო. ამ დროს ბურჯუზირიც შევიდა და ის ფეიკიც თან შეჰყვა. რა არდევან შაჰმა შეხედა, უბძანა: ბურჯუზირო! ეგ აიართა მზგავსი კაცი უცხოსა ჰგავსო და ვინ არისო? მაშინ ბურჯუზირმა მოახსენა ხელმწიფეო! ასიმის და სიროფანჯის გამოგზავნილი კაცი გახლავსთო, მგონი რომ თქვენთან წიგნები აქვსო. მაშინ ეს აიარი დედამიწას დაემხო და პირმიწას გაერთებით ხელმწიფეს არდევან შაჰს თაყვანი სცა და საპიერანს მუხლთა აკოცა, ნარიმან ხელმწიფეს და ბელიუვლევს თავი მძიმეთ დაუკრა, ამოიღო მერე წიგნი და მისართო. მაშინვე გახსნა წაიკითხა და დიდათ გაიცინა და ქურუკს გადასცა, ქურუკმაც მაღლის ხმით წაიკითხა შემდეგის სიტყვებით: „თქვენო მაღალ დიდებულებავ და შვიდის იელიმის ხელმწიფეო და საპიერანო ხმელეთისაო“! პირველად მდაბლად და მიწას დამხობით ტახტსა თქვენისა თაყვანის მცემელნი ასიმ და სიროფანჯა, მოგახსენებთ თქვენს დიდებულებას: გარდანქუმანს ამა სიბერის დროს, მიეცა შვილი, უცხო და მშვენიერი და ტახტისა თქვენისა შესაფერი ფალევანი და აიართა ხელმწიფე, ეს რამოდენიმე წელიწადი დიდსა და მაღლისა, შვიდი იელიმის ხელმწიფეს ვემსახურენით და მრავალი საქმეებიც გვინახავს გარდანქუმანისაგან, მაგრამ არ ვიცით ღვთის განგება არის თუ როგორ მოხდა, რომ ამისთანა აიარი არც მობილა არც დღეის იქით დაიბადებაო. ტანათ მამის ტოლა არის, ასეთი ცქვიტი და მარდი რომ დედამიწაზედ როცა დაიარება, ამას ბძანებთ მიწაზედან ფეხს არა სდგამსო. ეხლავე მამას სჯობიაო და ყოველთვის მამას ეხუმრებაო: ჩემი ამდენი ხანი შინ ჯდომა არ იქნება, ჩქარა ჩვენს ხელმწიფეს მიახლეთო. მაგრამ მამა უშლის რომ ჯერეთ სამი წლისა ხარო და იმათი სამსახური არ იციო. შვილმა მაჰფიცა უკე თუ არ გამგზავნი ხელმწიფეებთანაო გავიპარებიო. ისეთი საკვირველება რომ ვნახეთ, ჩვენც იმისთვის გავბედეთ წიგნის მოწერა, სახელათაც შეთურ აიარი ჰქვიანო. რა ხელმწიფე არდევან შაჰმა, ქურუკ ყარამანმა, ნარიმანმა და ბანოვანთა ესე სასიამოვნო ამბავი

მოართმიეს დიდათ ძამათ და მასპრობელსა მრავალი უბოძეს — და შემდეგ ფრდევსმ მაჭმა ტახტის წინ დაიჩოქა, განიპყრო ხელი და სთქვა: ჰოი, შენ მაღალო და ძლიერო ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ვმადლობ შენსა მოწყალებასა, რომ კვლავ ბედნიერი დამბადე ჩემს სახელმწიფო-ში და ტახტის მპყრობელი მიბოძე. უმეტესი მოწყალებაა რომ იმ ოთხ-თა გმირთა ხელმწიფეთა ასეთი შვილები უბოძე, ასე რომ ჩემის ტახ-ტის მპყრობელნი იქნებიანო; ამის გარდა ახლაც დაბადებულიც რომელიც დღეს მესმა თქვენი წყალობაა, რომელიც ჩვენს ერთგულს გარდანქემანსაც უბოძეთ ასეთი ძეო. ამისთვის ვმადლობ თქვენს დიდებულებასა. ახლა და კიდევ ერთი ხელი ხალათი უბოძა, წიგნი მისწერა და გარდანქემანისა-გან მეფის ბოძება ლეკიისაკენ მიულოცა და დაუმატა, რომ სასიამოვნოთ მივიღებთო, შენი ახალი დაბადებული სახელ წოდებული მეფურ სარო; სასურველია დროთი გვაჩვენოთო. რასაც წამს ჩვენი ბძანება მიიღო; შენ და შენი შვილი, შენის აიარებით სასწრაფოდ ჩვენთან გამოცხადდითო. რა წერილი ესე დასრულდა, გადასცეს აიარს და სასწრაფოდ გაისტუმრეს.

სწრაფის სიარულით მივიდა ალაგს და არდევან მაჭას წიგნი მიართო გარდანქემანს. რა წერილი წაიკითხეს, სასწრაფოდ დაემზადნენ დიდის ფეშ-ქაშებით და ეს ყმაწვილი აიარულათ მიართვეს. ყმაწვილი უცხოდ მშვენოდა, ერთის სიტყვით არაჩვეულებრივი საყვარელება რამ იყო.

## ესე გარდანქემანი ამ მომავლობაში დაუტევოთ და ეხლა სხვა ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ბურჯმეზირმა ქუჩუკს მოახსენა, იმ დროს რომ ის ოთხნი ყმაწ-ვილნი ცხოლგვანით დაიბარეთ; მაშინვე ერთი წიგნი ყოვლიბასანს მისწერეს, მეორე წიგნი ხოსროვშირს, მესამე წიგნი ყათრანს, მეოთხე წიგნი ბარამ-გორიდელს, აგრეთვე ფარვან დევს, საჭმანს თავისი ამხანაგებით, ზორაბ მაჭს, ირთიეთის ხელმწიფეს და თავის დას რუიზანს. რა ამ ხელმწიფეთა ქუჩუ-კის წიგნები მიუვიდათ, მაშინვე დიდის ფეშქაშებით წამოვიდნენ. ყველაზე უწინ როვშან ბახტი და რუიზან მოვიდნენ მცირეს ჯარით. რასაკვირველია ყოველნი წინ გაეგებნენ და მიესალმნენ. შემდეგ ცოტას ხანს მოსვენებას მიეცნენ: შემდეგ ხალვათში ქუჩუკმა უთხრა თავის დას: საყვარელო დაო! მე თქვენთან ერთი საქმე მაქვს და უნდა აღმისრულოთ. მოახსენა დამ: ჩემო თვალის სინათლევ ძმაო და ჩემო მხსნელო, რას მიბძანებ ისეთს რომ ვერ აღვასრულოთ შენი თხოვნა? უბძანა მაშინ: ყოვლიბასანის შვილ,

ხოსროვშირის შვილი, ფათრანის და ბარამჯიბილის შვილები მეტად კარგე-ნი რამ არიანო, თუმცა უყვარვან დევმა გამოსცადოს და კიდევ მითხრა რომ, ძრიელ გულადნი არიანო, მხოლოდ იმათი ძალა მინდა შევიტყო და მიყვარს რომ შენ გამოსცადო ისინი, მხოლოდ დიდათ სიფრთხილით უნ-და მოიქცე. მაშინ მოახსენა საყვარელმა ძმამ, მაგას ადვილათ აგისრუ-ლებო, მაგრამ მე რომ ჩემი სახით ვარ, როდი შემიმჩნევენ. მაშინ უბძანა: მე ოთხნაირს მაგიურს შევამზადებ და ოთხნაირათ შეიცვლებით და ყველას ცალკ-ცალკე გამოსცდით, მხოლოდ ამას გიბძანებ, რომ ეს საიდუმლო მხოლოდ მე და შენის მეტმა არავინ უნდა იცოდესო. საწყაროდ ჩაამზადა მაგიურები და მისცა. ამასობაში რამოდენიმა დღეც განვლო და გარდანქემანი თავისის აიარებით და თავის შვილით მოვიდა. რა შეხვდნენ და ნახეს რომ გარდანქემანი თავისი აიარებით და წინაც ერთი ყმაწვილით მოახლოვდა. ეს ყმაწვილი ძალიან მოეწონათ, დიდათაც გაუკვირდათ და იტყოდნენ: ეს ისეთი რამ სჩანსო, რომ მოინდომოს ციდამ ვარსკვლავს ჩამოიღებსო. ეს ყმაწვილი ცხენიტად გადმოხტომით გამოექანა, დაიჩოქა და პირველად მე-ფის ტახტს ემთხვია, შემდეგ მუხლს, აგრეთვე მეფეებს და შემდეგ გა-მობრუნდა, დადგა. მაშინ გარდანქემანი და აიარები მივიდნენ ხელმწიფეს თაყვანი სცეს და თავიანთ ალაგას დასხდნენ. იმ დროს ხელმწიფემ არდე-ვან შაჰამ და საბურიანმა ყურება დაუწყეს. მაშინ ამ ყმაწვილმა მოახსენა: ხელმწიფეო შვიდის იყლიმისაო და საბურიანო ხმელეთისაო! რატომ ეგ-რე მიყურებთ არ მოგწონვართ თუ რა არისო? არ იცით რომ მე მამაჩემს ახლაც ვჯობივარო. ეს სთქვა და ერთი ასეთი შეხტა, რომ ოცი მწყრთა მაღლა ავიდა. მაშინ დიდად გაუკვირდათ იმის სიმარდეზე და უბძანეს, შე-თურ აიარო! მაგ სიმარდისთვის საჩუქრის ღირსი ხარო, კიდეც მისცეს და უცხოთ შემოსეს, შემდეგ მამას მიაბარეს. რადგან გავაგრძელოთ ეს დაბარე-ბული ხელმწიფეები და გმირი ფალავნები მოვიდნენ.—ხელმწიფეს და სა-ბურიანს თაყვანი სცეს გადაიარეს და თავიანთ ალაგს დასხდნენ, ესე იგი მარჯვნივ მხარეს ყოყლიბანი, ამას გვერდით ხოსროვშირი, ფათრანი და ბარამჯიბილი, ამაზედან ის ოთხნი ახალი ფალავნები, შემოვიდნენ უცხოს არადით და ხელმწიფეს მუხლთა აკოცეს, ქეჩუკსა და ნარიმანსაც კალთას აკოცეს. შემდეგ გამობრუნდნენ და დედოფლებს ხელთა აკოცეს, დედოფ-ლებიც მოეხვივნენ, პირთა აკოცეს და გვერდით დაისხეს.

იმათსა მშვენიერებას, ფალავნობას და აგებულობას ყველანი ჰკვირობ-დნენ და ამბობდნენ: ღმერთო! ასეთი ფალავნები საიდამ გაგვიჩინე? მა-შინ გარდანქემანის შვილი შეთურ აიარმა რა ეს ოთხნი ყმაწვილნი დაინახა მეტად იამა მივიდა და ოთხსავ მუხლთა აკოცა და თითო თეფში ქამასი

თავს გარდავარდა. მერე მოახსენა: ხელმწიფის შვილო და დიდის ფალავა-
ნების ნაყოფო! მე გახლავარ ჯარდანქემანის შვილი, სახელად მეწოდება
შეთურ აჯარი და მისი-მტერი შვილის იუდამის ჩვენის ხელმწიფის
ტახტის და აგრეთვე თქვენი მონათ ქდა მოსამსახურეთ, გთხოვთ რომ
მიცნოთ რომ მე თქვენ ბევრს ალაგს შეგაქცევთო და გულით გაგახარებ-
თო. ამაზე მრავალი იცნეს და დიდი სიხარულიც მისცეს. ყველას უკვირდა
რომ ყმაწვილის ისეთი სიმარდე. შემდეგ ფარვან დევი საჭმან-ალამზადი თავის
ამხანაგებით, ზარაბ მაჭი და ქურუკის კოჭლი დევი და აგრეთვე რაც რომ
დევის სარდლები იყვნენ, ყოველნი მოწვეულნი იყვნენ და სუყველანი იქ
შეიყარნენ. უცხო მეჯლისი გამართეს და უცხოთაც შექცნენ, მერე მოსვე-
ნებას მიეცნენ. მეთოხველნი, როგომანიატი და რუიზან რომ მოვიდნენ,
ხომ ქურუკმა უბძანა რომ ეს თითო ყმაწვილი გამოსცადეთ და თითხაირი
მაკუმები მისცა და რადგანაც იმათი გამოცდა უნდოდა; მაშინვე ვითომ ინ-
დოეთში გასტუმრა განგებ; რომ არა გაიგონა რაო, ამისთვის რომ იქ
რომ გადავიდოდნენ როგომანიატი და რუიზანი ერთ საკუთარ სახლში ჭამან-
დაი, მაშინ რუიზანმა ერთი მაკუმი შეჭამა და მაშინვე ერთს მავს არაბს
დაემგზავსა; აგრეთვე ცხენს შეაჭამა და ისიც მავათ შესცვალა. ასეთი რამ
შეიქნა, რომ იმის მონისხნებას ვერვინ გაუძლებდა. ამას აქ თავი დავანე-
ბოთ და ახლა მოვიდეთ არდევან მაჭასთან და ქურუკთან.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მზემან თავისი სხი-
ვი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ყველანი აიშალნენ, გამოვიდნენ და ერთად შე-
ყარნენ ხელმწიფე არდევან მაჭი, ქურუკ ფარამანი, ნარიმანი, ყოვლიბანი, ხოს-
როვმირი, ყორანი, ბარამყიბილი, ზარაბ მაჭი, ბურყვეზირი, ფარვან დევი,
სამან ალამზადი, ჯარდანქემან, ასიმ, სიროვანქა და სხვა ხელმწიფეთა თხრი
ფალავნები ფალავნები: ხოსროვ მაჭი, ბეგზად მაჭი, გორშასპ, ბარზაბ,
შეთურ აჯარი ჯარდანქემანის შვილი და ამათთან დედოფლებით სალბიხურ-
მანი, ქსნარი და გულიჯანი; მოედანზედ გამოვიდნენ და უცხოთ შექცეოდ-
ნენ. ამ დროს ორნი ვაცნი სიჩქარით მოიჭრნენ და მოახსენეს: ხელმწი-
ფეო, ამ მოაზედ სანადიროთ გახლდით და შინისკენ წამოსვლას ვა-
პირებდით, შევხედეთ და ვნახეთ, ერთი მავი არაბი მავს ცხენზედ იჯდა,
რა ჩვენ დაგვინახა, სიჩქარით მომიუატავგო თუმცა გამოვექეცით, მაგრამ
რომ წინიდამ მოგვასწროვო და რომ შევხედეთ, ერთი მთის ტოლა ერთი
კაცი იყო, ახლა უდაბნო ამოდიოდა და ასეთს ცხენზედ იჯდა რომ ფრინ-
ველს გავსდა და ასეთი იარაღი ეკრა, რომ დიდის ყარამანის ტანზედაც
არ გვინახავს. ასეთი მოისხანე სახე ჰქონდა, რომ შევხედეთ გულები და-
გვისკდა. რა რომ მიმა შეგვატყო ასე გვითხრა: მე თქვენ არას გერჩო-

თა თუ რომ რაც გკითხოთ მართალს მეტყვითო. ჩვენ მართალი ჭითარუ-ბა მოგახსენეთ. ასრედ გვკითხა: ქურუკ ფარამანი, ქოჯლობანი, ხოსროვშირო, ჭარასი და ბარამჯიბილი მანდ არიანო? ჩვენც ჩვენის მამით თქვენი აქ ყოფ-ნა მოგახსენეთ; მაშინვე გვითხრა: წადით და ახლავე უთხარით იმ ფალევ-ნებს, თუ მამაცნი და კარგი გმირნი არიან, არსად წავიდნენო: მე ვარ არაბეთის ხელმწიფის შვილიო და თავის ჩემის გამოსვლელათ დავდივარო; პირველათ ქურუკ უნდა შემებასო. და თუ არ შემებმის, იმის სახელმწიფოს სულ გავათხრევთო. მანამდისინ ეს გზები ამ სიტყვას დაასრულებდნენ; მიხედეს, ნახეს რომ ერთი უცხო და უცხოს იარაღში მჯდომი და ასეთს ცხენზედ ზის, რომ ქურუკის სამცხენას თუ არა სჯობს, ნაკლები არ არის. უცხო ჭვარტით მოუვანილი ფარი მხარზედ გადაგდებული, მუხა ხელთა-ეწირავს კაპარჯი, ისრით საჟსე აქვს, მშვილდი მხარზედ გადუკიდია და ხვდებული წელთა აქვს შემოკრული. ასე ამ რიგათ მოვიდა, ამ ხელმწი-ფეების წინ მოედანში და ერთი საშინელის ხმით ხარა გასწია და სთქვა: ხელმწიფენო და ფალევანნო! ვიცი რომ ჩემს ამბავს იკითხავთ: მე ვარ არაბეთის ხელმწიფის შვილი და თავის ჩემის გამოსვლელათ მოვსულვა-რო. ვნახა მაგ თქვენს ფალევნებში ვინც უფრო კარგი ხართ გამოდითო. მაშინ უყურეს ამ გმირთა ფალევანთა და სთქვეს: ეს კარგის ფალევანის-ჰგავსო. მაშინ ყოფლიბანს უნდოდა გასვლა, მაგრამ ქურუკმა არ იწყინა და სთქვა, მოიცადე ჯერაო და შესძახა: ჰეი, არაბთა ხელმწიფევ ხარ თუ ვინც-ლაო, მოდი ჯერ ჩვენთან შვილის იულომის ხელმწიფეს თაყვანი ეცი და შემდეგ შენს შემბმელს ფალევანს ვიშოვნით. მაშინ არაბთა ხელმწიფის შვილმა უთხრა: ფალევანო! თუ ხელმწიფის თაყვანებას მოითხოვთ, მამაჩემ-ზედ უკეთესი ხელმწიფე ვინ იქნებაო? იმას თავი არ დაუკრა და არდევან-შაჰს ვინ არისო? მაშინ ამ სიტყვის თქმაზედ ფალევანნი დიდად შეწუ-ხდნენ. ყოფლიბანმა მოინდომა გამოსვლა, ამ დროს მარცხნივ მხრიდამ ერ-თი საშინელი ხმა გამოხდა, მიხედეს ნახეს რომ, ხოსროვშირის შვილი ხოსროვშაჰმა ამ ზანგის მუქარებზედ და ხელმწიფისათვის ეარეთ ხსენე-ბაზედ ასეთი გაცხარდა რომ კაცს შეეხედნა შიშით გული გაუსკდებოდა. მიუხდა და უთხრა: შენ მურდალო და შავო ზანგო! შენგან ვის უკადრება შენისთანას უვირილი და მუქარებიო, გადმოხდი ეხლავე და ჩემს შვილის ულომის ხელმწიფეს თაყვანი ეცი. ვიდრემ ეხლავე მიწასთან გაგასწორე-ბო. უკებ მიუხდა. იმ დროს შემოხედა იმ არაბმა, სრულებით გაეცინა და სთქვა: ღმერთო! მე ამისთანა ახალი ფალევანი არ მინახავსო, ამის მოის-პობას ვინ გაუძლებსო? იმ დროს უთხრა: შენ ახალო ფალევანო შენი სა-ხელი რა არისო და ან ვინა ხარო? მაშინ ხოსროვშაჰმა შესძახა: მე სასა-

ტყუილო არაბო! ჩემს ვინაობას რათ კითხულობთ? მოდი და ეგ შენი იარაღი იხმარეთ და მე გიჩვენებ შენს თამაშასათ. არაბმა კიდევ უთხრა: მშვენიერო და ახალო ფალავანო, მებრძოლები რომ ჩემს ნაკრავს ვერ გაუძლებთ და ცოცხალ ხართ. ამ სიტყვაზედ ხოსროვშაჰმა ძრიელ გაჯავრდა, რომ თვალები სისხლით აევსო, ველარ მოითმინა, ჰკრა ქუსლი ცხენს და ერთი საშინელი ხმით შესძახა, ზედ მივარდა, წელთავან ვურზი გამოიღო და ასეთი დაჰკრა ამ არაბს რომ ფარი ზედ დაალეწა და კისერზედ ჩამოეკრა. მაშინვე ამ არაბმა ის ფარი გადააგდო, დიდი ქება შეასხა და სთქვა: ამას ჟურა ფალავანი ვერ გაუძლებსო, მიუხდა და მეორეც ასეთი დაჰკრა, რომ ხორცმა და ძვალმა კანკალი დაუწყო და ცხენიც კოჭებამდის მიწაში ჩაეფლო და იმასაც გადარჩა. მაშინ სთქვა არაბმა მამა ამისა თუმცა უცხო ფალავანია, მაგრამ ეს უმჯობესიაო, მესამედ მიუხდა ერთი საომარის ხმით შესძახა და გურზი შეუმაღლა, მაშინ არაბმა სთქვა თუ ამას არ მოვერიოდე უთუოთ მომკლავსო, მაგრამ ფალავნობას არ აკადრა და გამოჭიმული დადგა, მესამედ ასეთ ნაირათ დაჰკრა ხოსროვშაჰმა რომ კინაღამ წელი მოსწყვიტა, ცხვირ-პირიდამ სისხლი წასქდა და ნათვაზი შეეკრა. ცოტად თავი გადიგდო უკან-უკან წასაქცეველათ.

რა ქურუკმა დაინახა, რუიზანი შეეშინდა არ მომკლასო, მაგრამ გონებას ჩქარა შემოიკრიბა და სთქვა ამას დაპარაკი აღარ უნდაო. მე ეს მჯობია, ცხენს ქუსლი ჰკრა და განზედ გადახტა. მაშინ ქურუკმა უბძანა ფალიბანს, ხოსროვშირს, კათრანს და ბარამფილს, რომ მე ამისთანა ძრიელი ახალი ფალავანი არ მინახამსო. იმ დროს არაბმა ხმა უყო გაფთხილით, წამოვიდა და გურზი შეუმაღლა, ხოსროვშაჰმა ფარი მიაგება და გამოჭიმული დადგა. არაბმა ასეთ ნაირათ დაჰკრა, რომ იაღდუზის მთას რომ მოხვედროდა იმასაც დააქცევდა, მაგრამ ხოსროვშაჰმა სულ არაფერი მიიჩნია, მეორეც და მესამეც დაჰკრა, მაგრამ ვერა აწყინა რა. მაშინ დახტებით მიუხდნენ ერთმანერთს. არ იქნა ვერც ვერვინ აჯობა, მერე შუბებით მიუხდნენ ერთმანერთს. რაღა გაგაგრძელოთ ყოველს იარაღში გამოსცადეს, რუიზანმა ყოველივე მოიწონა. გაჯავრებული ხოსროვშაჰა მიუხდა, სარტყელში ხელი სტაცა და აზიდა მაგრამ ვერ აიღო, ახლა არაბმა სტაცა ხელი სარტყელში და ცხენიდამაც ვერ შესძრა. იმ დროს დაუძახა არაბმა ფალავნებო! ორთავ ცხენები დავაგდეთ და ქვეითათ ვიბრძოლეთო. იმ დროს არდევან შაჰმა და ის გმირთა ფალავნები რომ იმ არაბს უყურებდნენ ამისთვის ძრიელ მოსწონდათ, მაგრამ რა იცოდნენ თუ რუიზანი იყო და ხოსროვშაჰის თავის დიდად მოსწონდათ და იმისი ძალი უკვირდათ, ამ რომ ვერ გამოუცდელი იყო და გმინოდათ. შემდეგ ქვეითები მიაჯგნ-

და აირდამდისინ იომეს; არ იქმნა პირი ერთმა ვერ აჯობა. მაშინ ისევ ცხენებზედ შესხდნენ; იმ დროს გაჯავრებული რუიზანი მიუხდა ხოსროვშაჰს და ისეთი მუშტი შემოჰკრა გულზედ რომ, კინაღამ ცხენიდამ ჩამოაგდო. რუიზანმა საჩქაროთ გონება მოიკრიბა, გაექანა ხოსროვშაჰთან და ახლა იმან ერთი ისეთი მუშტი შემოჰკრა რომ ჩაფაზი შეუკრა და დიდად შეაწუხა. მაშინ ცხენი გაატრიალა რუიზანმა და ზურგი მიუშვირა, იმ დროს ხოსროვშაჰა წამოუწია ცხენის ფეხს ხელი სტაცა და საშინლად შესძახა, ამით უნდოდა ცხენი შეეყენებინა, მაგრამ ვეღარ შეიმაგრა. რა ბიძამა მოატანა, არაბმა შესძახა: ბარაქალა შენს ფალავნობასაო, რომ მართლაც ფალავანი ყოფილხარო, ეხლა თრნაც წავიდეთ დროა აღარ არის ხვალ ჩემს ძმას გამოვგზავნი და იმასთან შეებმარი სხვა გამოგზავნეო..; თუ ხვალ ჩემს ძმას ომი გაუსწორეთო, მასუკან მეც თქვენთან მოვალო. სთქვა ეს სიტყვა და ერთი მხრისაკენ წავიდა. მაშინ ხოსროვშაჰიც გამობრუნდა და რომ მოდიოდა, თვისი მამა ხოსროვმირი მიეგება, გულზედ მიიკრა და ორსავ თვალებში აკოცა. ხოსროვშაჰი ცხენიდამ გადმოხტა, მივიდა და ხელმწიფეს მუხლთა აკოცა, ხელმწიფემაც შუბლზედ აკოცა და ისეთი ხალათი უბოძა რომ ერთის წლის ქვეყნის ფასად ღირდა. აგრეთვე ქურუკიც გარდაეხვია, პირზედა აკოცა და დიდი ქება შეასხა. მერე ქალები შემოეხვივნენ, ერთ ჟამამდის ლოშნიდნენ და დიდ ქებას შეასხამდნენ. იმ დროს ქურუკმა სთქვა: მე იმისთანა მეომარი და ესეთი გულადი ყმაწვილი არ მინახამსო და თუ ღმერთმა დღე მისცა დიდ ფალავნობის სახელს გამოიჩენსო; ის არაბი დიდათ ძლიერი ფალავანი სჩანდაო და დიდი გამოცდილებაც ეტყობოდაო, მაგრამ ამ ყმაწვილმა სძლიაო. შემდეგ მოვიდნენ, დასხდნენ და მეჯლისი გამართეს, ქურუკი კი წავიდა თავის და რუიზანის ნახა და ჰკითხა: როგორ მოგეწონათ? მოახსენა: ძმაო ქურუკ! იმის ლახტის და გურზის ცემისაგან ზურგი დანაყულისავით მაქვსო და თუ ცოტას ხანს კიდევ მებრძოლა ვეღარ შევძლებდიო, გარწმუნებ რომ მეტად ძლიერი ფალავანი იქნებაო... ფარვანს და საჰმანს ხომ დიდად უკვირდათ, აქებდნენ და ამბობდნენ, ეხლა ვნახოთ ყოვლიბანის შვილი ბეგზად შაჰი როგორი იქნებაო.

ახლა ბეგზად შაჰის და კიდევ რუიზანის ომი მოვიხსენიოთ. რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მზემან სხივი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ესენიც აიშალნენ, საომრის იარაღით მოემზადნენ და მოელოდნენ. მაშინ ბეგზად შაჰა მივიდა და ხელმწიფე არდევან შაჰს და საბურანს მოახსენა: გთხოვთ რომ თუ იგი ზანგი კიდევ გამოჩნდეს, დღეს იმისი ომი მე დამანებეთო. მაშინ ხელმწიფემ უბძანა: ჩემო თვალთა ნათელო და

ასეთი ფარდაგები ჩემა შენი ასწყოლდესო, მითხრა დიდმა გაოცებულმა, რომ მეტად მშვენიერი ფარდაგები არისო, (ქმნილება ამ ყმაწვილებისა). მაშინ ხელახლად შემომწირვეს მუხლით აკოცეს და საბრძანებელს კალთას ამათაც თვა-ლებში აკოცეს და უბრძანეს: წადით შვილო! ღვთისათვის მომიბარებიხართო,



ის იქნება თქვენი შემწეო... ბეჟანს მაჯი გამოირბენდა, ცხლოვლებს და ფარდაგებს თავი დაუკრა, მამასაც ხელთა აკოცა. მამამ დალოცა და დარი-გა იგი როგორ უნდა მოქცეულ იყო. ბეჟანს მაჯა ახუთის ალოვროთინებით წამოვიდა რომ, მისაცვალებელის სასწაულებით იყო. მოვიდა და სათბირ ალოგს

დადგა. შემდეგ შვიდნი წამოვიდნენ, იმ ჟამად ქუნუკმა უბძანა საჭმანს და ხიდვალის სულთანს: აქვე თქვენც დევის სახე გამოიცვალეთ და არაბის სახეთ შეიცვალეთო, რუიზანთან მიდით და იქიდამ მოედანზედ საომრათ ერთით გამოდითო. საჭმანს უბძანა: შენ ყათრანის შვილს შეებიო, აქვან დევიც ბარამის შვილსაო, ან რიგიანათ მოიქეცითო რომ მეტად ძლიერნი მაწვილები არიანო და ზიანი არა მოგცეთ რა. სასწრაფოთ წავიდნენ და რუიზანს ყოველივე მოახსენეს. მაშინვე არაბის სახით მოედანზედ გამო-ვიდნენ და დიდის ხმით შესძახეს არდევან შაჰას: ხელმწიფეო! ვინც რომ კარგი ფალავანი გყავნდეს ახლა ჩვენს საომრათ ის გამოგზავნეო და შენ მო-რიდან თამაშა გვიყურეო. მაშინ ბეგზად შაჰამ შესძახა: შე მურალო არაბო; ვის ეკადრება შენგან მაგნაირი დრიალით; ახლა მე გიჩვენებ როგორი ფა-ლავანიც ვარო. გორშარაბ ყათრანის შვილი და ბარზინ ბარამის შვილიც, საჩქაროდ მოედანზედ გამოვიდნენ და ბეგზად შაჰს ყოვლიბანის თავს გვერდით მიუდგნენ. იქიდამ რუიზანმა საჭმანს და აქვან დევს შემოხედეს და სთქვეს: ამათთანა კმარნი ფალავანნი არსად გვინახავსო და დიდი ხიფათხილად გვმართებსო. იმ დროს ბეგზად შაჰამ ერთი საშინელის ხმით შესძახა, გაექანა და დაუძახა რუიზანს: ჰეი შენ საძაგელო არაბო გამოფ-თხილდი რომ მინდა მიწასთან გაგასწოროო, ეს სთქვა და გურზი შეუ-მაღლა დასაკრავად. რუიზანმა საჩქაროდ ფარი მიაშველა, მაგრამ ასეთი დაჰკრა რომ ის ფარი სულ დაამსხვრია, გურზი დასხლტა და მხარში მოხვდა, მეტად ძალა დაადგა რუიზანს და სთქვა: თუ რომ წინათვე მცოდ-ნოდა ამათი ასეთი ძლიერება, მე ამათზედ საომრათ არ გამოვიდოდიო, დიდი ხანი ომობს: გურზით, ხმლით, შუბით, ისრით. მაგრამ არ იქნა ერთმანეთი ვერ სძლიეს.

ახლა საჭმანის და ყათრანის შვილის გორშარაბის ომი მოვიხსენიოთ: ხომ კარგათ მოგეხსენებათ მკითხველნო საჭმანი რაც შვილია და ანუ რა ფალავანია? თავისებურათ ასეთის სახით ეჩვენა გორშარაბს რომ, შვიდ თავა ვეშაპსაც გული გაუსკდებოდა, ამასთან მაღლის ხმით შეჰყვირა: ფა-ლავანო გამოფრთხილდითო. იმ დროს მანამ საჭმანი გურზს მოუმაღლებდა, მანამ გორშარაბმაც შესძახა: შე ბილწო არაბო! თვალებს რომ მაჭყეტავ ვის აშინებო?. საჩქაროდ თავისი ლახტი ესროლა და ერთი კიდევ საშინ-ლათ შესძახა. მაშინ საჭმანი ეცადა რომ იმ ნასროლ ლახტს მოშორებოდა, მაგრამ არ იქნა, ზედლატანებით მოვარდა გორშარაბი საჭმანს ასეთი მუშტი შემოჰკრა რომ, გულის ფიცარი კინაღამ გაუხეთქა. საჭმანი დიდად რომ შეწუხდა, მაშინ დიდი ქება შეასხა; როგორც იყო შესამე ნაკრავსაც გადურჩა და რა რიგი საჭმანს ერგო, მრავალი ლახტი სცა მაგრამ არაფერათ მიიჩნია.

ახლა აქვან დევი და ბარზინ, ბარამის შვილი ერთმანერთის დაუმარცხე-ბლნენ, მაგრამ ბარზინის ომს ვეღარ გაუძლო; მესამე ლახტის დაკვრას რომ აპირებდა, იმ დროს იყვირა; მე ამას ვეღარ გაუძლებ და თავი მი-ვანებე; ლახტი აიღეს. მაშინ სიბნელემაც მოატანა, გაიყარნენ და თავ-ხით ბინაზედ მივიდნენ, სამხედრო იარაღი ახსნეს ამ ორთა ფალავნებმა და სალხინო შეიმოსეს, მოვიდნენ ხელმწიფე არდევან მეფეს თაყვანი სცეს და გამარჯვება მიულოცეს. ხელმწიფემაც დიდი მადლობა უბძანა ფალავ-ნებს და თითო ასეთი ხალათი უბოძა რომ, ერთი ქვეყნის ფასად ღირდა, ამასთან დიდი ქებაც შეასხა და სასხდომში ადგილი უჩვენეს, ისინიც დასხდნენ. მაშინ ყოველნი ფალავნები და ხელმწიფენი შემოვიდნენ, თავიანთ ადგილს დასხდნენ. იმ დროს ქურუმმა ამ ოთხთა ფალავანთა შეხედა, ესე იგი ყუდ-ლაბის, ხოსროვმირის. ყათრანის და ბარამგურისის, შემდეგ უბძანა: ფალავ-ნებო და ყოველო ხელმწიფენო! მადლობა ღმერთს რომ, როგორიც ფალავ-ნები ბრძანდებით და ერთგულნი ამხანაგნი, ასეთიც ღმერთმა შვილები მოგვცეთ და როგორიც თქვენისთანა ფალავნები არ მოიძებნება, ისეც ამათ-ზედ უკეთესი ჩვენს სახელმწიფოში აღარ გამოვა, ისე რომ ყოველ შემ-ცდიაში გავსწორდე და ეს ყმაწვილები თქვენც და მეც გვჭირდებათ. შემდეგ ხალვათად არდევან მეფეს მოახსენა: ხელმწიფეო! ამ ყმაწვილების მეომარი მართლა არაბი კი ნუ გგონიათ? ერთი რუზბან იყო, მეორე საქმან და მესამე ანბიაელის სულთანი აქვან დევით; მე ისინი გამოსაცდელად გა-გზავნე, ახლა ისინი საშინლად ამათი ლახტის ცემისგან სნეულებითა წვა-ნან. რა ხელმწიფემ ეს გაიგო, მაშინვე ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა, დაი-ჩოქა და ამ ყმაწვილების სიცოცხლე ღმერთს სთხოვა. მაშინვე დიდის კა-კვირვებით ამ ყმაწვილებს ყურება დაუწყო და ბძანა: სამხიარულო ნადირს მჭამთო! შემდეგ ოთხთავეს დიდი ძალი ჯამაგირები დაუნიშნა და თითო ასეთი ქალაქები უბოძა, რომ თითო ქალაქის შემოსავალი წელიწადში ორი მილიონი იყო. იმ დროს საჩქაროთ ეს ოთხი ყმაწვილი ფალავნები ადგნენ ხელმწიფე არდევან მეფეს და საამიერან ქურუმს მუხლთა აკოცეს, ქურუმმა თავისი შავი ფარამანმისეული თითო ასეთი ხანჯალი აჩუქა, რომ ქვეყნის ფასად ღირდა (საკუთრივ თავის ხელით შემოარტყა). შემდეგ ბარბოვანი წამოდგნენ გადიყვანეს და გვერდით მოისხეს, სარვიხურამანმაც თავისი სა-ლაროდამ ურიცხვი მისართმევი უბოძა, აგრეთვე ურიარამ და ნარიმანმა ცალკე-ცალკე მისართმევი უბოძეს, იმდენი რომ აღრიცხვა არ შეიძლებოდა. წამოდგნენ ყველას ხელზედ აკოცეს და დასხდნენ. შემდეგ ღრმა ფიქრში შევიდნენ და ვერ გაიგეს თუ ის არაბი ვინ იყო. მხოლოდ არდევან მეფე-კი იცოდა. იმ დროს სულ ერთად შეიყარნენ და ოთხი შვილისი გამო-

თუს, დიდათ შეექცენ, მხოლოდ იმას სწუხდნენ რომ ამათი მეომარნი არ გაიგეს თუ ვინ იყვნენ. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ მაშინ რუსხანი, სარმანი და აქვან დევიც შემოვიდნენ, თავი დაუკრეს ხელმწიფეს და მუხლსა აკოცეს. ორთავ მორთულ ყულებს იმ დროს ტაბაკებით თვალ-მარგალიტი აწერათ, მოიტანეს და იმ ორთავ მშვენიერთა ყმაწვილ ფალევანთა თავს გადააყარეს და მოახსენეს ხელმწიფეო! ეს ორნი ასეთი ფალევნები არი-ან რომ ცის ქვეშეთს ხელმწიფობას დაგიმტკიცებენ და არც თუ ამათ-ონი ფალევნები დაიბადებიან ამ ქვეყანასა ზედა. რუსხანმა მოახსენა: ამათი ლახტის ცემისაგან ხმელი დასაყუდლისავით გვაქვსო. მერე სარმანმა და აქვან დევმა მოახსენეს: თუ რომ წინადამ არ მოვშორებულყოფილვართ, შეწყვლათ მოგვკლამდნენო, ამასთან ხელმწიფეს მოუწონეს, ამათთანა ფა-ლევნების გამოჩენა. შემდეგ მოუბრუნდნენ ყორლობანს, ხოსროვშირს, ფათ-რანს, ბარამჯობილს, მიუდგეს და პირს აკოცეს. გაიხარეს და თავიანთ ადგილას დასხდნენ. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, იმ დროს ყარდანქემანის შვილი, ახალი აღარი შუთუკ უცხოთ მორთული, ასეთი ცქვიტი რამ ფერ რომ ისე ბაგორებოდა დედამიწაზედ არ დადისო და ქაერში ფრინავსო. იმ ჟამად წამოდგა წინ; ხელმწიფეს და ქურუკს მოახსენა: ხელმწიფეო შუ-ღის ულიმისათ და საბჭოსანო ხმელეთისათ! მეც მოშინლოთავს ამათთანა ფალევნებს და თქვენს ტახტის შესაფერი მამაცების ბიძება ყოვლისაგანო და როგორც ეგენი უცხო ფალევნები არიან, მეც უკეთესი აღარი ვარ თითქმის მამაჩემსაც გჯობივართ და გთხოვთ რომ მეც მაგათსავით მიბოძ-ოთ რამ სამსახური. ეს სთქვა და იმ ერთ საათში ოცდაოთხ ნაირათ შეიცვალა; პირველათ ერთი ასეთი სახე დაიდვა მოისხანებისა რომ ქურუკის გარდა და იმ ორთავ ფალევანთა თავიანთ შვილების გარდა, ვინც შეხედეს, კინაღამ გულები დაუსქდათ. მერე სწრაფად ისევ თავის სახეთ შეიცვალა, სწრაფად ერთი ისრი მოიღო და ერთი ციხის ბურჯს შესტყორცნა, მოწ-ლო და იმ ბურჯზედ ვით კაკბი ისრე აირბინა. მერე მობრუნდა და ხელმ-წიფეს მუხლთ აკოცა, აგრეთვე საბუთარანს და მათ ხელმწიფეებს, შემდეგ გახარიარა სარვიხურამანს მუხლთ აკოცა და მოახსენა: ჰეი ხათუნნო! მამა-ჩემს თქვენთვის ბევრი გასაკვირვებელი და მოულოდნელი საქმით უმსა-ხურნია როგორც მე ასომმა და სიროვანჯამ მოამბესო, ისინი ჩემთვის არა-ფერი გასაკვირველი არ არისო და თუ ღმერთი ცოცხალი იმყოფებით მე მამაჩემის სამსახურს დავავიწყებთო.

ამ მოხსენებაზედ და იმისთანა საკვირველ გამჭრიახობაზედ დიდათ გაჰ-კვირდნენ... ხელმწიფემ უბძანა: სამხიარულო ნაცარას შებერეთო და იმდე-ნი თვალი და მარგალიტი მისცეს, რომ წაღება არც კი შეეძლო; ხელმ-

წიგნში ამასთან ერთი ასეთი ქალაქი უწოდს რომ, თავის სიმძრებლობა იმას-თანა ქალაქი არსად არ მოიპოვებოდა, აგრეთვე უსაზღვრო დევი და ბევრი ვე-ზირი განკვირვებული იყვნენ იმ ყმაწვილის მოქმედებაზედ. ამის შემდეგ წაიყვანეს კი მუთურ აიარი და იმ თოხით ყმაწვილ ფალავანთა მიართვეს, წა-მოდგა ქურქამ მიულოცა და სთქვა: როგორც თქვენისთანა ფალავნები ქვეყანაზედ არ დაბადებულან, არც იმისთანა ომარი გამოჩნდება და თქვენ თოხთავესთვის მოგვართმევიან. იმ თოხით ყმაწვილ ფალავანთა ამაზედ დიდი მადლობა გამოუცხადეს ხელმწიფეს და ვაზირებს. შემდეგ თავიანთ ადგილს დასხდნენ. მაშინ მუთურ აიარმა ნაჯახი მხარზედ გადაიგდო და მი-ვიდა. მაშინვე იმ თოხით ფალავანთა თავს დაადგა ხელმწიფენი, ვაზირებ-ნი აგრეთვე ფარმან, საქმან და ბევრი ვეზირს, დიდათ უყვარდათ და სი-ცილით ხსოვებოდნენ. იმის საქმეობაზე და ფარმანქაჰანის ჩვეულობას დიდათ აქებდნენ, იმისი ისე გაწვრთნილისათვის. შემდეგ ეცხოთ შექმნეს, ხან ნადირობდნენ, ხან ბურთაობდნენ, ხან ჭიდაობდნენ და ამგვარათ ყმა-წვილთის ნაწყვით სიამოვნებდნენ.

## ქვენი ამ სიამოვნებაში დაუტევოთ და ახლა სხვა ამბავი მოვისმინოთ. მოვიდეთ ინგლისის და თურქმანის ხელმ-წიფეებთან: ისმაილ ხანთან, აჰმად ხანთან, იბრეიმ ხან-თან და მეით ხანთან.

როდესაც ქვენი წამოიზარდნენ და ხელმწიფე არდევან მაჭაზე და ქურქუზე მურის ძიებას დადიოდნენ, მაშინ ხომ გსმენიათ მკითხველო რომ წამოვიდნენ თავიანთის ჯარებით ბაგზაყ დევთან და მეწყერის სოხო-ვეს. იმ საბაგელმა ბაგზაყ დევმა და იმის ბაღიჩმა სარდლებმა; არდევან მაჭას და ქურქუს სატივის ცემა კი მიაგებდათ და გიდევ ულალატეს; ისევ თავიანთ ბიდწი რაზმები ღმერთათ შიიდეს, არდევან მაჭას და ქურქუს აღარ მოეხმარნენ; დიდი ჯარები შემოიყარეს და ბარეულ ჯადოც მიიშ-ხრეს. წამოვიდნენ, ულხუზ და მაზმურ დევიც თან წამოიყვანეს დიდის ძალის ლაშქრით, ეულუნ ჯადო კი შინ დარჩა და არ გამოჰყვა. მაშინ ბაგზაყ დევი თავის ფალავნებით და დიდის ჯარით აწიოწ და ზანგ ეკ-ზედ წავიდა და ერთი მთის ძირში დადგა, აგრეთვე ინგლისის და თურქ-მანის ხელმწიფენიც, ულხუზ, მაზმურ დევებით და ბარეულ ჯადოთი ან-დოყოისაკენ წამოვიდნენ, ორი სარდალი ქსუ იგი სავანჩუნ დევი და არჟუ დევიც ხომ მაღრიბისაკენ და თეთრი დევისაკენ წამოვიდნენ.

## ახლა ამათ აქ თავი დავანებოთ და ყულუფ ჯადოს ამბავი მოვიხსენიოთ.

ამან იფიქრა რომ, ეს უბედურნი ხელმწიფენი მაგათ დევის ამბით ქორწილზედ [illegible] მიდიან. მე რომ შუაზე და კიდეც ვიცი რომ ქორწილში თავისი ფალავნებით რა საქმე ჰქონ, ეხლა ის დაიწყება. მაგრამ უფრო ძალიან უზამენო. მაშინ სთქვა ამ ყულუფ ჯადომ: ცუდად არ არის რომ ქორწილ ყარამანის და იმისთანას საბეჭიანს კაცმა უღალატოს ანუ იმის ფალავნებისათვის, მიდგა ეხლა რაც იმათ მოუვიდეთ მეც იმათთან ვიყოფოდე. ადგა და სასწრაფოდ ორი ჯადო მოამზადა, პირველი და ზანგ დევს წიგნი მისწერა და ყოველივე ამბავი დაწვრილებით შეუთვალა; ბაქოს დევის ღალატობა და იმისაგან გაუთხოვლობა; მეორე წიგნიც [illegible] მისწერა და იქაც ყოველივე ამბავი გააგებინა, მესამე წიგნიც თეთრ დევს მისწერა და ურჩია: მანდაურობა კარგათ გაამაგრეთო. რა ეს მორჩა შემდეგ ისიც შეიტყო, რომ ყოველნი ფალავნები და სარდალნი სულ ყმანკიანთში არიან და დიდ მეჯლისში იმყოფებიან. მაშინვე თავისის ასი ათასის ჯადოს ლაშქრით ყმანკიანთისაკენ წამოვიდა, იარა მრავალი დღე და ღამე თავისის ხელოვნობით მეხუთეს დღეს მიუახლოვდა ყმანკიანს. ამ დროს სიროვანეს აარი კაცში იმყოფებოდა; ნახა რომ აღმოსავლეთის მხრიდამ ლაშქარი გამოჩნდა, მაშინ თვალი დააკვირვა, ნახა რომ ჯადოთ ჯარი იყო, შევიდა და მოახსენა: საბეჭიანსა და მეფეთა ფალავნთა ხელმწიფეებს აღმოსავლეთის მხრიდამ დიდი ძალი ჯადოთ ლაშქარი მოდის, არ ვიცი მტერნი არიან თუ მოყვარენიო? მაშინვე კარში გამოვიდნენ და ყურება დაუწყეს. ფარიყან დევმა მოახსენა: ხელმწიფენო, ჯადოს ლაშქარი არისო. უბძანა ქორწუკმა: ნემსო მეკსაო, ორი ვინმე გაგზავნე და ჩქარა შემიტყეთ ვინ არიანო. მაშინვე გაგზავნეს. რა მიუახლოვდნენ სცნეს რომ ჯადონი იყვნენ და ჰკითხეს: მთავარი ვინ არისო? მაშინ უთხრეს: მაზანის ხელმწიფე ყულუფ ჯადო არის; ხელმწიფე არდევან მეფესთან და ქორწილში მიდისო. მაშინ ესენი სასწრაფოდ ახლოს მივიდნენ და ყულუფს თავყვანი სცეს. მერე ყულუფ ჯადომ უბძანა: თქვენ ვინა ხართო? მოახსენეს: ჩვენ ფარიყან დევის კაცნი ვართ, თქვენის ამბის შესატყობლად გამოგვგზავნა, ახლა გთხოვთ ნება მოგვცეთ რომ გავბრუნდეთ. მაშინვე ნება მისცა და სასწრაფოდ გამობრუნდნენ, მოვიდნენ და მოახსენეს: ყულუფ ჯადო გახლავსთ თავისის ასი ათასის ჯადოს ლაშქრითაო. უცბად იამათ მაგრამ ფიქრობდნენ: ნეტარ რა ამბავი იქნებაო? ამ განსახსვაში იყვნენ რომ ყულუფ კიდეც მოვიდა, ემის წინ მისაგებათ გაგზავნეს ფარიყან და საჯმან დევი, უცხოს პატივით შემოიყვანეს. რა ყუ-

ლუქმან ხელმწიფენი და ფალავანნი დაიხსნა, სიხარულით გამოქანა და ხელმწიფე არდევან მამას თავისი სცა, მუხლი აკოცა; აგრეთვე ქერუკს და ფალავნებს და ფარიან დევს სალამი მისცა. მაშინ ქერუკმა ხელი მოჰკიდა, გადაუვლეს და ბჟერდით ლაისთ. მაშინ მეჯლისი გამართეს და უცხოდ შექცნენ; შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ გადახედა, თუმცა ფალავნები იცნა, მაგრამ, იქ ოთხნი ემაწვილნი ფალავნებიც ისხდნენ, რომლებიც მოახსენებას გამაშიც ვერ გაუძლებდა. ლუქმანმა სთქვა, ესენი ნეტარ ვინ ყმაწვილნი? მაშინ არდევან მამამ და ქერუკმა ამბავი და გარჯის მიზეზი შეუთხრეს; — ფრინველმა ფეხზედ ერთი სიმინდის ამოიღო და მოახსენა: მეგადის იყლიმის ხელმწიფევ, სამბეგოანო და უცხო გმირნო ფალავანნო! (მოჯუვა და როგორც თურქმანის ხელმწიფის შვილები წამოსულიყვნენ. ბნელეთის ხელმწიფის შვილებიან და იქიდან ბაყბაყ დევთან როგორ წასულიყვნენ, ან როგორც ბაყბაყ დევს მრავალი ჯარები შემოეკრიბნა, ან ბარეგულ როგორ მოუკლავს, ან ბაყბაყ დევი თავის სარდლებით და ან მაზმურ და ულხუზ დევი როგორ მოეწვივნა, ანუ ესენი ბნელეთზედ როგორ წავიდნენ, ანუ მთრაბზედ და თეთრ დევზედ). ყოველივე უკლებლივ მოახსენა. რა ესეთი წინაალმდეგი საქმე ქერუკმა გაიგონა, ასეთი შეჭირვება რომ დაემართა რჯულს შექმნა და ასეთი სახე დაედო რომ კაცი მიშით ვერ მოხედავდა; არდევან მამაც და იგი გმირნი ფალავნნიც ცეცხლივით აენთნენ.

ხოსროვშირმა ჰკითხა: ლუქმან ფალავანო! რამდენი ხანია, რაც ესენი წავიდნენ ანუ შენი წამოსვლა რამდენი დღე არის? მაშინ მოახსენა: ფალავანო, ჩემი წამოსვლა დღეს მეხუთე დღე არის და იმათი წასვლა ათი დღე იქნება, როდესაც რომ მე აქეთკენ მოვდიოდი, ორი კაცი სიხარულით ანბარ და ზანგ დევთან გავგზავნე და ორი კაციც მთრაბში. ყოველივე ამბავი გაცნობე და მე რაკი ვიცოდი რომ ბნელეთის ხელმწიფე და დედოფალი და ყოველი თქვენი სარდალ-ფალავნები აქ იყავით შეკრებილნი; მეც ამიტომ აქეთკენ გამოვქანდი და ეხლა ნება თქვენი ასრულდება. მაშინ ჰკითხა: ერთი სწორედ გამაგებინე თითონ ბაყბაყ დევი რომლის მხარეს წავიდოდა? მოახსენა: ბაყბაყ დევი, შავი დევი და ხაზარან დევი ... გაჯავრებულნი, ანბარ და ზანგ დევზე წავიდნენ. იქიდამაც სამთავისისკენ ... და ... დევი ... ათას ათასის კაცით მთრაბზედ გაგზავნეს და თვით ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფის შვილებზე, ისკენდერ ხანზე, ესენ ხანზე, მაჰმად ხანზე, იბრაჰიმ ხანზე, მერი ხანზე, ამათ ულხუზ და მაზმურ დევიც ... ათას ათასის დამშრალით ბნელეთისკენ წავიდნენ. იმ დროს ჰკითხა ფარიან დევს: ეს ულხუზ და მაზმურ დევი ვინ არიან? მოახსენა: ესენი შავი ზღვის შირ...

მკვიდრობენ და მეტად წყეული დევნი არიან. მაშინ ქურუმმა სთქვა: მაშ მე ქურუმს რადათ მერქმის თუ ბაუბაუ დევი თავისის სარდლებით ზარბაქ დევის ციხეზედ არ დავკიდოთ.

რა რუიზანმა ინდოეთზედ ჯარების მისვლა შეიტყო, დიდათ შეწუხდა და მოახსენა ხელმწიფეს შვიდის თემისას, ძრიელი მაშველები უნდათ, თორემ გარეშე ქალაქებს სულ გაოხრებენ. მაშინ როკამბოსტო და რუიზან წამოდგნენ და მოახსენეს: ხელმწიფევ, ჩვენ ძრიელ ნება მოგვეცით რომ ჩვენის შვილისა მივეშველნეთ. ამ დროს მოვიდნენ იგი ოთხნი უმაწვილნი ფალავანნი, ბეგზად მეფე, ხოსროვ მეფე, კორმარუზ და ბარზინ ასე მოახსენეს: შვიდის თემისის ხელმწიფევ და საბერძნეთის ხმელეთისაო, გთხოვთ თქვენს ამაღლებულს ხელმწიფობას; რომ ჩვენ ოთხნივ, რუიზან ღელოვანის და ხელმწიფე ინდოეთისას გვახლდეთ ჩვენის შეთქმულ ჯარითა. იმ დროს დაფიქრდა ქურუმი და მერე მოახსენა: ფალავანნო და გმირნო ხელმწიფენო! ამათ თხოვნაზე თქვენ რას იტყვითო და როგორ ინებებთო? მაშინ ყოველიბანმა, ხოსროვშირმა, კაოსმა და ბარამყიბილმა მოახსენეს: ხელმწიფევ და საბერძნეთო, ჩვენ ჩვენი შვილები თქვენთვის მოგვირთმევიათ: როგორც გნებავდესთ ისრეთ ინებეთო; თუ ხელმწიფეს არ ემსახურებიან და ჯარში არ იქნებიან, მაშ რისთვისღა არიანო? იმ დროს უბძანა როკამბოსტოს და რუიზანს, წერეთ ამ ოთხთა ახალ ფალავანთა: ახლავე გაემზადენით და საჩქაროდ წადითო! ამათთან ზარაბ დევს უბძანა: შენ შენის ასის ათასის კაცით და დევთა ჯარით ინდოეთის ხელმწიფეს უახლდით და ქნეთ თქვენ იცით როგორც გაირჯებითო; ციხეები კარგათ გაამაგრეთ სიტყვა დაამთავრა თუ არა კიდეც საჩქაროთ გაისტუმრა. რა ქურუმმა როკამბოსტო და რუიზანი იმ ოთხი ახალი ფალავნებით გაგზავნა, ყულუნ ჯადოც თავისი ასი ათასი ჯადოს ლაშქრით თან გაატანა და უბძანა: შენ თუ იმათ ჯადოთაგან იქ რამე წახდა, კიდევ მომმართეთო. შემდეგ აზგუხალის სულთანს აქვან დევს და არიამუზ დევს უბძანა: თქვენ ჩემო ერთგულნო, ეხლავე აიყარენით თქვენის ორასის ათასის ხვადი დევებით და მაღრიბში მიდით ჩემს ერთგულ გოჯელ დევთან და თქვენი იქ მისვლა თუ ამ დევსაც აცნობეთ და თქვენ იცით როგორც გაირჯებით. ამასთან ერთი წიგნი მისწერა ქურუმმა თვითონ დევს შემდეგის სიტყვებით: „უწარჩინებულესო და შაეთნიშნანო მხეცო თვითონ დევო, ის მურმარიდის შეჩვენებული ბაუბაუ დევი, თავის სარდლებით და დიდის ძლიერის ჯარებით ზარბაქ დევის ქალაქისაკენ წასულა, ზანგ დევზედ და ამბერ დევზედ; ამას გარდა ინდოეთზედ და მაღრიბზედ უმრავლესი ჯარები წამოსულა და ეხლა შენ აგი მანამდისინ ჩვენ მოვაღწევდეთ, მანამდის თქვენ იყავით მაგრად მხ-

რეს პატრონი და თქვენ იცით როგორც გაირჯებით.

რა ეს წიგნი დაწერა და დაასრულა, მაშინვე ჩქარა მთარულ აიარს მისცა და გაისტუმრა. თითონ თავისის ოთხის გამოჩენილის გმირთა ხელმწიფეთა თავიანთ ფალევნებით ესე იგი ყოვლიბან, ხოსროვშირ, ყათარანი და ბარამჯიბილით დაემზადა; შემდეგ ფარვან დევს უბძანა: შენც შენის ჯარებით, აგრეთვე საჭმანი თავის ამხანაგებით და თავისის მძლავრის ჯარებით, მანამ ჩვენ მოვიდოდეთ, ჩქარის სიარულით მიდით ანბირ და ზანგ დევთან; თუ ისინი მოსულიყვნენ და ანუ ომი დაგიწყონ, აბა თქვენ იცით როგორც გაირჯებით მანამდის ჩვენც ჩქარა მოვალთო. ისინიც ჩქარის სიარულით იქითკენ გაისტუმრა და თავისი ხელმწიფე მამა ნარიმანი ქაბულში დარჩა და არდევან შაჭა ხელმწიფეც უშანგბათში დარჩა დიდის ჯარებით, სალვიხურამანი და გულიჯანი ყარამანია ქალაქში დარჩნენ. იმ დროს მივიდა ქუჩუკი და ხელმწიფეს გამოესალმა თვისის ფალავნებით. გარდანქემანი, ასიმი და სიროვანჯა უშანგბათში გაუშო არდევან შაჭასთან; აგრეთვე ბურჯვეზირიც. მერე გამობრუნდნენ თავისი დედა უსნიარაა, სალბიხურამანს და თავისი საყვარელ გულიჯანს გამოესალმა, შემდეგ მოვიდა თავისი მამა ნარიმანს გამოესალმა და შემდეგ მოახსენა: როდესაც ჩვენი გამარჯვება შეიტყოთ; საცა ჩვენ ვიყვნეთ იქ მოდითო. ქუჩუკმა რა ეს სიტყვა დაასრულა მაშინვე ჯარს აყრა უბძანა: წამოვიდნენ ქუჩუკ ყარამანი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი, ბარამჯიბილი და ზორაბ შაჭა. ესენი საჩქაროთ აიყარნენ და ჩქარის სიარულით ზანგ და ანბირ დევისაკენ გასწიეს.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ახლა ინდოეთის ამბავი მოვიხსენიოთ: ისმეილ ხანისა, უსეინ ხანისა, მაჭმად ხანისი, იბრეიმ ხანისი და მეით ხანისა; აგრეთვე ულხუზ და მაზმურ დევისა.

რა ესენი თავიანთ ოთხმოცჯერ ასი ათასის ჯარებით და ბარუულ ჯალოთი ინდოეთზედ სამტროთ რომ მივიდნენ, იქ ერთი მთის ძირში ჩამოხდნენ, იქიდამ მთელს ინდოეთს უყურებდნენ. მაშინ ამ ხელმწიფეებმა აიარები გაგზავნეს ინდოეთის ამბავების შესატყობლად ესე იგი რამდენი ჯარები ჰყავთ, ან რას ლაპარაკობენ ყველა გვაცნობეთ. თითონ კი რაზმები დააწყეს და საჩქაროდ ქალაქისაკენ გამოსწიეს. რა ინდოეთის ქალაქს მიუახლოვდნენ, ცოტას ხანს შეისვენეს და თავიანთ გაგზავნილ აიარებს

ელოდნენ, იმ დროს ის აიარნი შევიდნენ ქალაქში, და ნახეს რომ დიდი ძალი ჯარები დგას, მაგრამ ხელმწიფე და დედოფალი იქ არ იყვნენ, მხოლოდ ჯარების ურიცხობა იყო და რომელიც როვშანბახტისაგან დასმული თავისი მაგივრათ დიდებული კაცი ჰყვანდა; იმ ჯარებს ისა სჩხრეკდა, და ჯერ კი სხვა ამბავი არ იცოდა. ამ დროს ორი კაცი საჩქაროდ მოვიდნენ და მოახსენეს: ჩვენის ხელმწიფის ნაიბით, ამ მინდორში დავდიოდით და მაღლა ამ მთის ძირზედ დიდრონი დევთა და ადამიანთ ჯარები დავინახეთ, საჩქაროთ წაველით იმათ ჯარებში შევედით; ვნახეთ რომ, ხუთნი ხელმწიფენი არიან, ამათ გარდა ორიც მთის ტოლა დევნი ოთხმოცი ასი ათასის დევით და ადამიანთ ლაშქრით დგანან; ამასთან ბარუულ ჯადოც ორასი ათასის ჯადოს ლაშქრით იმათთან იყო; შევიტყეთ, კიდეც რომ აქ ჩვენს ინდოეთზედ მოსულან, ეხლა ნება თქვენი არის. რა ამ ინდოეთის ხელმწიფის ნაიბმა ესე ამბავი შეიტყო, საჩქაროდ რაც რომ ჯარები ყვანდა, სულ შემოკრიბა, ციხე გაამაგრა და ციხის ბანზედ ამდენი ქვები დაეგროვებინა რომ ანგარიში არ იყო, შემდეგ რაც ქალაქს გარეთ ხალხი იყო სულ ციხეში შემოასხა და ციხე ძრიელ გაამაგრა. ქალაქის სიმრგვლივ ასეთი გალავანი ერტყა რომ; იმის აღება ძნელი იყო. — ოთხი კარები ჰქონდა: აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით; თითოს კარებზედ ასი ათასი მოლაშქრე დააყენა და ორასი ათასი კარგი მეომარი ჯარი თავიანთის სარდალ-ფალევნებით ბანზედ მიუჩინა; ისე რომ თუ იერიში მოეტანათ, იქიდამ ქვა დაეშინათ მტერზედ. ამას გარდა ხუთასი ათასი კარგი მეომარი ჯარი თავიანთის სარდლებით ციხის შიგნით დააყენა და სამასი ათასიც კარგი დარჩეული ჯარები თავის ფალევნებით, თავისთან იმყოფინა და იმ მტერთა ჯარებს მოელოდა.

## ამას აქ თავი დავანებოთ და მოვიდეთ ისევ იმ ხუთთა ხელმწიფეებთან.

იმ დროს რა თავიანთ გაგზავნილნი კაცნი მოუვიდათ, იმ წამსვე მოახსენეს: ხელმწიფენო! თუმცა ქალაქს ინდოეთისას ჯარები მრავალი ვნახეთ, მაგრამ ხელმწიფე და დედოფალი იქ არ არიან, მხოლოდ ერთი დიდებულის კაცის შვილი არისო და ჯარებს ის აწყობსო. რა ეს ამბავი მოახსენდათ დიდათ იამათ, მაშინვე ეს მძლავრი ჯარები აიყარნენ და ჩქარის სიარულით გამოსწიეს. მეოთხე დღეს ქალაქის სიახლოვეს მოაღწიეს, ცოტასხანს შეისვენეს და მაშინვე ულხუზ დევი აღმოსავლეთის მხრიდამ მივიდა, მაზმურ დევი დასავლეთის მხრიდამ მივიდა, ჩრდილოეთის მხრიდამ თურქ-

მანის ხელმწიფის შვილები და სამხრეთიდამაც ბნელეთის ხელმწიფის შვილები მივიდნენ, ბარყულ ჯადოც თავის ჯარებით თან მოიყოლიეს. რა განთიადის ჟამმა მოატანა: დასცეს ოთხსავე კუთხიდამ კიჟინა და წამოვიდნენ. რა ოთხსავე მხარეს კარებებს მოუხდნენ, შიგნით მყოფთა ჯარებმა საშინელი კიჟინის ხმა გაიგონეს, საჩქაროდ ბურჯებზედ გადმოდგნენ და ნახეს რომ, ამოდენა მტრის ჯარები მოსდგომია ციხეს რომ თვალი არ გადასწვდებოდა და აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი საშინელი სამასი მწყრთას სიმაღლის მქონებელი სამთავიანი დევი მოდის; ისეთი საზარელის სახით რომ იმის მნახველს გული აერევოდა. აგრეთვე იმგვარივე მეორე დევიც ჩრდილოეთის მხრივ კარებისთვის მოუტანებია, ხელთა დასტაჩუბი უჭირავს და დაკვრას აპირობს, სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდამაც იმ ხუთი ხელმწიფის შვილები მოზდგომიან დიდი ძალი ლაშქრით და ჯადოებით. რა ამათ დახედეს სთქვეს: რა ვქნათ ხელმწიფეც აქ არა გვყავს, ესე დიდი ძალი მტრის ლაშქარი და ჯადონი კარს მოგვდგომიან. დიდად შესწუხდნენ და კიდეც შეშინდნენ. ფალავნებმა ჯარებს ხმა მისცეს და მხნეობა იხმარეს. უცებ მოულოდნელად ქვა დაუშინეს მტრის ჯარს და მრავალი ამოჟლიტეს, მაგრამ რას დააკლებდნენ იმდენს უთვალავს ჯარს? საქმე ცუდათ იყო, მაშინვე სამი კაცი საჩქაროდ გააპარეს ციხიდამ და თავიანთ ეს ამბავი თეთრ დევს აცნობეს. ესრე სამი დღე გაატარეს ოთხკუთხივ მტრის ჯარებით შემორტყმული; არსაიდამ მშველელი არა ყვანდათ, დიდათ სწუხდნენ და მხოლოდ თეთრი დევის იმედი ჰქონდათ.

## ამათ აქ თავი დავანებოდ და მოვიდეთ იმ სამთა გაგზავნილ კაცებთან.

რა წიგნები გამოართვეს სამ დღეზე თეთრი დევის ქალაქში მივიდნენ და საჩქაროთ სასახლისაკენ გასწიეს, რა კარის კაცებმა ნახეს მივიდნენ და ვინაობა ჰკითხეს. მაშინ მათ მოახსენეს თეთრი დევი გვაჩვენეთო, შეუძღვნენ და თეთრ დევს მუხლთ აკოცეს და წიგნები მიართვეს. რა გაშალა და ამოიკითხა, თავზარი დაეცა და ჰკითხა ვინ არიანო, ან რა ჯარნი არიანო, რატომ მე არ ვიციო? მაშინ მოახსენეს ხელმწიფეო! ორი საშინელი დევნი არიანო; ერთს ულხუზ და მეორეს მაზმურ დევს უხმობენო და ხუთნიც ხელმწიფენი არიანო, ასჯერ ასის ათასის ჯარითაო და ბარყულ ჯადოც იმათთან არისო. მანამდის ეს კაცნი ამ ამბავს დაასრულებდნენ, ქუჩუკის წიგნიც მოუვიდა; რა ისიც წაიკითხა, მაშინ იმ წიგნიდამ სცნო ბაყბაყ დევის უკუდგომა და დიდათ შეწუხდა, მაგრამ აღარა გაეწყობოდა

რა. საჩქაროდ თავის ახირ ჯადოს უბძანა: სამასი ათასი დევთა ჯარები და ორმოცდა ათი ათასი ჯადოს ლაშქრით, საჩქაროდ ინდოეთის ქალაქს მიეშველეთ; არც ხელმწიფეა იქ და არც დედოფალიო; საჩქაროდ შენის ხელოვნებით ხვალ ამ დრომდისინ უნდა იქ იყოვო, მხოლოდ ულხუზ დევს და მაზმურ დევს დიდათ უფთხილდიო, რომ შავ დევზე და ხაზარან დევზედ ძრიელნი არიანო და შენის ხელოვნებით ეგები ბარუულ მეთილისმეს მოუხერხო რამეო. მაშინვე ახირ ჯადო საჩქაროდ წამოვიდა და მეორეს დღეს ინდოეთში შემოვიდა, დახედა, ნახა რომ იმდენი ჯარები ახვევია რომ თვალი ვერ გადასწვდებოდა. მაშინვე სამი ჯადო თავიანთ მანქანებით ციხეში გაგზავნა და თავისი მოსვლა შეატყობინა, თითონ კი სამასი ასი ათასის ლაშქრით და ჯადოთი აღმოსავლეთის მხრით ულხუზ დევს შეუტია. რა ულხუზმა დევთა ჯარის მოსვლა შეიტყო, მაშინვე კარებს თავი დაანება და ამ ახირ ჯადოს ლაშქარს მოუბრუნდა. ესენი დაერივნენ ერთმანერთში და ასეთი საშინელი ომი მოუხდათ რომ, მეორედ მოსვლას გვანდა. იქიდანაც ბარუულ ჯადო მოეშველა და საშინლად შეუტიეს ერთმანერთს. ახირ ჯადომ იმდენი ეცადა რომ კარებამდის მიაღწია. ამ დროს მოაწვნენ ეს ოთხივ კუთხიდამ ახირ ჯადოს და მრავალი დევთა ჯარი დაუხოცეს ერთმანერთს. ახირ ჯადოს ლაშქარს დიდი ძალა დაადგა. ამ დროს ციხეში რაც მეომარი ჯარი იყო, სულ გამოვიდნენ და დაერივნენ, ასეთი წაღებ-წამოღება შექმნეს რომ, მეორეთ მოსვლას მიემსგავსებოდა მათი ომი, ასე რომ მაზმურ დევი ცალს მხრიდამ, ულხუზ დევი მეორეს მხრიდამ, ერთის სიტყვით საითაც შეუტევდნენ, უწყალოდ ხოცავდნენ ერთმანერთს. მართალია ახირ ჯადოს და ინდოეთის მეომართ არა ჰყვანდათ ისეთი მძლავრი ფალევნები რომ ულხუზ და მაზმურ დევებისთვის პასუხი გაეცათ, მაგრამ მაინცა და მაინც მრავალი ჯარი დაუხოცეს. — იბრძოდნენ საწყლათ უხელმწიფონი და უფალევნონი. ერთის სიტყვით ხუთი დღე და ღამე საშინელი ომი გარდიხადეს და დიდი მამაცობა გამოიჩინეს.

## ესენი ამ საშინელ ომებში დაუტეოთ და ესლა როვშანბახტის, რუიზანისა და იმ ოთხთა ფალევანთა ამბავი მოვიხსენიოთ.

Ესენი რა უშანგბათიდამ გამოვიდნენ ასეთი გაჯავრებული მოდიოდნენ რომ, ვინც რუიზანს შეხედავდა შიშით გული გაუსკდებოდა, ამასთან ის უცხო ფალევნები: ბეგზად შაჰ, ხოსროვშაჰ, გორშარაბ და ბარ-

ზინს დიდათ ეჩქარებოდათ მოსვლა, ამათთან ყულუნ ჯადო და ზორაბ დევი მოდიოდნენ. მხოლოდ ის თუ რა ხდებოდა ინდოეთში იმ ჟამად და მათი შეწუხება ჯერ ამათ არ იცოდნენ.

ახლა ისევ ახირ ჯადოსთან მოვიდეთ. იმ ჟამათ ახირ ჯადოს ლაშქრიდამ ორი ჯადო საჩქაროდ გამოერჩივნენ და სწრაფის სიარულით უშანგბათისკენ გასწიეს და სთქვეს: თუ დროით ხელმწიფეს ინდოეთისას არ ვაცნობოთ და დედოფალ რუიზანს, უთუოთ ინდოეთს აიკლებენო; ამოდენა ჯარებს ვერც თეთრი დევის ჯარები გაუძლებენ და ვერც ინდოეთის ჯარებიო, თუ დროთი არ მოვიდნენ, ინდოეთის ტახტს და ქალაქს სულ ფეხქვეშ გასთელენო. ამ ლაპარაკით საჩქაროდ წამოვიდნენ, ორი დღე რომ იარეს, მესამეს დღეს შორით მომავალი ჯარები დაინახეს, მაშინვე სთქვეს: უთუოთ ხელმწიფევენი არიანო. საჩქაროდ იმათკენ გასწიეს, ერთი აღაჯი გზა რომ გაიარეს, როვშანბახტის წინ მომავალთა კაცთა შეხვდნენ და მაშინვე იკითხეს ეს მომავალნი ხელმწიფენი ვინ ბძანდებიანო? უთხრეს: როვშანბახტი ბძანდება და რუიზანიო, ამათთან ოთხნი ფალევანნი და ზორაბ დევიო თავიანთ ორასის ათასის დევით და ადამიანთ ლაშქრითაო, ინდოეთისკენ მიდიანო. მაშინ ამ ჯადოთ უთხრეს: ჩქარა გვაჩვენეთ ხელმწიფენი! სწრაფლად მიიყვანეს. იმ დროს რა რუიზანმა შემოხედა, ორნი ჯადონი საჩქაროდ მოდიან, ნახა თუ არა, მაშინვე როვშანს მოახსენა, ხელმწიფეო ამა ჯადოთა ჩქარა მომავლობა არაფერი კარგი ნიშანი არ არისო. მაშინვე გადახტნენ და ის ჯადონიც მოვიდნენ, პირ დამხობით ხელმწიფეს მუხლთა აკოცეს შემდეგ მოახსენეს: ხელმწიფეო ინდოეთისაო! თუ დროით ინდოეთს არ უშველეთ, სულ ფეხ ქვეშ გაისრისებიანო; ას ოცდა ათი ათასი დევთა და ადამიანთ ლაშქარი შემორტყმიანო. ესე ყოველივე ამბავი სულ წვრილათ უამბეს. რა რომ ესეთი საშინელი ამბავი რუიზანმა და იმ ოთხთა ყმაწვილ ფალევანათა მოისმინეს, ასეთი სახე დაედოთ რომ, ვის შეეძლოთ იმით პირზედ შეხედვა? როვშანბახტი ხომ დიდათ შეწუხდა. მერე უბძანა რუიზანმა: რამდენი დღე არის რაც წამოსულხართო? მოახსენეს: დღეს ჩვენი წამოსვლა სამი დღე არისო, მხოლოთ უნდა მოგახსენოთ რომ ჩვენ ძრიელ ომებს დავანებეთ თავიო; რა ქნან, ჯარნი თუმცა უცხოთ ომობენ უხელმწიფოთ მაგრამ მაინც შეწუხდნენ და ვინც რომ თქვენი ტახტის მფარველი არის, ხან აღმოსავლეთით მიუხტება და ებრძვის, ხან დასავლეთითაო და აგრეთვე ახირ ჯადო სამასი ათასის თეთრის დევის ჯარებით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ომობს. უნდა ვსთქვა რომ დიდი ძალი ჯარები არისო; ხუთნი ხელმწიფენი არიანო, ხუთის სახელმწიფოს ჯარებითაო, ამასთანაც ორნი დევნი არიან: ერთს მაზმურ და მეორეს ულ-

ხუზ დევს უხმობენ, ასეთი საშინელი დევნი არიან რომ თითო მთას გვანანო. ულსუზ დევმა ერთი დასტაჩუბის დაკვრით ჩრდილოეთის მხრივ ციხის კარს ჰკრა და ცალი მხარე სულ გადმოანგრია; მაგრამ ქვით გავაბრუნეთო; შემდეგ იმ ოთხთა ხელმწიფეთა და ბარუულ ჯადომ, თავის ჯადოთ ლაშქრით შემოუტიეს და იერიში მიიტანეს, მხოლოდ ქვის სიმრავლის სროლით ციხეს ვერ მიუდგნენ; ქალაქ გარეთ კი დიდი ომები არის, დედოფალო! ას ოცდა ათი ათასი დევთა ჯადოთი და ადამიანთ ჯარი ახვევიან ინდოეთის სატახტო ქალაქს, ჩვენი ჯარები კი სულ ხუთმეტი ასი ათასნი არიანო და არც ფალუვანნი გვყავს იქაო რომ იმ დევთა პასუხი მისცენო და თუ დროით არ უშველით ქალაქს აიღებენო.

რა ინდოეთზედ ესეთი მწუხარების ამბავი გაიგონეს, ზორაბ დევს სთხოვეს, რომ ჩქარა მიგვიყვანეო. შემდეგ სწრაფლათ იარეს და დღე ნახევარში მიაღწიეს, ერთ მაღალ მთაზედ ავიდნენ. რა გადმოხედეს ინდოეთის ქალაქი და ციხე, იმათი ჯარის სიმრავლისგან აღარა სჩანდა; ნახეს რომ ციხეზედაც იერიში მიუტანიათ, მხოლოდ ციხიდამ საშინელს ქვას ყრიან და თუმცა კიდეც გამოუბრუნებიათ მაგრამ მეტის სიმრავლით კიდევ მისულან და შიგ კარებში დგანან, ზოგიც ქალაქს გარეთ გამოსულან და დიდი ბრძოლა აქვთ; ესე ამდენათ მრავალი ჯარი სულ ოთხივ კუთხივ კარს შემორტყმიან და დიდათ შეუწუხებიათ. ბარუულ ჯადოც ცალის მხრიდამ მისულა, მაგრამ თავის ჯადოს მანქანებით ვერა გამხდარარა ახირ ჯადოს შემწეობით, მხოლოდ ხმლით კი ძრიელ იბრძვიან. რა ესეთი საშინელი ომები და ინდოეთის მწუხარება რუიზანმა, ხოსროვშაჰმა, ბეგზად შაჰამ, გორშარაბმა, ბარზინმა და ზორაბ დევმა ნახეს, მაშინვე ომის სურვილით ტანის ბალანი აეშალათ. მაშინ გამოსწიეს საჩქაროდ ზორაბ დევის ასი ათასის დევთა ჯარი ოთხათ გაუყვეს იმ ოთხთა უმაწვილ ფალევნებმა და ოცი ათასი დევიც რუიზანმა დაიჭირა და ზორაბ დევიც თან მიიდევნა. ამასთან ყულუნ ჯადოს უბძანა: შენ ზურგი შეგვინახეო — და გასწიეს. ამ ოთხთა გმირთა ფალევანთა, აგრეთვე რუიზან და ზორაბ დევმა და სადაც რომ ქალაქს გარეთ დიდი ომები იყო და რუიზანის ჯარები მოემწყვდიათ და იმათი საქმეც გათავებულ იყო, ასე რომ, ვაინაჩრობით ომობდნენ. საწყალები მხოლოდ ახირ ჯადოს იმედით იბრძოდნენ და იმის მანქანებით. მაშინ ფალევანთა, იმ ჯარებს შეუტიეს და რა მიუახლოვდნენ, თითო ასეთი ნარა გასწიეს რომ, ცისა ქვეყანაზედ დაცემას ემგზავსებოდა და ვისაც ეს ხმა ესმათ ზეცას ყურება დაუწყეს.

ახლა დაიწყობა ხოსროვშაჰის, ბეგზად შაჰის, გორშარაბის და ბარზინის დიდი ომები ინდოეთში; აგრეთვე იმ ხუთთა ხელმწიფეთაგან და იმ ორთა დევთა სარდალთაგან ულხუზ და მაზმურ და ბარუულ ჯადოსაგან.

რა ამ გმირთა ფალევანთა და ყოველთა უმჯობესთა ასეთი ომები ნახეს, იშიშვლეს ხმლები და ამოდენს უთვალავს ჯარში დაერივნენ და რისხვა ღვთისა დასცეს. უნდა მოგახსენოთ მკითხველნო, ერთი ისეთი საშინელი ომი მოუხდათ რომ (სპარსთა ასრეთ აღუწერიათ) ზეცით ანგელოზნი უჭვრეტდნენო! ერთის სიტყვით, თქვენც რომ გენახათ ხმ უმაწვილ ფალევანთა ომი, დიდად გაგიკვირდებოდათ. ამათ შეუტიეს თუ არა, ვისაც არ გამოეცადნა ამათთან ომი, ამათაც შემოუტიეს. დილიდამ შუადღემდინ სულ დამდგარი ომი იყო; რაკი შუადღემ გადიწია, მაშინ ამ ხუთთა ერთმანერთს ხმა მისცეს, შეუტიეს და პირი აბრუნებინეს. მხოლოდ მაშინ, მესამეს დღემდის ძლივს რომ თავიანთ მომწყვდეულ ჯარებამდისინ მიაღწივეს. იმ დროს რა ახირ ჯადომ რუიზან ნარა და ის ოთხნი ფალევანნი ნახა, ამათთან ზორაბ დევი და უულუნ ჯადო, დიდათ იამა და თავის ჯარს აცნობა. გაიგეს მათი მოსვლა თუ არა, დიდათ გამხნევდნენ და ისეთი ძალა მიეცათ რომ, ვითომც არცკი ეომნათ. ამათი მოსვლა ციხეშიაც შეიტყეს და მაშინვე სამხიარულო ნაღარას შეჰბერეს. შემდეგ ციხიდამ ჯარები გამოვიდნენ და იმათაც ერთ მხარეს შეუტივეს, მეორეს მხრიდამ რუიზანმა, ხოსროვშაჰმა, ბეგზად შაჰმა, გორშარაბმა, ბარზინმა და ზორაბ დევმა შეუტიეს და ასეთი საშინელი ომები და სისხლის ღვრები ასტეხეს რომ, ცხენს და კაცს ადვილად იტაცებდა. ამ ხუთთა ხელმწიფეთა ჯარს სულ ამ ახალ ფალევნებმა გარს რკალივით შემოერტყნენ და საითაც შეუტევდნენ, ვით ბალახი ისრე სთიბავდნენ და რომელსაც ხმალს შემოჰკრავდნენ უეჭველათ კაცს და ცხენს შუა გაჰკვეთამდნენ; მეტადრე ვაი იმის ბრალი ვინც რუიზანს ჩაუვარდებოდა ხელში; გაჯავრებული ვისაც ხმალს სცემდა ცხენითურთ შუა სწყვეტავდა; აგრეთვე ვისაც ზორაბ დევი შეხვდებოდა ასეთ გურზს ჰკრამდა რომ მტვერს აადენდა და მოჰკლამდა. ამ ოთხთ ფალევანთ ხომ ქება აღარ უნდათ. მთელი ერთი კვირა დაუსვენებელი საშინელი ომი იყო, ასე რომ ერთზედ ათი ათასნი მოდიოდნენ, მაგრამ ის უმაწვილი ფალევნები არ შეუშინდნენ და დიდი ომები გარდაიხადეს და დიდი ძალაც დაემართათ, მიუხედავათ იმისა რომ ჯერეთ ომშიგან გამოუცდელნი იყვნენ მაგრამ მაინც იმდენი ეცადნენ რომ ციხის

კარებამდის მოადწიეს და ერთიანათ თავიანთ ჯარებით ციხეში შევიდნენ და ციხის კარი მაგრა დაკეტეს და ცოტათ მოსვენებას მიეცნენ; აგრეთვე ისმაილ ხანისა, უსეინ ხანისა, მაჰმად ხანისა, იბრეიმ ხანისა და მეით ხანის ჯარებიც გაბრუნდნენ. იანგარიშეს გარეთ ხელმწიფის ჯარები, ათი ათასი დაჰკლებოდათ, და რუიზანის მხარეს ხუთი ათასი დაჰკარგოდათ.

იმ დროს ესენი რომ ციხეში შევიდნენ, მოეგებნენ მოქალაქენი დიდის სიხარულით და თავს მრავალი თვალ მარგალიტი გარდააყარეს და აგრეთვე ხელმწიფე როვშანბასტმა და დედოფალ რუიზანმა დიდი მადლობა უბძანეს, იმ ოთხთ ყმაწვილ ფალევნების მხნეობისათვის და აგრეთვე თავიანთ ჯართა მადლობა უბძანეს და მრავალი საჩუქარიც უბოძეს. შემდეგ დასხდნენ, დიდი მეჯლისი გამართეს და უცხოთ შეექცნენ.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და გარეთ ლაშქრის ამბავი მოვიხსენიოთ.

Რა გარეთ ლაშქარნი გაბრუნდნენ, ის ხუთნი ხელმწიფენიც და ორი ბილწი დევის სარდლებიც ერთად შეიყარნენ და აგრეთვე ბარუჟდ ჯადო, მაშინ უცხო მეჯლისი გამართეს და კარგათ შეექცნენ.

ეს გარეთ ლაშქარი და ხელმწიფენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ეხლა ხოსროვშაჰის, ბეგზადშაჰის, გორშარაბის და ბარზინის ამბავი მოვიხსენიოთ.

მაშინ შუთურ აიარი დაიბარეს და უბძანეს: ჰეი აიარო! რა იქნება რომ შენის ხელოვნობით იმათ ჯარში წახვიდე და იმათი ამბავი რამ გვაცნობოვო. მაშინვე საჩქაროდ თავისავე კარავში მოვიდა და ორი ჯადოც მიიყვანა, დევის სახეთ შეიცვალნენ და წამოვიდნენ, მხოლოდ ჯადოთ უბძანა: ვინც რამე გითხრათ, თქვენ ხმა არავის გასცეთო. ციხის კარები გააღებინეს და გარეთ გამოვიდნენ. კარის კაცებს უთხრეს: რა წამს ჩვენი ხმა შამოგესმოთ მაშინვე კარი გააღეთო, გასწიეს და ასე ნაირათ მივიდნენ რომ, იმათ ჯარში ვერავინ შეიტყეს და ჯარების სიმრავლით იმოტყუნა იარეს რომ, რისყოფით ხელმწიფის კარს მიაღწიეს, თავდათავ შევიდნენ და ერთს ფარულ ალაგიდან ყურება დაუწყეს, ნახეს რომ ხუთნი ხელმწიფენი სხედან, მეტად მშვენიერნი და საფალავნოთ აგებულნი, აგრეთვე ორნი დევნი სხედან თითოს მთას ემგზავსებიან და ასეთი საშინელი სახე აქვთ, ამ დევთ რომ, მტერი გულს გაუხეთქენ. ულხუზ დევს სამასი მწყრთა სიმაღლე აქვს და ათი მწყრთა გულის სიგანე და ხუთ-ხუთი მტკაველი ორი კბილი კარში უყრია და ცხვირის ნესტოებში თითო სპი-

ლო შაუქვრება, პირიდამაც ასეთი მყრალი ბოლი ამოსდის რომ კაცის საწამლავს მიემგზავსება, მაზმურ დევიც ამ გვარი და უფრო საშინელი და ბილწი იყო, თითოც ასეთი ლახტი უძევთ წინ რომ, ორასი ლიტრა სიმძიმე აქვს. რა ესენი ღვინით დაითვრნენ, მაშინ ამ ორთავემ მოახსენეს: ხელმწიფევ, ხვალ უთუოდ ომი უნდა იყოსო, რომ ინდოეთის ციხე უნდა ავიღოთო და ის ვიღაც ფალევნები რომ მოსულან უნდა დავიჭიროთ და ციხიდამ გადმოვკიდოთო. მაშინ ხელმწიფეებმა მიუგეს: ფალევან დევნო ხვალ უნდა შევისვენოთო და ზეგ კი დიდი ომები უნდა იყოსო რომ კიდეც საბოლოოდ გადაწყდესო და ჩვენ სახელმწიფოს დროით მივეპატრონოთ; მათაც ნება ისრე დართვეს. იმ დროს შუთურ აიარი იქ იდგა და თავის გუნებაში ამბობდა: თუ ჩემსა ხელმწიფის შვილებისა არ მეშინოდეს, ღმერთსა ვფიცავ, რომ ხუთთავეს აქვე თავებს დავკჭრით და ამ ორ ბილწ დევებსაც სულ ქვეყნიდამ ავხოცდით. შემდეგ ესენი გამობრუნდნენ და თავიანთ ჯარებში მოვიდნენ და იქ რაც ამბავს გაეგლო, ყოველივე მოახსენეს; გარდა ამისა, ისიც აცნობეს რომ, ხვალ ომი არ იქნებაო; იმ დევების სიბილწე და ძრიელებაც მოახსენეს. მაშინ ამ ოთხთა ფალევანთა მოახსენეს: ხელმწიფევ ინდოეთისა და დედოფალო! ხვალ იმათი მხრიდამ ომი არ იქნებაო, მაგრამ ჩვენ ვერ მოვითმენთ, გთხოვთ რომ უბძანოთ, სახვალიოთ ჯარები დამზადდესო. მაშინ რუიზანმა მოახსენა: ნება თქვენი არისო, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა, ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ სხივნი თავისი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ადგნენ ეს ოთხნი გმირნი ხელმწიფის შვილები, ჯერ ილოცეს და ღმერთს შეევედრნენ, მერე წამოვიდნენ ხელმწიფე როვშანბახტს თავი დაუკრეს; გარდაიარეს და თავთავისს ალაგას დასხდნენ. მაშინ რუიზანმა ჯარების ანგარიში ნახა; ესე იგი თუ მეომარი ჯარი რამდენი იყო, ნახა რომ, ოცდა ათი ასი ათასი და ექვსი ათასიც სარდალ-ფალევანნი და სამასი ათასიც ჯათოს ლაშქარი ყვანდათ. მაშინ რუიზანიც ფალევნურათ შეიმოსა, მერე ეს ყმაწვილებიც მოვიდნენ, როვშანბახტს თავი დაუკრეს და საჩქაროდ ჯარებს წინ გამოუძღვნენ და დასტა-დასტათ უცხოთ გარიგეეთ დადგნენ. იმ დროს შიგნით როვშანბახტმაც ექვსი ათასი მეომარი სულ ბურჯებზედ დააყენა ქვის სასროლათ. რა, მათ ჯარები გააწყეს და საომრათ დაემზადნენ, ნახეს რომ ციხიდან ჯარები უკვე გამოსულან და საომრათ მზად დგანან. შევიდნენ და იმ ხელმწიფეთა და იმ ორთა ბილწთა დევთა მოახსენეს: ხელმწიფენო და დევთა სარდლებო! როვშანბახტის ჯარები და ფალევნები საომრად მზად დგანანო. მაშინვე ეს დევები წამოხტნენ და თავიანთ ჯარებს წინ გამოუძღვნენ, აგრეთვე ხელმწიფეები თავიანთის ჯარებით წამოვიდნენ და პირდა-

ჭირ დადგნენ. რა შეხედეს როვშანბახტის ჯარებს, იცოტავეს და მასხარათ აიგდეს.

მოულოდნელათ გამოვიდა ულხუზ დევი და შემოსძახა: ადამიანთ ხელმწიფენო და ფალევანნო! მე ვარ ულხუზ სახელოვანი დევი და ვისაც ჩემი ომი გსურდეთ მოედანზედ გამოდითო. მაშინ ხოსროვშაჰმა როვშანბახტს თავი დაუკრა და გასვლის ნება სთხოვა. მან უბძანა: წადი, ღვთისათვის მიმიბარებიხარო. რა ეს ისმინა, ასეთის ქცევით წამოვიდა რომ, ვისაც შეეხედნა იმის მრისხანებას თვალს ვერავინ გაუსწორებდა; წინ შუთურ აიარი ნაჯახი მხარზედ გადაგდებული მოუძღვოდა, მოვიდა და მოედნის თავსა დადგა. რა იქიდან ულხუზმა შემოხედა, დიდათ მოეწონა და სთქვა: მე ამისთანა ფალევანი არ მინახამსო და წამოვიდა კიდეც. რა ერთმანერთს დაუახლოვდნენ, მაშინ ამ დევმა ხოსროვშაჰს სალამი მისცა, ხოსროვშაჰმაც სალამი ჩამოართვა. შემდეგ დევმა უთხრა, შენ ადამის შვილო, ცოდო არა ხარ, რომ შენ ჩემის ხელით მოკვდეო? მოდი დამიჯერე და ჩემს რაჯაბ ეშმაკს თაყვანი ეციო და ჩვენს ხელმწიფეს დაუმორჩილდიო, რომ დიდი ქვეყნები მოგცესო და თუ არ დამიჯერებ, მაშინ ამ ჩემის ლახტით მიწასთან გაგასწორებო. რა ხოსროვშაჰმა ეს გაიგონა, შესძახა: შე ბილწო, შენს ეშმაკს უნდა თაყვანი ვცეო და თქვენს ხელმწიფეს უნდა დაუმორჩილდეო?! მე ეხლავ გიჩვენებ, შენს ეშმაკს თაყვანის ცემას ვითარ უნდაო, დღეს, თუ თქვენ ხელ-ფეხ შეკრული ჩემს ხელმწიფე როვშანბახტთან არ გაგგზავნოთ, რაღა ფალევანი ვიქმნებით, იმედი მაქვს, ჩემის შეყვარებული ღვთისაგან რომ თქვენი და თქვენის ხელმწიფეების სახსენებელი გავწყვიტოვო. ეს სიტყვა დაასრულა და მაშინვე თავის ლახტს ხელი მიჰყო, გაექანა, დასაკრავათ შაუმაღლა, ერთი საშინელი ნარა გასწია და ამ ბილწს ასეთი დაჰკრა რომ, თუმც ფარი მიაშველა ფაგრამ, ასეთი მოხვდა რომ, ფარი სულ ლუკმა-ლუკმათ დაამტვრია; მაშინ თავი მოარიდა და ცხენს თავში მოხვდა. ულხუზ დევი და ცხენი ერთათ დაეცნენ. რა ხოსროვშაჰმა ულხუზ დევი ძირს დაცემული ნახა, თითონაც გადმოხტა. მაშინვე ულხუზს სხვა ცხენი მოჰგვარეს, მაგრამ არ შეჯდა, რადგანაც ხოსროვშაჰა ქვეითათ ნახა, თვალში ეფუქსავატა და შემოუტივა, მხოლოდ იმდენი დაცალა რომ ვიდრე ახლოს მოვიდოდა, მოუახლოვდა თუ არა, გურზი შეუმაღლა, მაშინ მისწვდა ხოსროვშაჰმა, გურზი ხელთაგან წაართო და შორს გადასტყორცნა, შემდეგ მოულოდნელად ასეთი მუშტი შემოჰკრა რომ, ყირაზედ სამჯერ გადატრიალდა. მაშინვე როვშანბახტმა სამხიარულო ნაღარას აკვრევინა და დიდის ხმით ტაში დაუკრეს. იმ დროს ულხუზ წამოდგა და სლმით შემოუტივა.—მაშინ ხოსროვშაჰმაც იძრო თავის ხმალი,

შემოჰკრა და ულხუზის ხმალი შუაზედ გატეხა. რა ბილწმა დევმა თავის ხმალი გატეხილი ნახა, დასწყდა, ხლმის ნატეხი აიღო და ხოსროვშაჰს პირში შემოჰკრა და არა მცირეთ დაკოდა. მაშინ გაჯავრებულმან ხოსროვშაჰმა კიდევ ისეთი მუშტი შემოჰკრა გულში რომ, ნაფაზი შეუკრა და უკან-უკან წავიდა ეს უშველებელი დევი და პირქვე დაეცა. იმ დროს შუთურ აიარი გაექანა და მკლავები უნდა შეეკრა, მაგრამ უცებ იმოდენა დევთა ჯარმა იერიში მოიტანა, შუთურ აიარიც და ხოსროვშაჰიც შუაში მოიმწყვდიეს. შუთურ აიარმა მამისეულ ნაჯახს ხელი გაიკრა და შიგ ჯარში გაერია, მრავალი დევი დახოცა; ერთის მხრიდამ ბეგზადშაჰა, გორშარაბმა და ბარზინმა მიეშველნენ და შეუტიეს, ისე გახადეს, რომ სულ ხოცვით დევებს მიჰყვნენ და რისხვა ღვთისა მათზედ დასცეს. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ულხუზ დევი ვერ წაიყვანეს, მხოლოდ ისევ ხოსროვშაჰის მუშტისაგან გულ შამოყრილი ეგდო. ბოლოს მიბრუნდა შუთურ აიარი, მაგრა მკლავები შეუკრა და როვშანბახტს მოჰგვარა, შემდეგ მიულოცა და მოახსენა: ღმერთმან გაიმარჯვებს ნუ მოგაკლოსთო! მაშინ მივიდა ხელმწიფე როვშან და ხოსროვშაჰს შუბლზედ აკოცა. შემდეგ ხოსროვშაჰა გამოტრიალდა და დევთ შეუტიეს; ერთის მხრიდამ ბეგზადშაჰამ, მეორეს მხრიდამ ბარზინ; მესამეს მხრიდამ გორშარაბ, მეოთხეს მხრიდამ რუიზან, მეხუთეს მხრიდამ ზორაბ დევმა და უულუნ ჯადომ, უკანიდამაც ჯარები მისდევდნენ. ამათ საერთოთ დასცეს კიჟინა, მაგრამ იქიდამაც ეს ზღვის ოდენი ლაშქარნი ერთმანერთში დაერივნენ და ისეთი საშინელი ომი მოუხდათ რომ, მეორეთ მოსვლას ემსგავსებოდა; მხოლოდ ისმოდა: „ჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ, ერთს ცოცხალს ნუ გაუშვებო“. ერთის მხრიდან რა ულხუზის დაჭერა ნახეს, ისეთის მრისხანებით წამოვიდნენ რომ მეტი აღარ იქნებოდა, ამ დროს როვშანბახტის ჯარი გამოატრიალეს. მაშინ რა ბეგზადშაჰამ, გორშარაბმა და ბარზინმა თავიანთ ჯარები გამოტრიალებული ნახეს, ერთი ასეთის ხმით ნარა გასწიეს რომ, ცის ქვეყანაზედ დაცემის ხმას მიამგზავსეს, შეუტიეს ამ ჯარებს და ისევ უკან დაახევინეს. ამ დროს შეხედეს, ნახეს რომ, დევთა ჯარებს, მაზმურ დევი წინ მიუძღვის და პირიდამ ცეცხლებს ჰყრის, გაჯავრებული ვისაც ხმალს სცემს, ცხენს და კაცს შუაზე სწყვეტავს, ვისაც წიხლს აძგერებს, მცირე ბურთივით შორს ისვრის. რა ბეგზად შაჰამ დაინახა, მაშინვე სთქვა, ვისაც ვეძებდი ვიპოვნეო, ეს სთქვა და პირდაპირ ამ მაზმურ დევს მიმართა. რა იმ ბილწმა შემოხედა, ნახა რომ, ერთი ყრმა ფალევანი მრისხანის სახით იმისაკენ მოდის; დიდათ მოეწონა. იმ დროს ბეგზადმა შესძახა: ჰეი დევო, მაგ ჯარების ხოცვიდან ხელი აიღეო! მე ვარ შენი მოპირდაპირეო და დაუშინეს ერთმანერთს: ხან ხლმით,

ხან ლახტით, ხან გურზით. რა რომ გაგრძელდა საქმე, მაშინ ბეგზადშაჯამ მისწვდა მას ბილწს და სარტყელში ხელი სტაცა, აზიდა ეს უშველებელი დევი, ერთი ხელი კისერში ჩაავლო, მეორე ხელი ფეხში და როგორც ერთი მცირე ყმაწვილი, წაიღო და ხელმწიფე როვშანბახტის წინ მიწაზე დასცა, მკლავები მაგრა შეუკრა და ხელმწიფეს გამარჯვება მიულოცა. მაშინ რუიზანმა, გორშარაბმა და ბარზინმა დიდი ქება შეასხეს. რუიზანმა მიიკრა გულზედ და ორსავ თვალში აკოცა. მერე ამათ ერთობრივ შეუტიეს მათ ჯარს და უკან ხოცვით მისდევდნენ. რა რომ იქიდამაც ნახეს, ულხუზ და მაზმურ დევებიც დაჭერილნი, დიდათ გაჯავრდნენ. წამოვიდნენ და ასეთი ომი მოახდინეს რომ, მეორედ მოსვლას ჰგვანდა; ხელმეორედ შეუტიეს რუიზანმა, ზორაბ დევმა, გორშარაბმა, ბარზინმა, ყულუნ ჯადომ, ხოსროვშაჯამ და ბეგზადშაჯამ. ამათ მოპირდაპირეთ წამოვიდნენ ის ხუთნი ხელმწიფენი და დაერივნენ ერთმანეთში. ხან გამოატრიალებდნენ და ხან გაატრიალებდნენ. ასეთი საშინელება იყო რომ, ამას იტყოდნენ მნახველნი: ქვეყანაზედ აღარავინ დარჩომილა და ქვეყნის ჯარები სულ აქ არიანო.

იმ დროს ამ ომში ყულუნ ჯადოს ბარუელ ჯადო შეხვდა და უთხრა: შენ პურმარილის და ღვთის გმობელო ბარუელ, ჩემის ხელიდამ სადღა წახვალო; შესტყორცნა საგდებელი ყულუნმა და ბარუელს წელში მოსდო. გამოსწია და თრევით თავისთან მოიტანა, მკლავები მაგრათ შეუკრა და ხელმწიფე როვშანბახტს მოჰგვარა და გამარჯვება მიულოცა. ხელმწიფემ დიდი მადლობა უბძანა ყულუნმა თავი დაუკრა და ისევ ჯარში წამოვიდა. ბარუელ ჯადო კი საპყრობილეში ჩასვეს.

მთელი ათი დღე საშინელი ომი იყო: დილიდამ საღამომდის და საღამოდან გათენებამდისინ სისხლი იღვრებოდა. ეს მეომრები, არც სჭამდნენ, არც სომდნენ, არც დღე მოისვენეს და არც ღამე, თავიანთ თავის გამოჩენისათვის. ეს ოთხნი მშვენიერნი და გმირნი ყმაწვილ ფალევანნი, ასეთი საქებურად და გასაკვირვებლად ომობდნენ რომ, არა ფალევანისაგან და თვით ყარამანისაგანაც არ გაგეგონათ ასეთი ომები. ამ ომში გორშარაბს და ბარზინს, თურქთა ხელმწიფის შვილები შეხვდნენ და დაუშინეს ერთმანეთს ხან ხმლით, ხან გურზით, ხან ლახტით, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს. შემდეგ გაჯავრდა გორშარბი, მივარდა, ასწია და ცხენისაგან აგლიჯა შემდეგ დედამიწაზედ ასეთი დასცა, რომ მისი სახე მიწას დაასჩნდა, მაშინვე შუთურ აიარი მიიჭრა, მკლავები მაგრათ შეუკრა, და საჩქაროდ ხელმწიფე როვშანბახტს მიჰგვარა და გამარჯვება მიულოცა. ისიც საპყრობილეში ჩასვეს. მეით ხანმა რა იხილა თავის ბიძაშვილი იბ-

რეიმ ხანის დაჭერა, ერთი დიდათ შეჰყვირა და ბარზინს მოუხდა, მაშინ ბარზინმა უთხრა: რას ყვირით? და ქამანდიც ესროლა, წელში მოსდო და ცხენიანათ გამოაბრუნა და მოზიდა, პირქვე დედამიწაზედ დაეცა და თრევით წამოიღო. ამ დროს შუთურ აიარი მიიჭრა, ხელები შეუკრა, ესეც წამოიყვანა, ხელმწიფეს მოართო და გამარჯვება მიულოცა. ესეც საპყრობილეში ჩასვეს. ბინდმა უკვე მოატანა, ყველა ჯარები თავთავის ბინაზედ მივიდნენ. რა ჩვენი ფალევნები და ყულუნ ჯადოც თავიანთის ჯარებით გამობრუნდნენ და ციხეში შევიდნენ, საომარი იარაღი აიხსნეს და სალხინო ჩაიცვეს, ხელმწიფესთან მივიდნენ. რა ხელმწიფემ ეს ოთხნი გმირნი ფალევანნი დაინახა, მაშინვე წინ მოეგება და შუბლზედ ყველას აკოცა, დიდი ქება შეასხა და ითითო ხელი ასეთი ხალათები უბოძა რომ; ქვეყნის ფასად ღირდა. ეს ფალევნები გადავიდნენ და თავიანთ ალაგას დასხდნენ, შემდეგ ზორაბ დევი და ყულუნ ჯადო მოვიდნენ, ხელმწიფეს გამარჯვება მიულოცეს. ხელმწიფემ ამათაც უცხო ხალათები უბოძა და მადლობაც უბძანა. ესენიც გადავიდნენ და თავიანთს ალაგას დასხდნენ, მერე შუთურ აიარი შემოვიდა, მივიდა, ხელმწიფეს მუხლთა აკოცა, გამარჯვება მიულოცა და მოახსენა: ხელმწიფეო ინდოეთისავ, თუ თქვენც ბძანებთ დღეს ღვთის ძალით უცხო გამარჯვება მოგვიხდაო. მაშინ ხელმწიფემ უბძანა: შუთურ აიარო, ახლა დრო არის რომ წახვიდე და იმათი ერთი რამ ამბავი მოგვიტანოვო. მან მოახსენა, ხელმწიფეო ჯერ მეც ხალათი მიბოძე და წავალო— და თუ არ მიბოძებ, თუმც წავალ, მაგრამ სწორე ამბავს არას მოგართმევო. ამ შუთურ აიარის სიტყვაზედ, მრავალი იცინეს და მაშინვე რუიზან დედოფალმა ასეთი ხალათი უბოძა რომ დაუფასებელი იყო. მივიდა მუხლისა აკოცა და თავის კარავში მოვიდა.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ბნელეთის ხელმწიფეების ამბავი მოვიხსენიოთ: უსეინ ხანისა, ისმაილ ხანისა და მაჰმად ხანისა.

ამ დროს რა შუთურ აიარი ხელმწიფეს გამოეთხოვა, სწრაფის სიარულით წავიდა და იმ ხელმწიფეების კარავში, უჩინოთ ყურის გდება დაუწყო. ამ დროს ის სამნი ხელმწიფენი მოვიდნენ და თავიანთ ტახტებზედ დასხდნენ, ვეზირები გვერდსა მოისხეს და ვეზირობა შექმნეს. მაშინ ხელმწიფეებმა ბძანეს: ვეზირებო! ეხლა ჩვენი საქმე როგორ იქნებაო? იმისთანა ხელმწიფენი შეიპყრეს, იმათთან გმირი დევთა სარდლები და გა-

მოჩენილი ჯადოვო, ეხლა დავრჩომილვართ ჩვენ, რიგიანი ფალევანი აღარავინა გვყავს, ეხლა როგორ უნდა მოვიქცეთო? ასჯერ ასი ათასი დევთა ლაშქრიდან, ადამიანთ და ჯადოს ლაშქართაგან, ნახევარი ძლივსღა დაგვრჩომიაო, სულ ამოგვიწყვიტესო. ეს სთქვეს და დიდათ შეფიქრიანდნენ. შემდეგ წამოდგა უპირველესი ვეზირი და მოახსენა: ხელმწიფეო, თქვენი მაგვარი დაფიქრება ჯარებთათვის დაჯაბნება იქნებაო; თქვენ ახლავე თქვენს ლაშქარს მხიარულათ უნდა ეჩვენოთო და საომრად მომზადება უნდა გამოუცხადოთო. ამაზე ის სამნი ხელმწიფენი კარში გამოვიდნენ, სარდალთა და ფალევანთა ჯარების გაყვანა უბძანეს და თითონ სამთავემ ასე არჩიეს: შიშით ყოფნას ისევ ვაჟკაცურათ მოვიქცეთო, რაც მოსასვლელია უნდა მოგვივიდესო. ეს სთქვეს და მაშინვე ჯარს წინ გამოუძღვნენ და მოედანზედ მოვიდნენ. მანამ ესენი საომრად წამოვიდოდნენ, შუთურ აიარი უკვე წამოვიდა, და რაც მათ ხელმწიფეებს განეძრახათ, ყოველივე როშანბახტს მოახსენა. მაშინვე ამათაც ჯარებს გასვლა უბძანეს და სარდლები გააყოლეს. რა მივიდნენ, მაშინვე ყველამ თავთავის განწესებულ ალაგს დადგნენ. იმ დროს ის ოთხნი ფალევანნიც მოვიდნენ, ესე იგი ხოსროვ შაჰა, ბეგზად შაჰა, გორშარაბ და ბარზინ, შეხედეს ნახეს რომ, ის სამნი ხელმწიფენი საომრად დგანან, უცხო ფალევანნიც არიან და იმდენი ჯარები ჰყავთ რომ, თვალი არ გასწვდებოდა; იმ დროს ზორაბ დევი და ბარყულ ჯადოც მოვიდნენ და საფ გაწევით დადგნენ. მაშინ აგრეთვე რუიზან დედოფალიც მოვიდა და ამ ახალთა ფალევანთა გვერდით მოუდგა. მაშინ ხოსროვშაჰამ და ბეგზადშაჰამ მოახსენეს: დედოფალო, ჩვენ გთხოვთ რომ მიბძანდეთ ხელმწიფის ტახტზე ხელმწიფესთან დაბძანდეთ და თამაშა გვიყუროთო; თქვენ არასოდეს ნუღარ შესწუხდებითო, ჩვენ მონანი თქვენი, იმედი გვაქვს ჩვენგან შეუვარებული ღვთისაგან რომ ხუთი ამოდენიც რომ იყოს, ჩვენ შეგვიძლიანთ პასუხის გაცემაო, მაშინვე რუიზანი მივიდა და ოთხსავეს შუბლებზედ აკოცა, შემდეგ გამობრუნდა და ხელმწიფესთან მოვიდა.

## ესენი ამ ამბავში დაუტევოთ და ეხლა ბნელეთის ქვეყნის ხელმწიფეების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ისმეილ ხანმა, უსეინ ხანმა და მაჰმად ხანმა ჯარები გაამზადეს, შემდეგ შემოხედეს ამათ მხარეს, ნახეს რომ, ოთხივ ფალევანნი მშვენივრად შეარაღებული ჯარს გამოჭიმული წინ უდგანან. რა ესე ნახეს, მაშინვე სთქვეს ამათის პასუხის გაცემა ვის ძალუძსო? ჯარები წინ წამოაყენეს, ეტყობოდათ რომ რაზმით უნდოდათ შებმა. რადგანაც ჯარი მრავალი

ჰყვანდათ, ამიტომაც ხუთ დარვად გაიყვნენ და ისრე წამოვიდნენ. მაშინვე აქედამაც ხოსროვშაჰი, ბეგზადშაჰი, გორშარაბი, ბარზინ, ამათთან ზორაბ დევი და ყულუნ ჯადოც ზურგს უნახამდნენ, ესე საერთოთ წამოვიდნენ, კიჟინა დასცეს და ისე დაერივნენ, როგორც მგელი ცხვარში; ხელმეორეთ აუტყდათ საშინელი ომი. იმ დროს ისმეილ ხანისა, უსეინ ხანისა და მაჰმად ხანის ჯარები გარს შემოერტყნენ და დიდი ძალი ჯარი ამოუწყვიტეს მოპირდაპირეებს, ამას გარდა ის სამნი ხელმწიფენი, ხმალ ამოღებულნი წინ მოუძღოდნენ ჯარს, ეტყობათ ძალიან გულ დამწვარნი იყვნენ რომ ასეთ სასტიკ ომს ხდილობდნენ, რომელიც მეორეთ მოსვლას ემსგავსებოდა, მაგრამ ის უმეცარნი იმას არ ფიქრობდნენ რომ რაც ქნათ, მაინც იმ გმირთა ფალევნებთან ვერაფერს გააწყობდნენ.

რა ამ ოთხთა უმაწვილ ფალევანთა ნახეს რომ, მტრის ჯარი რკალივით შემოერტყნენ და მრავალიც დაუხოცეს, მაშინ ერთმანერთს ხმა მისცეს და თითო საშინელი ნარაც გასწიეს და კიდეც შეუტიეს ამდენ მრავალ ჯარს, მეორეს მხრიდამაც ზორაბ დევი, მაგრამ ვერაფრით ვერ გააბრუნეს. სამი დღე და ღამე საშინელი ომი ჰქონდათ, ისეთი საშინელი სისხლის ღვრა მოხდა რომ თითქმის ცხენს და კაცს იტაცამდა. დიდად დაიღალნენ. იმ დროს ბეგზადშაჰს და ხოსროვშაჰს ხმა მისცეს და სთქვეს: ეს ჩვენი დასაკლისი ამბავი არისო, აგრეთვე გორშარაბმა ბარზინს შესძახა: ამდენი ხანი ომი ვის უნახამსო? ამაზე ძალა მიიცეს ღვთისაგან და შაუტიეს; ეხლა კი მრავალი დევთა და ადამიანთ ჯარები ამოუწყვიტეს და უკან დაახევინეს და უწესოთ ერთმანერთზე მიჰყარეს. რა იმ სამთა ხელმწიფეთა ნახეს, ამაზედ ერთმანეთს ხმა მისცეს, ჯარი გამოაბრუნეს, ხელახლად დარაზმეს და შემოუტიეს. დილიდამ საღამომდის მედგრად იბრძოდნენ და ვერც ერთმა მხარემ ვერ სძლიეს. იმ დროს ყათარანის შვილი გორშარაბ და ბარამჯიბილის შვილი ბარზინ, დიდათ გაცხარდნენ და ხმალ მოწოდილნი გაექანნენ და სადაც ის ხელმწიფენი იყვნენ, იქამდის მიაწიეს, მაშინ იგი ხელმწიფენიც ამათზედ წამოვიდნენ და ერთმანერთს დაუშინეს ხლმით, გურზით, ლახტით და შუბებით, ესრეც ვერავინ სძლია. მაშინ ბეგზადშაჰა და ხოსროვშაჰა მივიდნენ, ნახეს რომ გორშარაბს ისმეილ ხანი ებრძვის, ბარზინსაც უსეინ ხანი, იბრეიმ ხანი კი ჯარებს უგანიდამ ხოცვით მოსდევს. მაშინ ხოსროვშაჰმა უთხრა ბეგზად შაჰს: ძმაო! შენ და ზორაბი იმ მომავალ ჯარებს შეუტიეთო, მეც იმ იბრეიმ ხანზედ მივალო. მაშინვე ხოსროვშაჰი და ზორაბ დევი მამაცურად ჯარებს მიუხდნენ, შეხედეს ნახეს რომ, შუთუერ აიარს ნაჯახი ხელში უჭირავს მტრის ჯარებს მისდგომია და ესეც უწყალოთ ხოცავს. — რა ბეგზადშაჰმა დაინახა

შუთურს ხმა მისცა, შუთურ აიარი საჩქაროდ წამოვიდა და უთხრა, შენ აქ ჩემთან იყავიო. იმ დროს მეით ხანმა შემოხედა, რა ბეგზადშაჰი დაინახა, გამოექანა და ხმალი გადაჰკრა. ბეგზადშაჰს დიდათ მოეწონა მისი ფალევნობა და მაშინვე შესძახა: მე გიჩვენებ შენს ხლმის მამოკვრასაო და მისწვდა მაშინვე კისერში, ხელი სტაცა, ასწია და დედამიწაზე ისე დასცა, რომ მისი სახე მიწაზედ გამოისახა. მაშინვე შუთურ აიარი მიიჭრა, ბეგზად შაჰს დიდი ქება შეასხა და მეით ხანს მაგრა მკლავები შეუკრა და წამოიყვანა. ამ დროს გორშარაბმა და ბარზინმა ისმეილ ხანს და უსეინ ხანს შეხვდნენ, ამათთანაც დიდი ბრძოლა მოუხდათ, თითქმის საღამომდის გასტანა. თუმც იგინი მეტად უცხო ფალევანნი იყვნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ ამათთან? ის უბედურნი, რა ერთმანერთს შეხვდნენ, დაუყოვნებლივ სტაცეს ორთავეს ხელი და ორივ შეიპყრეს და აიართ ჩააბარეს. რა ხელმწიფე როვშანბახტმა და რუიზანმა დაინახეს, სამხიარულო ნაღარას შებერეს და დიდი ტაშის კვრა დაიწყეს და იძახდნენ „შაბაშ... შაბაშ... თქვენსა მკლავთა ძრიელებასა და მამაცობასაო", რომ ქვეყანაზედ არარიან თქვენისთანა მშვენიერი და გმირი ფალევანნიო.

რა ამ ოთხთა გმირთა ეს ხელმწიფეები შეიპყრეს, იმათმა ჯარებმა ეს ნახეს თუ არა, დიდათ იწყინეს და გულდამწვარნი ერთობლივ შემოუტიეს და ხელ ახლად დიდი ომი გადაიხადეს. მაშინვე ამ ოთხთა ფალევანთა ერთმანერთს ხმა მისცეს და დაერივნენ, ისე მრავალი ჯარი სულ ხოცვით შორს, უკან დაახევინეს. ამ დროს კიდეც დაღამდა და გასაყარ ნაღარას ჰკრეს. მაშინ ეს ოთხნი გმირნი ფალევანნი, ზორაბ დევი და ყულუნ ჯადოც გამობრუნდნენ და მოვიდნენ, ყველა თავთავის ბინებზედ ჩამოხდნენ, საომარი იარაღი აიხსნეს, სადღხინოთ შეიმოსნენ და ხელმწიფესაკენ წამოვიდნენ. რა როვშანბახტმა იმათი მომავლობა ნახა, საჩქაროთ წინ მოეგება და ოთხთავეს შუბლს აკოცა, ზორაბ დევს და ყულუნ ჯადოს მადლობა უბძანა და ამათაც გამარჯვება მიულოცეს. რა სასახლეში შევიდნენ, მაშინ რუიზანი წინ მოეგება და მრავალი თვალ-მარგალიტი გარდააყარა ამ გმირთა ფალევანთა და უბძანა: ფალევანნო და ყოველთა უმჯობესნო! რაც თქვენ მხნეობა ისმარეთ და ამოდენა დევთა, ქაჯთა, ადამიანთა, და ჯადოთა ლაშქრები დაამარცხეთო, რომელიც თვით პაპიჩემის ყარამანისაგანაც შეუძლებელი იყოვო; ესა სთქვა და მაშინვე თავის ხაზინიდამ ათი სალაროს კარებების გასაღებები მიართო ოთხთავეს და ათათოასეული ხალათები უბოძა რომ, ქვეყნის შემოსავლის ფასად ღირდა, აგრეთვე ზორაბ დევს და ყულუნ ჯადოსაც, საჩუქრები მიართო, შემდეგ ოთხთავეს გადაეხვია და შუბლსა აკოცა, მერე ხელმწიფე როვშანბახტი მოეგე-

ბა და ოთხთავეს ინდოეთში თითო დიდროვანი ქალაქები უბოძა, აგრეთვე ჟულჟუნ ჯადოს და ზორაბ დევს, ამდენი ხაზინები უბოძა რომ წაღება აღარ შეეძლოთ, შემდეგ გაბრუნდნენ, დასხდნენ და უცხო მეჯლისი გამართეს.

## ესენი ამ შექცევაში დაუტევოთ და ეხლა ისმეილ ხანის, უსეინ ხანის და იბრეიმ ხანის ჯარების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამათ თავიანთ ხელმწიფეები ვეღარ ნახეს და კიდეც შეიტყეს რომ შეიპყრესო, მაშინ დაიძახეს, ჩვენ რისთვის ვიხოცებითო! გამოტრიალდნენ და ერთიანათ ხელმწიფის სასახლისკენ წამოვიდნენ. რა შემოხედეს, ნახეს რომ, ეს ამოდენა ჯარები უკანვე გამობრუნდნენ, მაშინვე ზორაბ დევი თავის ლაშქრით წინ მიეგება, ნახეს რომ იმ ჯართა ერთიანად დაიჩოქეს და დიდის ხმით შევედრნენ: ხელმწიფეო ინდოეთისაო, დედოფალო და გმირნო ფალევანნო, გვაპატიეთ ჩვენი დანაშაულიო. ხელმწიფემ რა ესე ისმინა, მაშინვე აპატია და შეიწყალა, უბძანა: ნუღარავისი გეშინიანთო, წამოდგნენ და თაყვანი სცეს. სასწრაფოთ ზორაბ დევს და ჟულჟუნ ჯადოს უბძანა, ეს ჯარები ერთს უცხოს ალაგას დააყენეთო ხვალამდის და ხვალ ამათს საქმეს მოვაწესრიგებთო. შემდეგ ამ ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფეების, ულხუზ და მაზმურ დევების ხაზინები მოაზიდვინა. რა საქმეს მორჩნენ, შემდეგ უცხოდ შეექცნენ. მეორე დღეს რა დილა გათენდა. ჟულჟუნს და ზორაბ დევს უბძანა: წადით და ის უცხო ჯარები მწკრივათ დააყენეთ, თავიანთ სარდლებით და შეიტყეთ, რამდენი ათასნი არიან. წავიდნენ და ბძანებისამებრ აღასრულეს, მაშინ როვშანბახტი, რუიზან დედოფალი, ხოსროვშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბმა და ბარზინ წამოვიდნენ ჯარების გასასინჯავათ. რა მოახლოვდნენ, ეს ამოდენა ჯარები სულ პირქვე დაეყარნენ და შეცოდების მიტევებას ეაჯებოდნენ. მაშინ დიდი იმედი უბძანა ხელმწიფემ და დედოფალმა შემდეგ ჟულჟუნს ჰკითხა, რამდენი ათასნი არიან? მოახსენა: ოცჯერ ასი ათასი ადამიანთ ჯარი არის, ექვსი ათასი დევთ ჯარი არის და ორასი ათასი ჯადოთ ლაშქარი არის; იმ დროს ამ ჯარებმა ერთიანათ დაიძახეს: ხელმწიფეო ინდოეთისაო, ჩვენც გვიწამებია თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი; ღმერთმან დასწყევლოს რაჯიბ ეშმაკიო, ჩვენ იმის ცდუნებით მოგვივიდა და გვაპატიეთო. მაშინ ინდოეთის დიდებულნი დაიბარა და უბძანა, ეს ჯარები სულ ინდოეთში დაარიგეთო, ასე რომ ხუთი კაცი ერთს კომლს მიაბარეთო. შემდეგ მოვიდა თავის სასახლეში, მეჯლისი გამართა და უცხოთ შეექცნენ, რა დილა გათენდა, მაშინ როვშანბახტმა ხელმწიფეების მოყვანა ბძანა, აგრეთვე ულხუზ დევისა, მაზ-

მურ დევისა, მაშინვე ხელებშეკრული მოიყვანეს; ვინც რომ შეხედეს ამ ხუთთა ხელმწიფეებს, ამათი მშვენიერებას ჰკვირობდნენ და დიდათაც შებრალდათ იმათი უმაწვილობა და როვშანბახტს თავისი ტუსაღობა მოაგონდა და შეიბრალა თანაც უბძანა მშვიდობა თქვენი ნახვაო. იმ დროს იმათგანი ერთი წინ წამოდგა (ისმეილ ხანი) და მოახსენა: ხელმწიფევ ინდოეთისაო, ჩვენ რაღა მშვიდობა გვეთქმისო? როგორც დამნაშავე ვართ თქვენ წინაშე, ისრეთვე თავსა ჩვენსა გადაგვხვდაო; რადგან ჩვენ, ის წყეული ღმერთათ მივიღეთ, იმან გვაცდინაო, თორემ რა გვრჯოდა, ჩვენთვის ვეყარენით; თითო ქვეყნის ხელმწიფე ვიყავით. ღმერთმა ამაზედ მოგვიძულა, თორემ ჩვენც ნაკლები ფალევნები არავართო. რადგანაც ის ეშმაკი ღმერთათ ვიწამეთ, ჭეშმარიტმა ღმერთმა არ ინება ჩვენი გამარჯვებაო, თორემ ასჯერ ასი ათასი ჯარი როგორ უნდა დამარცხდესო, რომ ერთი პატარა რამ სახელი მაინც არ დაედოთ! ჩვენს თავს თითონ ჩვენვე ვამტყუნებთ, რაც გადაგვახდეინოთ, ჩვენზედ ახიაო.

რა ეს სიტყვა დაასრულეს, ყელ მოდრეკით დადგნენ, ამაზე რუიზანს მეტათ შებრალდა, აგრეთვე დანარჩენ ფალევნებსაც და მივიდნენ ხელმწიფეს მოახსენეს: ხელმწიფევ ინდოეთისაო! გიხოვთ რომ ქუჩუკ ყარამანთან და შვიდი იყლიმის ხელმწიფესთან, შუამავლობა იხმაროთ და ეს ხუთნივ ხელმწიფენი სიკვდილიდამ მოარჩინოთო. მაშინ უბძანა ხელმწიფენო! გწამსთ წმინდის გულით საბაოთ ღმერთი თუ არა?! მოახსენეს, ხელმწიფეო ინდოეთისა და დედოფალო, გვწამს ჭეშმარიტი ღმერთი და კიდეც გვწამებიაო; გამობრუნდნენ და იმ ოთხთა ახალ ფალევანთა, შეევედრნენ შემდეგის სიტყვებით: ფალევანნო, გმირთა ხელმწიფეთა და ფალევანთა შვილებო! თქვენც გვაპატიეთ ჩვენი შეცოდება თქვენს წინაშეო... მაშინ რუიზანი წადგა და ხუთთავეს მკლავები აუხსნა. მივიდნენ და ხელმწიფე როვშანბახტს მუხლთა აკოცეს, დედოფალს ხელზედ და იმ ოთხთა ფალევანთ პირზედ. მაშინ გადაიყვანეს და უცხოს ალაგას დასხდნენ, მერე მობრუნდა, ულხუზ და მაზმურ დევებს უბძანა, თქვენც გწამთ ჭეშმარიტი ღმერთი თუ არაო? მაშინვე ცალს მუხლზედ დაიჩოქეს და მოახსენეს: ჩვენც გვწამს თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი,—მართლა რომ თქვენი ღმერთი ძრიელი ყოფილაო, თორემ ჩვენ ეს ორნი, მთელ ყაფის მთას დავაქცევდითო, ამასთან ეშმაკს მიაივყურთხეს და ჭეშმარიტი ღმერთი ახსენეს. მაინ ყულუნს უბძანა: მაგათაც მკლავები აუხსენიო. მაშინვე აუხსნა, მერე ივიდნენ და ხელმწიფეს მუხლთ აკოცეს, რუიზანს ხელზედ და იმ ოთხია გმირთა კალთას და მოახსენეს: ფალევანნო, თქვენისთანა გმირნი ღმერთს ღარ გაუჩენიაო, მართლაც საამყირანობის ღირსნი ხართო, მაგრამ დვთის

შემწეობამ და ძალამაც გიშველათო. იმ დროს ხოსროვშაჰმა მოახსენა: ფალევან დევნო! მართალი არის რომ ღვთის ნება იყო, თქვენი ჩვენგან დამარცხებათ? თორემ ჩვენ, თითო მუჭა ხალხნი ვართ და ჩვენგან შეუძლებელი იყო გამარჯვება. შემდეგ ესენიც გადიყვანეს სფალევნო სკამებზე დასხეს და ახლა ბარუყლ ჯადო მოიყვანეს, ამასაც უბძანა როვშანბახტმა: ბარუყლ ჯადოვ! როდესაც ჩვენმა ქუჩუკმა ბაუბაუ დევი დაიმორჩილა, შენც ხომ იმასთან იყავი? იმ დროს შენც, ბაუბაუ დევიც თავისის სარდლებით, უულუნ ჯადოც, დიდის ფეშქაშებით რომ გაგისტუმრათ, თქვენი ქალაქებიც ისევ თქვენვე ჩაგაბარათ, მაშინ ჭეშმარიტი ღმერთი იცანით და აბა ეხლა მითხარით, ჩვენმა ჭეშმარიტმა ღმერთმა რა შექცოდათ რომ ჭკმე და ისევ ეშმაკს თაყვანი ეცით. საკვირველია, იმან ამდენი ხალხი როგორ შეგაცდინათ და დღეს ესეთი დიდროვანი ხელმწიფეები თავის მრავალის ჯარებით სირცხვილში ჩაგყარათ; ამათთან ეს პატიოსანნი დევთა სარდლებიც მოატყუა და ამათაც ხომ ნახე რა მოუვიდათ? ვსთქვათ რომ, ამათ იმ ეშმაკისაგან მოტყუვდნენ და არც ქუჩუკი ენახათ, არც იცოდნენ ქუჩუკ ყარამანის ძალა, არც იმისი გმირი ფალევნობა; შენ ხომ გენახა და კიდეც იცოდი, ერთი მითხარი რათ მოსტყუვდი და იმ წყეულს კიდევ რათ აჰყყევით? უულუნ ჯადო შენი ამხანაგი იყო, და ხედავ რა ჭკვიანობა გასწია და იმ მატყუარს არ აჰყვა, იმან კარგათ იცოდა რომ სულ სიცრუე იყო; ეს კარგათ უნდა იცოდე რომ, ეშმაკი რომ კარგი იყოს, ღმერთი გამწყრალი არ ეყოლება. ეხლა მე როგორც ვხედავ, შენს პატივის ცემას, შენ მაგივრათ უულუნ ჯადო მიიღებსო და შენკი ქუჩუკისაგან დიდათ დაიტანჯები, მე შენი განთავისუფლება არ შემიძლიან, ქუჩუკის ბძანებით შენ ფარვან დევს აბარიხარ და როგორც იგი ინებებს ისე მოიქცევაო, ესე იგი თუ სურს გაგანთავისუფლებს, სურს არც გაცოცხლებსო. რა ესე დაასრულა ლაპარაკი, მაშინვე ოთხი ათას ხუთასი თუ დევთა, თუ ადამიანთა და თუ ჯადოთ სარდალ-ფალევანნი სულ გაანთავისუფლა. შემდეგ ჯადოს სარდლები უულუნს ჩააბარა, დევთ სარდლები მაზმურ დევს ჩააბარა და ადამიანთ სარდლები იმ ხუთ ხელმწიფეთ ჩააბარა.

ეს ამბავი აქ დაუტეოთ და ახლა სხვა ამბავი დავიწყოთ.

რა ინდოეთის ხელმწიფე როვშანბახტმა, ეს ხუთნი ხელმწიფენი დაამარცხა, ხოსროვშაჰის, ბეგზადშაჰის, გორშარაბის და ბარზინის შემწეობით, ეს ამბავი ყოველიგე არდევან შაჰს, დედოფლებს და ნარიმან ხელმწიფეს მისწერა და ერთი წიგნიც სასუფრანს.

აქ როვშანბახტისაგან შვიდი იყლიმის ხელმწიფესთან წიგნის მიწერა და მახარობლის გაგზავნა. ესე იგი როგორც საქმეს გაყვლით: ან ის ხუთნი ხელმწიფენი როგორ შეიპყრო, აგრეთვე მაზმურ და ულხუზ დევნი, ანუ ბარუყლ ჯადოს ამბავი და როგორც ჯარები შემოესივნენ ინდოეთის სატასტო ქალაქს, ანუ რა მწუხარებაში ყოფილიყვნენ, შემდეგ რა მამაცობა გამოიჩინეს ახალმა ფალევნებმა ერთის სიტყვით ყოველივე აცნობა და მაშინვე ახირ ჯადო და შუთურ აიარი გაგზავნა და ათი კარგი ფალევანი დევი გაატანა. ერთი წიგნიც ქუჩუკს მისწერა, შიგ ჩამატებით: თქვენო დიდებულებავ, შვიდის იყლიმის ხელმწიფეო, ამ ჟამათ, ჩემის ჯარებით მაღრიბისაკენ მივდივარო, და ესენი საჩქაროთ გაისტუმრა. რა ამათ საქმეს მორჩა, მაშინვე ყულყუნ ჯადოს უბძანა: ჩვენი ჯარები მოამზადე რომ მაღრიბს უნდა წავიდეთ. გამოვიდნენ საჩქაროდ და ჯარები მოამზადეს. თეთრი დევის სამასი ათასი დევთა ჯარით, აგრეთვე ინდოეთის სახელმწიფოდანაც, რომელიც უცხო და გამოჩენილი მეომარი ჯარი ჰყვანდა თავისი სარდალ ფალევნებით, სამასი ათასიც ეს ადამიანთ ჯარი მოამზადა, ყულყუნ ჯადოს ასი ათასი ჯადოთ ლაშქრიდამ, ორმოცდა ათი ათასი თან წასაყვანათ მოამზადა, დანარჩენი ჯარი, ციხეში თავის მოადგილე ნაიბი ვინც იყო დიდებულთაგან, იმას ჩააბარა, ოცდა ათი ათასი ინდოეთის ჯარი ჩააბარა და აგრეთვე მთელი ინდოეთი და ამასთან დიდი სიფთხილე უბძანა. შემდეგ სამ ასი ათასი ადამიანთ ლაშქრით, ასი ათასი ზორაბ დევის დევთა ლაშქრით და ორმოცდა ათი ათასიც ჯადოს ლაშქრით, დაემზადნენ და მაღრიბისკენ წამოვიდნენ. პირველად ჯარები გაისტუმრეს და მეორე დღეს თითონ წაბძანდნენ, ესე იგი როვშანბახტი, რუიზანი, ამათთან ის ოთხი გმირნი ყმაწვილი ფალევანნი ამათთან მაზმურ და ულხუზ დევი და იგი თურქმანის და ბნელეთის ხუთნი ხელმწიფენი, ამათთან ზორაბ დევი და ყულყუნ ჯადოთი. ყველა ესენი ტახტებზედ დასხდნენ შემდეგ მოვიდნენ დევები, ეს ტახტები ასწიეს, ჰაერში აიტაცეს და მაღრიბისაკენ გასწიეს.

## ესე ხელმწიფენი მაღრიბის მიმავლობაში დაუტეოთ და ეხლა შუთურ აიარის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა როვშანბახტმა არდევან შაჰასთან და ქუჩუკთან წერილები გაატანა, ამათ ჩქარის სიარულით იარეს და მეშვიდე დღეს უშანგბათში მივიდნენ და ერთ ალაგას გარდახტნენ. იმ დროს უშანგბათში შვიდის იყლიმის ხელმწიფესთან; ნარიმანი, სარვიხურამანი, უსნიარი, გულიჯანი და შაჰნაზდუხტ დედოფალი სულ ერთათ შეყრილნი იყვნენ და უცხო მეჯლისი ჰქონდათ.

კარის კაცთა გაიხედეს ნახეს რომ, ერთი ასეთი აიარი მოდის და ამას ერთი ჯადო და ათიც დევნი მოსდევენ. ეს აიარი ასეთი ცქვიტის ნაბიჯებით მოახლოვდება რომ იქაური მაყურებელნი, სულ მთლად გაჰკვირდანენ და დიდი ქება შეასხეს. იმ დროს ამ შუთურის მამა გარდანქეშანი, ასიმი და სიროვანჯაც იქ იყვნენ. კარის კაცები შევიდნენ და მოახსენეს: ჰეი, შვილის იულიმის ხელმწიფეო! აღმოსავლეთის მხრიდამ ათნი დევნი მოვიდნენ, ამათთან ერთი საშინელი ჯადო არის და ერთი უმაწვილი აიარი; ასეთის ყოფით მოდის, რომ მოინდომოს ზეცაში შეფრინდებაო და მასკვლავს ჩამოიღებსო. რა ესე ხელმწიფეს მოახსენდა, მაშინვე ყველანი კარში გავიდნენ, გარდანქეშანმა ნახვის უმალ იცნო თავის შვილი შუთურ აიარი და ახირ ჯადო, საჩქაროდ გამოექანა და თავის შვილს ყელს მოეხვია, მერე ახირ ჯადოსაც და დიდხანს ერთმანერთს ლოშნიდნენ. რა სალმობა მორჩნენ, შუთურ აიარი და ახირ ჯადო ხელმწიფეს ეახლნენ, პირიმიწას გასწორებით თაყვანი სცეს და ფეხთ აკოცეს. მერე ნარიმან ხელმწიფეს და დედოფლებს მუხლთ აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს. მაშინ ხელმწიფემ უბძანა, მშვიდობა თქვენი მოსვლაო, ამათ მდაბლათ თავი დაუკრეს, წიგნები ამოიღეს და ხელმწიფეს მიართვეს.

რა ხელმწიფემ წიგნები წაიკითხა, ისეთი გაიცინა და სთქვა, ბარაქალა ჩვენო ახალნო ფალევანნო რომ, თქვენისთანა მამაცნი და უცხო ფალევანნი არავინ დაბადებულაო. შემდეგ წიგნები ნარიმანს გადასცა, რა ნარიმანმაც წაიკითხა, გაიხარა, მერე ქალებს გადასცა, რა ქალებმაც წაიკითხეს, ხელგაპყრობით ღმერთს შაავედრეს და მაშინვე სამხიარულო ნაღარას შებერეს და გულჩინს მიულოცეს ამისთანა შვილის ყოლისთვის, მერე შუთურ აიარი გვერდით მოისვეს და რაც თავიდან ამბავები მომხდარიყო, ყოველივე მოახსენიეს. მაშინ ხელმწიფე არდევან შაჰმა შუთურ აიარს სამახარობლოში ერთი კარგი ქალაქი უბოძა და ერთი ხელიც ასეთი ხალათი რომ, ძვირად ღირდა, აგრეთვე ახირ ჯადოს უცხო ხალათით შემოსა, თანაც ამდენი თეთრი მისცა რომ წაღება აღარ შაეძლო. შემდეგ ნარიმანმა და სალვიხურამანმა ამდენი თვალი და მარგალიტი აჩუქეს, რომ წაღება ეზარებოდათ, ამასთან გულჩინმა ასეთი ბეჭედი უბოძა რომ ერთი ქალაქის ფასად ღირდა. გარდანქეშანმა უბძანა, შვილო შუთურ, ჩემის საბძანებლიდან მეც სამი წილი შენთვის სამახარობლო მომიციაო. მაშინ შუთურმა უპასუხა, მამავ, რომ არ მაჩუქო, ვიღა წამართმევს? ასეთი რამ მაჩუქე, რომ მე არ მეკუთვნოდესო. შემდეგ მობრუნდა და ხელმწიფეს მოახსენა: ხელმწიფეო, თუ მამაჩემი კარგი გამცემი და დარდიმანდი იყოს, ამ საჩუქარს ახირ ჯადოს უბოძებდაო. შუთურის ამისთანა ხუმრობაზედ მრავალი იცინეს. შემ-

დეგ მივიდნენ და ხელმწიფეს დაეთხოვნენ და მერე ქურუკისკენ გასწიეს, ზარბაქ დევის ქვეყანაში. მრავალი დღე იარეს, ბოლოს მივიდნენ ბნელეთის ქვეყნის სიახლოვეს, იქ დახედეს, ნახეს რომ, ისე მრავალი ჯარი იდგა ბაუბაუ დევისა რომ, სამის დღის სავალს გასწვდებოდა, აგრეთვე ქალაქში შეიხედეს, ნახეს რომ, დიდი ძალი ჯარები იდგა. ახირ ჯადომ თავის ხელოვნობით პირდაპირ ქალაქში ასეთნაირათ შევიდა და ეს აიარიც შეიყვანა რომ, ამათთაგან ვერავინ ვერ შეამცნივა. და ისე საჩქაროდ ქურუკ ყარამანისაკენ წავიდნენ. რა კარის კაცთ შემოხედეს, მაშინვე ახირ ჯადოიცნეს. იმ დროს აფთარ ზანგი გამოექანა და პირსა აკოცა, აგრეთვე შუთურ აიარსაც. ამ აიარს რომ უყურებდნენ, ამბობდნენ, ამისთანა მარდი განა კიდევ იქნება ვინმეო? მაშინვე აფთარ ჯადო შევიდა და მოახსენა, საბეირანო, ხელმწიფენო და ფალევანნო! ახირ ჯადო გიახლათო და იმასთანაც ერთი უმაწვილი აიარი, რომელმაც თავის მალხაზობით, გარდანქეშანის აიარობა მთლად დაგვავიწყაო, ერთის სიტყვით რო მოდის ფეხს ალაგას არა სდგამს.

ხელმწიფემ მაშინვე შემოუყვანა ბძანა: რა ახირ ჯადო და შუთურ აიარი შემოვიდნენ, მაშინვე პირ დამხობით საბეირანს სალამი ჰკადრეს, აგრეთვე თეთრ დევს და ფარვან დევს. ახირ ჯადომ ხელს აკოცა ზორაბშაჰს და საჰმანს, თანაც მიემშვიდობნენ. მაშინ ქურუკ ყარამანმა უბძანა: შუთურ აიარო და ახირ ჯადოვ, მშვიდობა თქვენი ნახვაო, ახლა ინდოეთისა რა ამბავი იცითო? შუთურ აიარმა მაშინვე წერილები ამოიღო, როვშანბახტისაგან, აგრეთვე არდევან შაჰისა და დედოფლებისა და მიართო. რა ქურუკმა ეს წერილები წაიკითხა, დიდ სიხარულს მიეცა და სთქვა: მაღლის ხმით; ბარაქალა ახალგაზდა უმაწვილნო ფალევანნო, ესა სთქვა და წერილებს კოცნა დაუწყო და გულზედ მიიკრა, თან სთქვა, არა მგონია რომ ადამის შვილთაგან ასეთი ფალევნები გაჩნდესო, ესენი რაღაც უცნაური რამ არიანო; ჯერ ესეთი მცირე უმაწვილნი: ხოსროვშაჰს ულხუზ დევი შაუპყრია; ბეგზადშაჰს მაზმურ დევი, გორშარაბს და ბარზინს ის ხუთნი ხელმწიფენი და უცხო ფალევნებიო... ის წიგნები ახლა ყოვლიბანმა, ხოსროვშირმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა წაიკითხეს და დიდათ ისიამოვნეს. შემდეგ გვერდით დაისვეს შუთურ აიარი და ახირ ჯადო, და როგორც თავითვე მომხდარიყო იქაური ამბავი, სულ დაწვრილებით მოახსენინეს. რა ამათ ლაპარაკი მოათავეს, ქურუკმა უბძანა, სამხიარულო ნაღარს დაუკარითო. მერე ამათ იმდენი საჩუქარი მისცეს რომ, შენახვა აღარ შეეძლოთ. ბოლოს ქურუკმა უბძანა: რაც ჯარებთაგან გადარჩნენ, დევთ თუ ადამიანთ, ჯადოთ და თვით ის ხუთნი ხელმწიფენიც, ამ ჟამად სად არიანო? ახირ

ჯადომ მოახსენა: სააბყირანო, ის ხელმწიფენი და იგი ორი დევის სარდლები, თავიანთის ჯარებით საბაოთ ღმერთი იწამეს, როფშანბახტმა და რუიზან დედოფალმა შეიწყნარეს და ესლა გვერდით ახლავთო; ჯარებიც სულ ინდოეთში დაარიგეს, ბარუულ ჯადო კი ისევ პყრობილად ჰყავთო. ამას უბძანა როფშანბახტმა, მე შენს სამართალს ვერ გადავწყვეტო, ამიტომ რომ, შენ ფარვან დევს აბარიხარო და როგორც ინებებს იმან იცისო. იმის ჯადოს ლაშქარნი კი სულ საბაოთ ღმერთი იწამეს და დამორჩილდნენო, ესენი უულუნ ჯადოს ჩააბარესო. შემდეგ თეთრმა დევმა უბძანა: ჰეი, შუთურ აიარო, ინდოეთის ხელმწიფე და დედოფალი ისევ ინდოეთში ბძანდებიანო? მაშინ მოახსენა. დევთა ხელმწიფეო, ჩვენ რომ წიგნების წამოსაღებათ უშანგბათში გვისტუმრებდა, თითონაც დიდ მძლავრის ჯარებით მაღრიბში აპირებდა წაბძანებას; ახლა კი არ ვიციითო. მაშინ ქურუკმა საჩქაროთ წერილები დასწერა ინდოეთის ხელმწიფე როფშანბახტთან და საყვარელ დას რუიზანთან, აგრეთვე უშანგბათში, მერე გადასცეს ეს წერილები შუთურ აიარს და ახირ ჯადოს, დიდი საჩუქრებიც მისცეს და ისე გაისტუმრეს.

## ესლა ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და მაღრიბის ამბავი მოუისხენიოთ.

მაშინ მაღრიბში ბაუბაუ დევმა, არჯავ დევი და საყანჩუნ დევი რომ გაისტუმრა თავიანთის ჯარებით. რა ესენიც მიუახლოვდნენ მაღრიბს, ნახეს რომ, მაღრიბში დიდი ჯარების ურილობა არის, მაშინვე ესენიც მივიდნენ და ციხის სიახლოვეზედ დადგნენ. იმ დროს კოჭლ დევს მოახსენეს თავისმა კაცებმა: ხელმწიფეო, ამ ჩვენს სიახლოვეს დიდი ძალი ჯარი მოვიდაო. იმათში ორი დიდი დევნი არიან და ოცჯერ ასი ათასი დევთა ლაშქარიო. ისინი დიდი მზადებაში არიან და იერიშის მოტანას აპირებენო. რა მანთუზ დევმა შეხედა მაშინვე იცნო რომ, ერთი არჯავ დევი იყო და მეორე საყანჩუნ დევიო. მაშინვე ციხეების და ქალაქების კარებების გამაგრება უბძანა და ბურჯებზედ დიდი ძალი ქვა დააყრევინა, თითონ იარაღით შეიკაზმა და სამი ათასი პირველი მეომარი მაღრიბის ფალევანნი დევნი თუ ადამიანნი გამოიყვანა საქურდალს კარიდან და ამ კარეშე ჯართ თავს დაესხა და ამოდენა ჯარები ამოუწყვიტა რომ, თითქმის ხუთი ათასამდინ იქნებოდა. იმ დროს არჯავ დევი და საყანჩუნ დევი ამ თავიანთ ჯარებში დარბოდნენ, მაგრამ მანთუზ დევი ხელთ ვერ იგდეს, ხომ გახსოვთ მკით-

ხვედნო რომ, რა ძალი დევიც არის. მაშინ მანთუზ კოჭლი დევი, გა-
მობრუნდა და ციხეში შევიდა. რა გარეთ მყოფთ ჯართა, მანთუზ დევი
ხელთ ვერ იგდეს, საჩქაროდ რაზმი დაასწყეს და ციხეს შემოუტივეს. რა
ბურჯს მიუახლოვდნენ, ამდენი ქვა დაუშინეს რომ, მრავალი დევი ამოუ-
ხოცეს.

## ესენი ამ ომში დაუტევოთ და ეხლა მოვიდეთ ანუაბუზ-
## ნარა დევთან და ანგიუალის სულთან სურხავ დევთან.

იმ დროს რა ქუჩუგმა, ეს ორნი გამორჩენილნი დევნი მაღრიბისაკენ
გამოისტუმრა თავიანთის ჯარებით, იგინმა სწრაფათ იარეს და მეათე დღეს
მაღრიბში მოაწიეს, ერთი მაღალი გორა იყო, იმ გორას მოატანეს და
იქ ჩამოსდნენ. შემდეგ იქიდამ გამოხედეს, ნახეს რომ, მაღრიბის ციხე-
ქალაქს დიდი ძალი ჯარები შემოსდგომიან და გაცხარებულ ომში არიან.
მაშინვე საჩქაროდ ანუაბუზ დევი და სურხაბ დევი თავიანთის ჯარებით
მაღლიდან ძირს ჩამოვიდნენ შემდეგ ჯარები გაასწყეს, ისე რომ, ნახევარი
ჯარი თავიანთის სარდალ-ფალევნებით სურხავ დევმა მოიყოლა და მარჯვ-
ნივ მხარეს დადგა, დანარჩენი ნახევარ ჯარითაც ანუაბუზნარა დევი მარცხ-
ნივ მხარეს დადგა. იმ დროს, რა იმ გარეთმა ჯარებმა შემოხედეს და ნა-
ხეს რომ, თხუტმეტი დროშა გამოჩნდა; (ესე იყო ნიშანი თხუთმეტი ასი
ათასის დევთა ჯარებისა), მაშინვე იგრძნეს რომ, ამათი მშველელნი იქნე-
ბიანო. იმ დროს მოატანეს იქიდამ იმათ და აქედამაც ამათ, ციხეს თავი
დაანებეს და ამ ანუაბუზს და სურხავ დევებს შემოუტიეს. დაიწყო საშინე-
ლი ომი, ისე რომ, ნამდვილათ წარღვნას მიემსგავსებოდა. ამ დროს ცი-
ხიდამაც კოჭლი დევი გამოვიდა თავისის ჯარებით და უფრო დიდი სისხ-
ლის ღვრა მოხდა, ისე რომ, მთელი ხუთი დღე მაღრიბზე იომეს.

## ესენი ამ ომში დაუტეოთ და ეხლა როვშანბახტის და
## რუიზანის ამბავი მოვიხსენიოთ.

იმ დროს, რა როვშანბახტმა იგი ხუთნი ხელმწიფენი, ულხუზ და
მაზმურ დევებიც დაიმონავა, მაშინვე თავის სარდალ ფალევნებით, ესე იგი
ხოსროვშაჰით, ბეგზადშაჰით, გორშარაბით და ბარზინით, წამოვიდნენ, ია-
რეს დიდის სიჩქარით და მესამეს დღეს მაღრიბში მოვიდნენ. რა დახედეს
ჭაერიდამ, ნახეს რომ, ასეთი საშინელი ომია რომ, მეორეთ მოსვლას მი-

ემზგავსება. ამათ საჩქაროდ ერთ მხარეს გარდახტნენ. რა იქიდამ ამ ჯარებმა შემოხედეს, სთქვეს: ეს ჯარები ვისი უნდა იყოსო? მანამ ამ სიტყვას დაასრულებდნენ, მანამ ჭაერით ესენიც ძირს ჩამოვიდნენ. აქ საჩქაროდ როვშანბასტმა უბძანა ზორაბ დევს: შენის ჯარებით მიდი და მანთუზ დევს მიეშველეო, ზორაბ დევი ბძანებისამებრ მოიქცა. რა ამ ოთხთა ყოველთა უმჯობესთა, გმირთა უმაწვილ ფალევანთა, ესეთი ომი ნახეს, ზურგის ბალანი აეშალათ, მსწრაფლად იშიშვლეს ხლმები და ჯარიც თან მიიდევნეს, დასცეს კიყინა და შეუტიეს. უნდა ვსთქვათ რომ, ასეთი საშინელი ომი მოასდინეს რომ, თავის დღეში ამისთანა ომი არავის ენახათ. ამ ომის დროს როვშანბახტი, რუიზანი და იგი ხუთნი ხელმწიფენი, თავიანთ ულხუზ და მაზმურ დევებით ჭაერიდამ უყურებდნენ. რა ეს ოთხნი გმირნი მივიდნენ, მაშინვე ჯარს პირი აბრუნებინეს და უკან ხოცვით მიჰყვნენ. ამ დროს ყათრანის შვილს გორშარაბს, შეხვდა არჯავ დევი და ერთმანერთს დაუშინეს ხლმები, შემდეგ მისწვდა გორშარაბი, ასწია ეს უშველებელი ბილწი დევი და მიწას დასცა, მაშინვე საჩქაროდ შკლავები შეუკრა და თავის დევთ მიაბარა, მანამდის გამობრუნდებოდა, ბარამჯიბილის შვილი ბარზინიც საყანჩუნ დევს შახვდა და უცებ ერთმანერთს გურზებით დაუშინეს. შემდეგ საყანჩუნ დევმა ხმალსა ხელი გაიკრა და უნდოდა ბარზინისთვის შემოეკრა, მაშინვე ქარის უმალვესათ მისწვდა, ცალის ხელით ხლმიანი მაჯა დაუჭირა და მეორეს ხელით ასეთი მუშტი შემოჰკრა რომ, გულდაღმა გადავარდა, მაშინვე ბარზინმა თავისი მოკლე ქამანდით შკლავები მაგრათ შეუკრა, თავის კაცებს ჩააბარა და ხელმწიფეს გაუგზავნა. რა ამ ხუთთა ხელმწიფეთა და ულხუზ და მაზმურ დევებმა ჭაერიდამ ეს ნახეს, დიდი ქება შეასხეს და სთქვეს: ამათთანა ფალევანნი არ დაბადებულანო, აბა ჩვენ ამათთან რას გავაწყობდითო? ამ დროს დასცეს კიყინა, ერთის მხრიდამ ზორაბ დევი, მეორის მხრიდამ ანყაბუზ, მესამის მხრიდამ ანგიყალის სულთანი სურხაბ დევი, მეოთხეს მხრიდამ იგი ოთხნი გმირნი და გულადნი, მეხუთეს მხრიდან მანთუზ დევი მიადგნენ და ასე რიგათ გაასწყალეს ეს ამოდენა მრავალი ჯარები რომ მესამედი აღარ გაუშვეს და რაც დარჩნენ ამათაც ვედრება დაუწყეს. მაშინ მანთუზ კოჭლი დევი იმ ოთხთა გმირთა წინ მოუგება და ყველას პირთა აკოცა, მერე გაექანა, ინდოეთის ხელმწიფეს და დედოფალს მუხლთა აკოცა და იმ ხუთთა თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფეებსაც მდაბლათ თავი დაუკრა, აგრეთვე მაზმურ დევს და ულხუზ დევს მიესალმა, შემდეგ გამობრუნდა, გაუძღვა წინ და ციხეში შევიდნენ და მანთუზ დევის სასახლეში ჩამოხდნენ, ჯარები კი ქალაქში და მინდვრათ დააბინავეს. იმ დროს, ის ორნი დაჭერილნი დევები არჯავ და

საყანჩუნ წამოაყენეს, მაგრამ ხელმწიფე როშანბახტმა აღარ ალაპარაკა, რადგანაც იმათ ღმერთი ჰგმეს, ეშმაკს თაყვანი სცეს და აგრეთვე ქუჩუკს უმუხანათეს; ამისთვის მაშინვე მანთუზ დევს უბძანა იმათი დატუსაღება, იმათ კი ასე უბძანა: „რადგანაც თქვენ ქუჩუკისაგან პატივის ცემა და მისი სიკეთე არ დაინახეთ, მაშასადამე ეხლა თქვენი საქმე ქუჩუკმა იცისო“. ამის შემდეგ, ხელმწიფენი და ფალავნები ერთად შეიყარნენ და უცხო მეჯლისი გამართეს.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ახლა შუთურ აიარის და ასირ ჯადოს ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ესენი ქუჩუკმა უკანვე გამოგზავნა, ამათ მოვიდნენ და უშანგბათში წიგნები მოართვეს არდევან შაჰს და აგრეთვე დედოფლებს. მათ წიგნების მიღებისამებრ დიდათ იამათ, (ამ დროს ჯერ ბაყბაყ დევთან ომი არ დაეწყოთ), ამიტომ ხელმწიფე არდევან შაჰმა იფიქრა: აქეთ მტერი აღარავინა გვყავსო და მოდი ქუჩუკისაკენ წავიდეთო, ეს თავისი აზრი ნარიმანს უთხრა, იმასაც უცხოთ მოეწონა. მაშინ ბანოვანთაც ჰკითხეს დიდათ გახარებული და ამ სასიამოვნო ბძანებისამებრ არდევან შაჰს მუხლთა ეხვეოდნენ. მაშინვე ადგა ნარიმანი და ისევ იქაურობა ბურჯ ვეზირს ჩააბარა უშანგბათიც, ყარამანის ქალაქიც, ქაბულიც და თითონ წასასვლელათ მომზადდნენ. მაშინვე ტახტების მომზადება უბძანეს, რა ტახტები მოიღეს, ერთ ტახტზედ სულ ბანოვანნი დასხდნენ, ესე იგი შაჰნაზდუხტ, სარვიხურამან, უსნიარ, გულიჯან და გულჩინ თავიანთის თორმეტი ათასი მხლებლებითა, ამასთან არდევან შაჰა და ნარიმანი ერთსა ტახტსა დაბძანდნენ, ერთზედაც გარდანქეშანი, ასიმ, სიროვანჯა, შუთურ აიარი და ასირ ჯადო. შემდეგ მოვიდნენ ფერიები და ეს ტახტები ასწიეს და ჰაერში აღიტანეს, ამათ თან ორი ათასი ჯარის კაცები ჰყვანდათ, ესენიც გარს შემოერტყნენ და ჩქარის სიარულით და უცხოს შექცევით იარეს, ესრე მეშვიდე დღეს ინდოეთის ქალაქს მივიდნენ, წინ ასირ ჯადო წავიდა, როშანბახტის მოადგილეს მოახსენა, ხელმწიფეების და დედოფლების მობძანება: ამან საჩქაროდ ორი ათასის კაცით და დიდებულებით წინ მიეგება და ხელმწიფე არდევან შაჰს და ნარიმანს მუხლთ აკოცა და დედოფლებს კალთას, შემდეგ გაუძღვა და საკუთრათ როშანბახტის სასახლესთან ჩამოახდინა, იქ უცხოთ შეექცნენ, მერე აქედან შუთურ აიარი და ასირ ჯადო წინ წავიდნენ მაღრიბში, მესამეს დღეს მივიდნენ, ქუჩუკის წიგნები მიართვეს და აგ-

რეთვე ინდოეთში ხელმწიფე არდევან შაჰის და ნარიმანის მოსვლა და მათთან ბანოვნების იქ ყოფნა, როვშანბახტსა და რუიზანს მოახსენეს. რა ესეთი სასიამოვნო ამბავი შეიტყეს, საჩქაროთ ორის ათასის კაცით ხელმწიფეებისა და დედოფლების მისაგებებლათ წამოვიდნენ.

## ესენი ამ მომავლობაში დაუტეოთ და არდევან შაჰისა, ნარიმანისა და ბანოვნების ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ესენი ესე იგი არდევან შაჰა ინდოეთში მობძანდა, სამი დღე იქ დაჰყო, მეოთხეს დღეს დაემზადნენ და მაღრიბისაკენ გამოსწიეს და როვშანბახტის ნაიბს, ამოდენი საჩუქარი უბოძეს ორთავ ხელმწიფეებმა და დედოფლებმა რომ, უმეტესი აღარ იქნებოდა. ყველანი თავთავის ტახტებზე დაბძანდნენ და ჩქარის სიარულით მაღრიბისაკენ წამოვიდნენ. ორიოდ დღე რომ იარეს, მესამეს დღეს როვშანბახტი, რუიზანი და იგი ხუთნი ხელმწიფენი ხოსროვშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბ და ბარზინ მოეგებნენ ხელმწიფეებს, არდევან შაჰს და ბანოვანთა. იმ დროს რა ერთმანერთი დაინახეს, მაშინვე როვშანბახტი, რუიზანი და იგი ხუთნი ხელმწიფენი დაქვეითდნენ და ისრე წამოვიდნენ. ხელმწიფე არდევან შაჰი, ნარიმანი და ბანოვნებიც გარდასტნენ და ისრე წამოვიდნენ. მაშინვე როვშანბახტი და რუიზანი პირდამხობით ხელმწიფე არდევან შაჰს სალამი ჰკადრეს და მუხლთა აკოცეს, შემდეგ ბანოვნებს მიესალმნენ, მერე ეს ხუთნი ხელმწიფენი წამოვიდნენ და პირ დამხობით შვიდის იყლიმის ხელმწიფე არდევან შაჰს სალამი ჰკადრეს და დანაშაულის შეცოდება სთხოვეს და ამასთან მოახსენეს: „დიდო ხელმწიფეო და შვიდის იყლიმის ბპყრობელო, გთხოვთ თქვენს გაძრიელებულს ხელმწიფობას, რომ ჩვენი შეცოდება გვაპატიოთო და ჩვენი უმაწვილკაცობაც შეიბრალოთო". მაშინვე მოწყალე ხელმწიფემ ხელი მოჰკიდა და ხუთთავეს შუბლზედ აკოცა და უბძანა: პირველათ მშვიდობა თქვენი ნახვაო, მეორეც რადგანაც ცისა და ქვეყნის დამბადებელი ღმერთი გიწამებიათ და იმ წყეულ ეშმაკისაგან ხელი აგიღიათ, ამიტომ მეც მიპატიებიაო და თქვენი სახელმწიფოები ისევ თქვენთვის მიბოძებიაო.

რა ხელმწიფემ დააბოლოვა თავისი ლაპარაკი, ამათ ხელმეორეთ დაიჩოქეს ხელმწიფის წინაშე და კალთას აკოცეს. (ესენი, მკითხველნო, მეტად მშვენიერნი და ამასთან უცხო ფალევანნიც იყვნენ), შემდეგ ნარიმანს მიესალმნენ, გაბრუნდნენ და შვიდის იყლიმის დედოფალს და ბანოვანთ თავი დაუკრეს, ხელზედ აკოცეს და ერთ მხარეს დადგნენ. ისინიც მოე-

სალმნენ. იმ დროს იგი უცხო ოთხნი ფალევანნი და ყველაზე უმჯობესნი გმირნი ხოსროვშაჰი, ბეგზადშაჰი, გორშარაბი და ბარზინი მოვიდნენ მშვენიერის ყოფაქცევით, რომ მტერთაც მოეწონებოდათ და ხელმწიფეს მუხლთ აკოცეს, ხელმწიფემაც უცებ ხელი სტაცა და ოთხთავეს შუბლსა აკოცა და მათი ფალევნობა დიდათ აქო, შემდეგ თითო ასეთი ხალათები უბოძა რომ, თითო ქალაქების ფასად ღირდა. მერე ნარიმანს მიესალმნენ. ნარიმანმა ოთხთავეს გულზედ მიიკრა, შუბლზედ აკოცა და დიდათ აქო, მათი მხნეობა და ფალევნობა, შემდეგ, მამის თვისის ყარამანისაგან ნაქონი ასეთი ხანჯლები უბოძა რომ, ფასი არ დაედებოდა. შემდეგ შვიდი იყლიმის დედოფალს, მძიმეთ თავი დაუკრეს და ხელსა აკოცეს, მერე ყველა ბანოვანთაც თავი დაუკრეს და ხელთა აკოცეს. ერთის სიტყვით ეს დედოფლები შემოეხვივნენ ამ უცხო ყმაწვილებს და დიდი ხანი ლოშნიდნენ, შემდეგ ამოდენა თვალ-მარგალიტი გარდააყარეს რომ წელამდისინ დაჰფარეს. მაშინ შუთურ აიარი მიიჭრა, ერთი თოფრა მიიტანა და მოახსენა: დედოფლებო, მაგრე სიძვირე არ გეკადრებათო, თუმცა მრავალი თვალი და მარგალიტი გადმოაყარეთო მაგრამ, ეს ფალევნები უმეტესის ღირსნი არიანო. ამ სიტყვების შემდეგ, აავსო თოფრა, მოიგდო ზურგზედ და წამოსვლას რომ აპირებდა, მაშინ ხელმწიფეებმა და დედოფლებმა რა შამოხედეს, მრავალი იცინეს და უბძანეს: შუთურ აიარო, მოიცადე შენც თავს მრავალსა გადაგაყრითო. მაშინ მოახსენა შუთურ აიარმა: დედოფლებო! მე თქვენგან აღარ მოვტყუვდები, ჩუქების სამაგიეროთ, ალბათ გნებავსთ რომ, ეს თოფრაც წამართოთო,—ესე სთქვა, გამოსწია და წამოვიდა. ამ შუთურის სიტყვაზედ მრავალი იცინეს, მერე გამოუძღვნენ წინ და მაღრიბის სასახლისაკენ მობძანდნენ, შეხედეს, ნახეს რომ, ორი საშინელი დევნი მოვიდნენ და ხელმწიფის წინ დაიჩოქეს, შემდეგ მოახსენეს: „შვიდის იყლიმის ხელმწიფეო, ჩვენი დანაშაული გვაპატიეო“. მაშინ იმათაც ხელი მოჰკიდა, ორნივე ააყენა და შეხედა, რა კარგათ გასინჯა, შავი დევის და ხაზარან დევის ფალევნობა დაავიწყდა, დიდათ მოეწონა და უბძანა: რადგანაც ჭეშმარიტი ღმერთი, თქვენც გიცვნიათ, ამიტომ ყოველი თქვენი დანაშაული მიპატიებიაო და თქვენი ქვეყნები თქვენთვისვე მიბოძებიაო. ამ სიტყვაზედ, ამათ მივიდნენ და მუხლთ აკოცეს. მაშინ მოვიდნენ: ზორაბ დევი, მანთუზ დევი, ანყაბუზ დევი, ანგიყალის სულთანი სურხავ დევი და ხელმწიფობა არდევან შაჰისა დიდათ აქეს და კალთას აკოცეს. ხელმწიფემ მადლი უბძანა და დიდი ძალი საჩუქარი აღუთქვა. მერე ამათ წინ გაუძღვნენ და სასახლეში შამოხტნენ, უცხო მეჯლისი გარდაიხადეს და კარგათ შეექცნენ.

ეს ხელმწიფე შვიდის იულიმისა არდევან შაჰა, ნარიმანი, ბანოვანნი,—იგი ხუთნი ხელმწიფენი და კრებულნი მაღრიბის მეჯლისში დაუტეოთ და ეხლა იგი უცხო და შეუდარებელის საბუირანის ქუჩუკ ყარამანის და თავისი ნაქები ფალევნებისა: ესე იგი ხოსროვშირისა, ყოვლიბანისა, ყათრანისა, ბარამჯიბილისა, ფარვან დევისა და საჰმანის ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამათ ბაუბაყ დევისაგან გასწიეს და წავიდნენ, ასეთი გაჯავრებულნი და განრისხებულნი მიდიოდნენ რომ, ქვეყანას დააქცევდნენ. იარეს მრავალი დღე და ღამე და რამოდენისამე დღის შემდეგ, ზარბაქ დევის ქვეყანაში, ზანგ დევის და ანბირ დევის სამყოფს მივიდნენ. რა დახედეს, ნახეს რომ, ამდენი დევთა ჯარები იდგა რომ, იგი მინდორი აღარა სჩანდა და იმათი ორთქლით ჰაერი სულ დაბნელებულიყო. მაშინ გაჯავრებულმა ქუჩუკმა ბძანა: ბაუბაყ დევო, თუ შენ ამ ჩემს ამოდენა წვალებას შეგარჩენ, მე ქუჩუკი აღარ მერქმისო; ღვთის ძალით კუდათ გაგხდი და ზარბაქ დევის ტყავთან დაგკიდავო. რა ეს სიტყვა დაასრულა, მაშინ ჰაერით ძირს ჩამოვიდა და თავის მოსვლა ანბირ და ზანგ დევს აცნობა. რა ანბირ და ზანგ დევებმა ქუჩუკის მოსვლა და იმასთან ყოვლიბანის, ხოსროვშირის, ყათრანის, ბარამჯიბილის, ფარვან დევის და საჰმანის მოსვლა შეიტყეს; საჩქაროდ სამხიარულო ნაღარას ჰკრეს და თითონ ანბირ და ზანგ დევი თავისის ფალევნებით და ორმოცი ათასის მეომრებით წინ მოეგებნენ. რა დაინახეს ქუჩუკის მომავლობა, მაშინვე ცხენებიდამ გადმოხტნენ და პირ დამხობით თაყვანი სცეს ქუჩუკს და მუხლთ კოცნა მოინდომეს. ქუჩუკმა მუხლთ საკოცნელათ არ მიუშო, ხელი სტაცა, ააყენა და პირთა აკოცა. მაშინ ორნივე გაბრუნდნენ, ყოვლიბანს, ხოსროვშირს, ყათრანს, ბარამჯიბილს, ზორაბშაჰს, ფარვან დევს და საჰმანს მიესალმნენ, შემდეგ გამობრუნდნენ და ქუჩუკთან მოვიდნენ, მაშინ ქუჩუკმა უბძანა, ხომ მშვიდობითა ხართო? იმ დროს ზანგ დევმა მოახსენა: საბუირანო, როდესაც თქვენ თქვენის ნაქები და შეუდარებელი ფალევნებით ღმერთს ჩვენს მფარველათ მოუჩენიხართ, ჩვენ არაფრის შიში არა გვაქვსო. შემდგომ გამოუძღვნენ წინ და სასახლეში შევიდნენ, იმ დღეს არაფრისაგან არა იკითხა რა და მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამაშვენებელმან მზემან თავისი სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ქუჩუკი თავისის ფალევნებით კარში გამოვიდა და მოქალაქენი წინ მოეგებნენ და მრავალი თვალ-მარგალიტი თავს გარდააყარეს, პირი მიწას გაერთებით თაყვანი სცეს. მაშინ ქუჩუკმა დიდი მადლობა უბძანა, შემდეგ ანბირ და ზანგ დევებს უბძანა: ბაუბაუ დევისა რა იცითო, ან სად არის ჩამომხტარიო? მაშინ მოახსენეს: სააბეირანო, აგერ იმ მთის ძირში არიან ჩამომხტარნიო, ვგონებ ასჯერ ასი ათასი მეომარი ჯარი ჰყავთო, შავი დევი და ხაზარან დევი თავიანთ ლაშქრით და ფალევნებით ბაუბაუ დევს ახლავანო; ეს იქნება ორმოცი დღე, რაც მანდ ჩამოხდაო, მაგრამ გარეშე ქალაქებს და ხალხს არას ერჩიანო. გუშინ ჩვენთან და ზანგ დევთან ელჩი გამოეგზავნა და შემოეთვალა: თუ ციხეს და ქალაქს არ დამანებებთო, იცოდეთ რომ ძალით ჩემით, სულ წიხლით დავაქცევო, შენც და მაგ ზანგ დევსაც ციხიდამ გადმოგკიდებთო, და თუ დამმორჩილდებითო ეგ თქვენი ქვეყანაც თქვენი იქნებაო და მრავალს ქვეყნებსაც სხვას მოგცემთო, შემდეგ მანდედამ სამთავისისაკენ უნდა წავიდეთო; ფერიისტანში—ბარამჯიბილის ქვეყანა და ქაბული უნდა გავათხროვო და ფერიისტანში მერე შენ დაგსომ ხელმწიფეთაო, ქაბულში კი ზანგ დევსაო. მაშინ მე დიდათ გავანჩხლდი და თუმცა სხვა რიგათ მინდოდა იმათი პასუხის გაცემა, მაგრამ ზანგ დევმა არ ინება და შეუთვალა ამ რიგათ: „ბაუბაუ დევო! როდესაც შენ ქუჩუკმა დაგიმორჩილა და დიდის პატივით გამყოფა შენის ფალევნებით, ეშმაკისაგან დაგიხსნა და ჭეშმარიტი ღმერთი გაგაცნო და შენსავე ქვეყანას პატივით გაგისტუმრა, რადგანაც შენ იმგვარი პატივის ცემა არ დაიხსომე და ისევ რაჯიბ ეშმაკს თაყვანი ეცი, ამასთან სააბეირანის პურმარილი ჰგმეო და საომრათაც შენის ძრიელის ჯარებით მოხველი, ეხლა რაც ხელიდან გამოგივიდესო ისე მოიქეციო და ეცადეო. შენისთანა ბილწის ეშმაკის ძალით, როდესაც შენ ფერიისტანს აიღებ და ქაბულშიაც ჩახვალ, მაშინ ჩვენც ქუჩუკის გულისთვის დე დავიხოცნეთო, მაგრამ ღვთის ძალით, შენ შენის ფალევნებით მართალს ამბობ, ქუჩუკი ცოცხალს ჩაგატარებს, ასე რომ, ქაბულში რადგანაც შენი მოყვასი შენსავით მურტალი ზარბაქ დევი, ბალახით გატენილი გუდათ იქა ჰკიდია, ახლა შენც ბზით აივსები და იქ დაიკიდები შენის ფალევნებით“. ამ სიტყვებზედ ძრიელ გაჯავრებულიყო და მეორეთ კიდევ სამი კაცი გამოეგზავნა, ასე რომ ამ სიტყვებისათვის იცოდე რომ ამ სამიოდე დღეს გატყობინებ რომ მანდ ვარო და მე გიჩვენებ თამაშასაო, გარდა ამისა მე ველიო რომ ქუჩუკი თავის ფალევნებით მოვიდესო და მაშინ თქვენს დახოცვას ერთმანერთს გაუურებინებთო.

საბუირანო და ჩვენო პატრონო, მაშინვე მე ის სამი კაცი აღარ გაუგზავნე, კარგა ხან ჩემთან შევინახე, ბოლოს იმათგან მხოლოდ ერთი გაუგზავნე თანაც დავაბარე: თუ კიდევ ჩემთან გამოგზავნი ვისმეს, იცოდე უსიკვდილოთ აღარ გაუშვებო და მერე რაც გეწადოთ, ისე მოიქეცით. დღეს მეორე დღე არის აღარაფერი ვიცი რა. მე კი ჩემის მომზადებით მზათ გახლავარ და როცა წამოვა ჩვენდა სამტროთ, მეც ისე მოვიგცევი როგორც ღმერთი ხელს მომიმართავს.

ამ დროს ასეთი შეიქნა ქუჩუკ ყარამანი, რომ შაგეხედნა, ამას ბძანებდი: ქვეყანას გაათხრებსო, აგრეთვე ამისი გმირი ფალევნები, ასე დახდნენ რომ, ამის გაგონებას სიკვდილი ირჩიეს. ამ დროს ხოსროვშირმა მოახსენა: საბუირანო, გთხოვთ რომ, იმას აქ მოსვლით ჭნულარ გავრჯით და ჩვენ ჩვენის ლაშქარ-ფალევნებით იქ მიუხდუთო და რასაც ის ფერიისტანს აიღებს და ან ქაბულს ჩავა, მაშინ ნახამს. ყოვლიბანმაც, ყათრანმაც და ბარამჯიბილმაც ცალკე სთხოვეს, მაგრამ ივარვან დევმა მოახსენა: საბუირანნო და გმირნო ფალევანნო, ორიოდე დღე კიდევ მოისვენეთ და ცოტა დამშვიდდითო, შემდეგ თქვენი აქ მობძანება თავიანთის კაცით აცნობეთ; თუ გაბედავენო და წამოვლენო, რასაკვირველია ჩვენც აქ დაუხვდებით, და თუ თავიანთის ბილწის ეშმაკის შემწეობით, რასმეს გაარიგებენ, მაშინ ნახონ, და თუ მაინცა და მაინც არ მოვიდნენ და ისევ ჩვენ მოგვიხდეს წასვლა, რა თქმა უნდა, ისე გაუხადოთ საქმე ღვთისა ძალით რომ, თქვენკენ მოსვლაც შავანანიოთო. ივარვან დევის რჩევა ყველამ მოიწონეს. მაშინ ის ორნი დევნი რომელიც ზანგ დევთან და ანბირ დევთან ელჩათ გამოგზავნა ბაუბაუ დევს, ესენი ორნივე მოაყვანინა. რა ამ დევთ ქუჩუკი და მასთან იგი ოთხნი ფალევანნი ისე მრისხანის სახით დაინახეს, შიშით გულები დაუსქდათ და პირქვე დაეცნენ. საჩქაროდ მოასულიერეს, როგორც იყო წინ მოვიდნენ და თაყვანი სცეს. მაშინ ქუჩუკმა უბძანა: დევნო! თქვენ აქ ვინ გამოგზავნათო? კანკალით მოახსენეს: ფალევანო ჩ-ვ-ე-ნ ბაუბაუ დევმა, შავმა დევმა და ხაზარან დევმა გამოგვგზანაო. რაც ამბირ და ზანგ დევებმა ქუჩუკს მოახსენეს, იმათაც ისრე მოახსენეს. მაშინ ქუჩუკმა უბძანა: ახლავე წადით და ესრე უთხარით იმ ბილწთა დევებს, მე ქუჩუკი ჩემის ფალევნებით მოვედი, ახლა თუ გსურთ ომი, მე მზადა ვარ და აქ მოგელითო, და თუ არ მოხვალთ, ჩვენ მანდ მოვალთო და რიგიანათ დაგვიხდითო. მერე ამ დევებს თითო ხალათი უბოძა და გაისტუმრა. რა დევები გაისტუმრეს, თითონ მეჯლისი გამართეს, ეცხოთ შეექცნენ და პასუხს ელოდნენ.

### ესენი და ბაუბაუ დევის ამბავი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ესლა არდევან შაჰისა, ნარიმანისა და დედოფლების მაღრიბიდამ მოსვლის ამბავი მოვისსენიოთ.

როდესაც არდევან შაჰა თავის დედოფლით, ნარიმან სარვიხურამანით და ბანოვნებით რომ მაღრიბში მოვიდნენ და მაღრიბში იმისთანა საშინელი ომები მოახდინეს და როვშანბახტის, ხოსროვშაჰის, ბეგზადშაჰის, გორშარაბის და ბარზინის შემწეობით ის ჯარები ხომ სულ დაამარცხეს. ამის შემდეგ არდევან შაჰამ სულ ეს ამბავები და თავიანთ მოსვლა მაღრიბში დაწვრილებით მისწერა ქუჩუკ ყარამანს და ყველაფერი აცნობა.

რა შუთურ აიარი და ახირ ჯადო ქუჩუკისკენ გაისტუმრა წერილის მისატანათ, მაშინვე თითონაც წასვლის თადარიგს შეუდგა.

### არდევან შაჰა თავისის დედოფლით და ფალევნებით აქ ამ წასვლის მზადებაში დაუტეოთ და ესლა შუთურ აიარის და ახირ ჯადოს ამბავი მოვიხსენიოთ.

რა ამათ ქუჩუკისაკენ გასწიეს და მრავალი დღე და ღამე იარეს, როგორც იყო მეათე დღეზედ ქუჩუკთან მიახწიეს ზარბაქ დევის ქალაქში. შახედეს ნახეს რომ, დიდი ჯარების ყრილობა არის, შიგ ქალაქში. მხოლოდ ქუჩუკი და იგი ოთხნი გმირნი ფალევანნი არსად სჩანან, არც ფარვან და არც ზორაბ შაჰა სჩანან. ესე საჩქაროდ ჩამოხტნენ და პირდაპირ სასახლისკენ გასწიეს. იმ დროს კარის კაცთ შემოხედეს, ნახეს რომ, ახირ ჯადო და ერთიც უცხო აიარი სწრაფის სიარულით მოდიან, მაშინვე იცნეს რომ ახირ ჯადოა, სწრაფად შევიდნენ და ფარვან დევს მოახსენეს: დევთა და ჯადოთ ხელმწიფევ, ახირ ჯადო და ერთიც უცხო აიარის მგზავსი სწრაფის სიარულით მოდიან, მაშინვე ქუჩუკს მოახსენა იმათი მოსვლა. რა ქუჩუკმა შეიტყო, დიდათ იამა და ბძანა, იქნება მაღრიბის მოამბენი იყვნენო, საჩქაროთ მათი შემოყვანა ბძანა, მაშინ ფარვანი გავიდა იმათ შემოსაყვანათ და ისინიც კიდეც მოახლოვდნენ. რა ახირ ჯადომ ფარვანი დაინახა, გაექანა და მუხლთ აკოცა, აგრეთვე შუთურ აიარიც მიესალმა, მერე ფარვან დევმა უბძანა, მშვიდობა შენი ნახვა შუთურ აიაროვო და წინ გაუძღვა, შეიყვანა სასახლეში. ნახეს რომ, ქუჩუკ ყარამანი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრან და ბარამჯიბილი ამათთან თეთრი დევი, საჰმან და ზო-

რაბშაჰა სხედან და დიდი მეჯლისი აქვთ, მაშინ წადგნენ შუთურ აიარი და ახირ ჯადო პირი მიწას გაერთებით თაყვანი სცეს და მერე იმ ოთხთა გმირთა ფალევანთა და თეთრ დევს მუხლთა აკოცეს, გამობრუნდნენ საჰშანს და ზორაბ შაჰს მიესალმნენ შემდეგ გამობრუნდნენ და დადგნენ. მაშინ ქუჩუკმა უბძანა: აიარო! მაღრიბისა რა ამბავი იცით? მაშინ აიარი მივიდა, მუხლთ აკოცა და მიულოცა: სააბუირანო, მოგვილოცავს მაღრიბში გამარჯვებათ და იმ ხუთთა ხელმწიფეთა შეპყრობათ, ესე იგი ისმეილ ხანისა, უსეინ ხანისა, და მაჰმად ხანისა, ამათთან თურქმანის ხელმწიფის შვილების იბრეიმ ხანისა და მეით ხანისა, აგრეთვე საყანჩუნ და არჯაგ დევისა, ხოსროვშირისაგან, ბეგზადშაჰისაგან, გორშარაბისაგან და ბარზინისაგან შეპყრობა და მათი მრავალი ჯარების დახოცვა, შემდეგ არდევან შაჰასაგან იგი ხელმწიფეების შეწუნარება და იმათ წამოსვლაც, ხელმწიფე არდევან შაჰისა, ნარიმანისა და დედოფლების წამოსვლა. ერთის სიტყვით, რაც კი მაღრიბში მომხდარიყო, ყოველივე დაწვრილებით მოახსენა და წერილებიც მიართო. რა წაიკითხა წერილები, მრავალი საჩუქარი უბოძა და ბძანა: ბარაქალა ჩვენო ახალო ფალევნებოვო და სამხიარულო ნაღარას შებერეს. მაშინ თეთრმა დევმა უბძანა, შუთურ აიარო! ხელმწიფე შვილის იულიმისა, ნარიმან ხელმწიფე და დედოფლები აქეთ აპირებენ მობძანებასაო? თუ იქიდამ ისევ ინდოეთში გაბრუნდებიანო. მაშინ ახირ ჯადომ მოახსენა: სულ ერთიანათ აქეთკენ აპირებდნენ წამობძანებასაო, იმ ხუთთა ხელმწიფეებითაო, ულხუზ და მაზმურ დევიც თან ახლავსთო, სხვანი კი ტუსაღათ არიანო. მერე ქუჩუკმა უბძანა: აიარო რამდენი დღე არის, რაც მაღრიბიდან გამოხვედით? მოახსენა, დღეს თექვსმეტი დღე არისო, ხელმწიფე შვილის იულიმისა და ბანოვანნიც წამოსასვლელათ ემზადებოდნენ. ახლა ისინიც წამოსულნი იქნებიანო. რა ქუჩუკმა, თეთრმა დევმა და იმ ხუთთა ფალევანთა ასეთი სასიამოვნო ამბავი მოისმინეს, დიდათ იამათ.

## ქუჩუკ ყარამანი ამ სიამოვნებაში დაუტეოთ თავისის ფალევნებით, არდევან შაჰა დედოფლებით და როვშან თავისი გმირებით იმ მიმავლობაში, და ესლა ბაუბაუ დევისა, შავი დევისა და ხაზარან დევის ამბავი მოვიხსენიოთ და აგრეთვე დიდი ომები.

რა ბაუბაუ დევმა შეიტყო, რომ ქუჩუკი თავის ფალევნებით მოსულაო, დიდათ იამა, მაგრამ იმ უბედურს, თავისავით ბილწის ეშმაკის რჩე-

ვით კიდევ შური იძია და საომრათ დამზადება იწყო, უპირველესად თავის ასჯერ ასი ათასი ჯარი სამათ გაჰყო; ერთი წილი შავს დევს ჩააბარა, მეორე წილი ხაზარანს და დანარჩენი ჯარებიც თითონ მოამზადა, ცხენიც დაიყენა, რაზმები გააწყეს და ქალაქისაკენ წამოვიდნენ. რა ქალაქს მოახლოვდნენ. იმ დროს ათვთარ ჯადო იმათში იყო, მოვიდა და ყოველივე ამბავი ბაუბაუ დევისა და თავის დიდროვანის ჯარებით მოსვლა და ომის მსურველობა, ყოველივე ქუჩუკს მოახსენა.

რა ქუჩუკმა ეს ამბავი მოიხსენია, საჩქაროდ თავისის ჯარებით და ფალევნებით, ციხესა და ქალაქს გარეთ გამოვიდა და ერთს მინდორზედ დადგა, მალე რაზმი გააწყეს, ციხე და ქალაქი თეთრ დევს მიაბარა. რა ქუჩუკმა შეხედა ბაუბაუ დევს და იმის ფალევნებს თავიანთის ჯარებით, დიდათ მოეწონა. ამ უბედურ ბაუბაუ დევს თურმე დიდძალი ჯარი შეუკრებია იმ აზრით რომ, თავის ეშმაკის შემწეობით სდომებია ქუჩუკი დაამარცხოს. ამ დროს რა ბაუბაუ დევმა, შავმა დევმა და ხაზარან დევმა ქუჩუკის ჯარს და იმის გმირთა ფალევნებს შემოხედეს დიდათ მოეწონათ და იმათი ძრიელება რომ ენახათ, დიდსა ქებასა იყვნენ და კიდეც შიშობდნენ, მაგრამ რაკი ეშმაკმა აცდინა და იმედები მისცა, დიდათ იმედულობდნენ. თავიანთი ჯარებისა რომელიც ინდოეთზედ და მაღრიბზედ გაესტუმრათ, ჯერ იმათი ამბავიც სწორეთ არ იცოდნენ და იმათ ამბავსაც მოელოდნენ. იმ დროს საჭმან ადამზადი მივიდა და მოახსენა: საამყირანო, გთხოვთ რომ ნება მიბოძოთ მოედანზე გავიდეო და იმათი მხრიდამ ფალევანი გამოვითხოვო. მაშინ ქუჩუკმა ნება მისცა, ისიც საჩქაროდ ქუჩუკს თავი დაუკრა, მუხლთ აკოცა, შემდეგ გაბრუნდა, თავის ნაჯახი მხარს გადიდო და მოედანზედ გამოვიდა, ფალევანი გამოითხოვა და ასრე შესძახა: ჰეი, ბაუბაუ დევო, ჩემს საომრათ დევი ან ვინც გსურდეს, და თუნდ შენ თითონვე გამობძანდიო და შენმა რაჯიბ ეშმაკმა თამაშა მიყუროსო. რა ბაუბაუ დევმა ეს საშინელი დევი ნახა, მაშინვე ჰკითხა, დევნო ეს დევი ვინ არისო, რომ ასე მუქარით გამოვიდაო? მოახსენეს ხელმწიფეო, ეს საჭმან ადამზადი გასლავსთ რომ კულავაც მოგახსენეთო, ეს ყარუნ შაჰის თილისმიდან თავისი თორმეტი ამხანაგებით ყარამანმა გაანთავისუფლაო და იქ ჯურღმულში შააბმისარი დევიც მოკლაო, ეს ის საჭმან არისო და მეტათ ძრიელი დევიც არისო. მაშინ მარჯვნივ მხარეს, ერთი დევთა სარდალი ეჯდა, რომელიც ათი ათასი დევის ბძანებელი იყო—იმას უბძანა: ახლავ გადი და მაგ შენის დასტაჩუბით მიწასთან გაასწორეო. (ის დევი დიდგული და მეტათ ამპარტავანი დევი იყო), მივიდა ბაუბაუს თავი დაუკრა—ბაუბაუმა უბძანა: წადი ჩემი ღმერთი რაჯიბისათვის მიმიბარებიხარო. ეს დევი ასეთის ყოფით წა-

მოვიდა რომ, ორივე მხრის ლაშქარნი გაჰკვირდნენ და ნაქები დევიც იყო, მაგრამ საჰმანი ასეთი ღვთის მლოცავი იყო რომ, არავის დაანებებდა, რა დაუახლოვდა, შემოსძახა: დევო შენ ვინა ხარო, ან სახელი რა გეწოდებისო? მაშინ საჰმანმა უთხრა, დევო, შენ ჩემ სახელს რას კითხულობო? თუ საომრად გამოსულხარ, მოდი და შენი იარაღი იხმარეო და მერე შაიტყობ ვინცა ვარო. რა ამ დევმა საჰმანისაგან ასეთი სიტყვები გაიგონა, მაშინვე მიუხდა და უთხრა: მე გიჩვენებ შენსა თამაშასაო და თავისი დასტაჩუბი შეუმაღლა. მაშინ ქუჩუკ ყარამანი შეფიქრიანდა და თავის დევებს უბძანა, ხვადო დევნო! საჰმანისა და იმ დევის საქმეს როგორ ატყობთო? მაშინ რაღინარ დევმა მოახსენა, საბუირანო, თუმცა ეგ დევი ძრიელია; მაგრამ საჰმანს იმისაგან არა ევნებაო, თითონ ბაუბაუ დევიც რომ მოუხდეს, იმასაც პასუხს გასცემსო, გაბრუნდნენ და ომს ყურება დაუწყეს. საჰმანმა იმ დევის მოქნეულ დასტაჩუბს თავისი ნაჯახი ასეთი შემოჰკრა რომ, შუაზე გაუწყვიტა, ნახევარი ხელში დარჩა და ნახევარი ძირს დაეცა, ის ნახევარი რკინა ასეთი შემოჰკრა საჰმანს რომ, დიდი ძალა დაადგა და ახლა ლახტით მოუხდა. მაშინ საჰმანმა აღარ დააცალა, ღვთის სახელი ახსენა, გაექანა და ამ დევს ასეთი მუშტი შემოჰკრა გულში რომ, ის ლახტი ხელთაგან გაავდებინა და ნაფაზი შეუკრა. ამ დროს ეს დევი უკან უკან წავიდა და დედამიწაზედ დაეცა, მაშინ საჰმან გაჯავრებული მივარდა და თავი მოსჭრა და იგი მთისოდენი დევი ჩაამაღლა, მერე გამობრუნდა და იგი მოჭრილი თავი ქუჩუკს მიართო და გამარჯვება მიულოცა. მაშინ ქუჩუკმა საჰმანს მადლობა უბძანა, მერე საჰმანი გამოტრიალდა და ისევ მოედანზე მოვიდა და შესძახა: ბაუბაუ დევო, მოედანი ცარიელი ნუ გაუშვიო, საომრად ფალევანი გამოგზავნეო. რა ბაუბაუ დევმა და იმისმა სარდლებმა საჰმანისაგან იმისთანა გამოჩენილი დევის სიკვდილი ნახეს, დიდი ქება დაუწყეს და გაუკვირდათ, ახლა იმაზედ უკეთესი სხვა დევი გამოგზავნეს, ის დევიც მოკლა, რაღა გავაგრძელოთ, საღამომდისინ იმისთანა გამოჩენილი დევები სამოცი მოკლა და შემდეგ ქუჩუკმა უბძანა, სამხიარულო ნაღარას ჰკარითო. მაშინ ხაზარან დევმა ასი სხვა დევით საჰმანს ომი გამოუცხადა და ასნივ ერთათ მოუხდნენ. რა საჰმანის ათორმეტ ამხანაგებმა საჰმანზედ იმდენი დევნი ნახეს, მაშინვე ამ ქვეყნის ამაოხრებელთა და სისხლის მღვრელთა შეუტიეს და დასცეს კიჟინა, დაერივნენ და ერთს წუთზედ სულ ერთათ დახოცეს. იმ დროს ბაუბაუ დევმა შემოსძახა და ხუთასი გამოჩენილი დევები მოუხდნენ. მაშინვე აქედამ ქუჩუკმა უბძანა, აფთარ ზანგ დევს რომ თავის ჯარებით შაუტიოს, იმასაც ბძანებისამებრ მოიქცა, მეორეს მხრიდამაც დევთ ჯარები წამოვიდნენ, მაგრამ ზანგ დევმა და საჰმანმა იმათი ჯარები

გაატრიალეს და ბაირაღებამდისინ სულ ხოცვით მიჰყარეს, ამაზედ იმათ კიდევ უფრო დიდი ჯარები მიუსიეს და საშინელი ომი მოუხდათ. იმ დროს ზანგ დევის და საჰმანის ჯარები ახლა იმათ გამოატრიალეს, რა ნახა ქუჩუკმა, მაშინვე ანბირ დევს და ზორაბ შაჰს უბძანა: თავიანთის ჯარებით მიტევება—ესენიც მივიდნენ და ასეთი სისხლის ღვრა მოხდა რომ, ცხენს და კაცს იტაცებდა. ბოლოს პირი აბრუნებინეს ბაუბაუ დევის ლაშქარს და დიდი ძალი ჯარები ამოუხოცეს. ბაუბაუ დევმა შემოხედა ნახა რომ, იმათ თავისი ჯარები დაამარცხეს და მრავალიც ამოუწყვიტეს, საშინელის ხმით შესძახა, ხვადნო დევნო! წახდა აწ სახელი თქვენიო, ეხლა გარჯის დრო არისო, და ასი ათასთა, სულ ცეცხლის მფრქვეველთა ჯართა უბძანა, მიდით და სულ ამოსწყვიტეთო, ამათაც ასეთის კიჟინით წამოვიდნენ რომ, იქაურობა სულ ცეცხლით აავსეს და ქუჩუკის ჯარებს სულ გარს შემოერტყნენ და კიდევ საშინელი ომი ატეხეს.

იმ დროს რა ამ ოთხთა გმირთა ფალევანთა ასეთი გაცხარებული ომი ნახეს, ვეღარ მოითმინეს და საჩქაროთ საბუირანს სთხოვეს: „დღეს ომი ჩვენ დაგვანებეო“, საბუირანმა უბძანა: ნება თქვენი არისო. მაშინვე გამობრუნდნენ და რიგრიგათ გაიყვნენ: მარჯვნივ უოვლიბანმა შუტია თავისის ფალევნებით, მარცხნივ მხრიდამ ხოსროვშირმა, დასავლეთის მხრიდამ ყათრანმა და ჩრდილოეთის მხრიდამ ბარამჯიბილმა თავისის ფალევნებით. ამ ოთხსავეს კუთხიდან თითო ნარა გასწიეს და შიშველის ხმლებით დაერივნენ. იმ დროს ქუჩუკმა უბძანა: ფარვან დევო, ჭაერში ამიყვანე და ამ ჩვენის გმირთა ომი მიჩვენეო, ძალიან მესიამოვნება მათი ომიო, მეტადრე უოვლიბან, შირვანისა და ხოსროვშირისაო. ამათ საჩქაროდ ჭაერში აღიწივნენ, დახედეს ზევიდამ და ნახეს რომ, გაცხარებული ლომივით უოვლიბანი სტაცებს ხელსა დევს დაიჭერს და მეორეს შემოსტყორცნის, შვიდს და რვას ერთათ ხოცავს. ხოსროვშირსაც ხელთა ხმალი უჭირავს და რომელ დევსაც შემოჰკრავს, ცხენს და კაცს შუაზე სწყვეტამს. ყათრანი და ბარამჯიბილი გაცხარებულნი საშინლად ომობენ და რომელ მხარესაც შეუტევენ კვდარს კვდარზედ ჭურიან და ასე ხოცვით მისდევენ. მარცხნივ შეხედა ნახა რომ საჰმანი თავისის ამხანაგებით უწყალოთ ხოცვენ. რაც შეეხება ანბირ დევს, ზანგ დევს და ზორაბ შაჰს, ამათ ხომ რაღა თქმა უნდათ, სულ ერთიანათ მუსრს ადენდნენ. ზორაბ შაჰს ერთი ფალევანი ჰყვანდა, სახელათ უწოდებდნენ ნაზუქჯინს, ეს ფალევანი საკვირველება რამ იყო: ვისაც წიხლს აძგერებდა, სულ გულდაღმა დასცემდა და საშინლად იბრძვოდა. მაშინ სთქვა ქუჩუკმა, ამ ფალევანთა წინ ვერავინ აღუდგებათო.

ამ უცხო და გმირ ფალევნებს ესე იგი ხოსროვშირს, ყოვლიბანს, ყათრანს, ბარამჯიბილს, საჭმანს, ზორაბ შაჭს, ანბირ და ზანგ დევებს ამ ომში დაუტეოთ, — ქუჩუკ და ფარვან დევიც ჭაერიდამ ყურებაში და ეხლა შვიდის იულიმის ხელმწიფე არდევან შაჭასთან მოვიდეთ.

რა ამათ შუთურ აიარი გამოისტუმრეს ქუჩუკთან, თითონაც ჩქარის სიარულით წამოვიდნენ ქუჩუკისაკენ დედოფლებით. გზაში მრავალი უცხო სანახავები ნახეს. მეთხუთმეტე დღეს ქუჩუკთან მოახწიეს, რა ზარბაქ დევის ქალაქს მოუახლოვდნენ, ნახეს რომ, ერთ მხარეს ამოდენა დევის ჯარები დგანან რომ, მინდორი სრულიად ჯარებით არის სავსე და იმათ ორთქლს სულ ჭაერი დაუბნელებია, იმ ჯარების მოშორებით ერთი საშინელი ტახტი დგას და ზედ ერთი საშინელის სახის მქონებელი დევი ზის, მარჯვნივ და მარცხნივაც ასეთი დევები უსხედან რომ, დიდროვანს გორებს ჰგვანან. მეორეს მხარეს ნახეს რომ, ამათ ჯარებს ასეთი საშინელი და გამწვავებული ომი აქვთ რომ, მეორეთ მოსვლას ჰგავს, ამასთან ნახეს რომ, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი და ბარამიც ომობენ, აგრეთვე საჭმანი თავის ამხანაგებით, მეორეს მხარეს ანბირ, ზანგ დევი და ზორაბ შაჭი ომობენ. დიდი ხანი უყურეს და ამათი ომი ძრიელ მოიწონეს, მეტადრე ამ ოთხთა ახალთა გმირთა ფალევანთა რომ ნახეს ამისთანა საშინელი ხელჩართული ომი და თავიანთ მამებიც ომშიგან იხილეს, მაშინვე მრავალ ვეშაპივით წამოხტნენ, აენთნენ ცეცხლივით და ზურგის ბალანი შუბებივით აეშალათ და საჩქაროთ დედამიწაზედ ჩამოხტომა უბძანეს. რა ეს ოთხნი ყმაწვილნი ხოსროვშაჭა, ბეგზადშაჭა, გორშარაბ და ბარზინი დედამიწაზედ გადახტნენ, მაშინვე დაუყოვნებლივ იმ დევთა ჯართ უკანიდამ, ამ ოთხთავემ და ანყაბუზ და სურხარავ დევიც, თავიანთის ჯარებით ზურგის შესანახათ თან გაიყოლეს. მაშინ ამ ოთხთა ერთი საშინელი ნარა გასწიეს და შიშველ ხლმებით დაერივნენ. ამათ ნარის ხმაზედ რაც დევნი იყვნენ, ჭაერში ყურება დაუწყეს და ვერაფერს ვერ მიამსგავსეს, ბოლოს ნახეს რომ, ხოსროვშირი, ყოვლიბანი, ყათრანი და ბარამჯიბილი იქ არიან; მაშინ ეს გმირ ფალევნებმაც გაიკვირვეს და სთქვეს: ეს ოთხის დიდი ნარის ხმა ნეტარ რა უნდა იყოსო? ეს ნარის ხმა ქუჩუკმა, თეთრმა დევმა და ფარვან დევმაც გაიგეს. მაშინ ქუჩუკმა იკითხა ნეტარ ესეთი ნარის ხმები ვისგნით უნდა იყოსო? გადიხედა და ომს ყურება დაუწყო, ნახა რომ, ყოვლიბანი,

ხოსროვშირი, ყათრანი და ბარამჯიბილი საშინელ გაცხარებულ ომში არიან, მერე ბაუბაუ დევის მხარეს დახედა ნახა; ოთხნი მშვენიერნი ფალავანნი ხმალ მოკრულნი მოსდგომიან ამ დევთა ჯართ და უწყალოთ ხოცავენ, უკანიდამაც ორი დევთა სარდალნი ზურგს უნახავენ, ამაზედ გაიკვირვა და სთქვა, ღმერთო ჩემო, მე ამათთანა მეომარი არ მინახავსო; დიდხანს უყურებდა და ვერც იცნო თუ ვინ იყვნენ. ამ დროს მანთუზ დევი საჩქაროდ მივიდა, ქუჩუკს მუხლთა აკოცა და მოახსენა: ფალავანო, ჩვენი შვილის იელიმის ხელმწიფე არდევან შაჰი, მამათქვენი ნარიმან ხელმწიფე თავიანთლაშქრით და დედოფლებით გიახლნენო, აგრეთვე ინდოეთის დედოფალი რუიზან და როვშანბახტი, ამათთან გარდანქეშანი, ასიმ და სიროვანჯა მათთან იგი ოთხნი ახალი ფალავანნი: ხოსროვშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბ და ბარზინ, ხუთნიც ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფენი: ისმეილ ხანი, უსეინ ხანი, მაჰმად ხანი, იბრეიმ ხანი და მეით ხანი, ამათთან ორნიც გამოჩენილნი დევნი: ულხუზ და მაზმური, ესენი ყველანი ერთს მანზილზედ ჩამოხდნენ დიდის ჯარებით, ხელმწიფეები და დედოფლებში კი ჭაერიდამ თამაშას უყურებენო.

ეს ამბავი ქუჩუკს დიდათ იამა და თეთრ დევს და ფარვან დევს უბძანა: მანთუზ დევო და მაღრიბის ხელმწიფეო, ის ოთხნი ახალნი ფალევანნი იქ არიანო? მოახსენა: ფალევანო, რა იმათ ჭაერით ისეთი საშინელი ომები ნახეს, ვეღარ მოითმინეს, მაშინვე დედამიწაზედ ჩამოვიდნენ და იმ ბაუბაუ დევის ჯარებს შეუტიეს, მაშინ ბძანა, მაშ ის ოთხი ნარის ხმა იმათი იქნებოდაო, მაშასადამე იმათ დიდი სიფთხილე უნდათ რომ იმ ბილწ ბაუბაუ დევს, შავ დევს და ხაზარან დევს არ შეხვდნენო, — ჯერ ყმაწვილები არიან და მიზეზი არა მიეცეთრაო. მაშინ მოახსენა მანთუზ დევმა, ფალევანო, ათი ბაუბაუ დევისთანაც რომ იმათ შამოეხვიოს, ფიქრი არა აქვსთო, აი თორემ ნახავთო. მაშინვე უბძანა: შენ ეხლავე ბაუბაუ დევის ჯარში მიდიო, ხოსროვშირს, ყოვლიბანს, ყათრანს და ბარამჯიბილს აცნობე, ხელმწიფეების მოსვლა, იმ ოთხთა ყმაწვილების და დედოფლების ამბავი, მანამ მე მოვიდე, თვალყურიანათ იყვნენ, თუ ის ყმაწვილები ბაუბაუ დევს შეხვდნენ, ძრიელ გაუფთხილდნენ რომ ხელიდან არ გაუშონ. მანთუზ დევი იქითკენ გაისტუმრა და თითონ თეთრი დევი, ფარვან დევი, ხელმწიფეების მისაგებავათ წამოვიდა. რა მიუახლოვდა და იქიდამაც არდევან შაჰამ შემოხედა, მაშინვე იცნო რომ ქუჩუკი იყო. რა რუიზანმა თავისი ძმა ქუჩუკი დაინახა, საჩქაროდ გამოექანა. მკლავები გაშლილი ქუჩუკს ყელზედ შემოეხვია და დიდი ხანი ერთმანერთს ლოშნიდნენ, მერე დედა ქუჩუკის უსნიარი და გულიჯანი მოვიდნენ პირს და ყელს ეხვეოდნენ, აგრეთვე

გულჩინი. რა ამათ სალმობას მორჩა, მაშინ ჩქარის სიარულით გასწია და შვიდის იულიმის ხელმწიფე არდევან შაჰას და დედოფალს თაყვანი სცა და მუხლთ აკოცა, იმათაც მიესალმნენ და პირსა აკოცეს. მაშინ ნარიმანმა რა თავისი შვილი დაინახა, ქუჩუკი დიდის სიყვარულით მიეგება და ორსავ თვალებში აკოცა, შემდეგ ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ, ხუთნი ხელმწიფენი და მშვენიერნი სახისანი და უცხო ფალავანნი დიდათ მოეწონა, ამათთანაც ორი დევთა ფალავანნი ნახა, ასეთი საშინელნი რამ იყვნენ რომ, შავი დევის და ხაზარან დევის ფალავნობა დაავიწყდა და ერთიც ჯადო. მაშინ რა ამ უულუნ ჯადომ ქუჩუკი დაინახა, გამოექანა და მუხლთ აკოცა. ქუჩუკს უულუნ ჯადოს ნახვა დიდათ იამა, მაშინ იგი ხუთნი ხელმწიფენი მოვიდნენ და საბურანს წინ დაუჩოქეს; აგრეთვე ულხუზ და მაზმურ დევებმა შეცოდების პატიება სთხოვეს. ქუჩუკმა ხელი სტაცა და ააყენა ხუთნივ ხელმწიფენი და პირსა აკოცა, აგრეთვე ულხუზ და მაზმურ დევებს და უბძანა: ხელმწიფენო! რადგანაც ჭეშმარიტი ღმერთი გიწამებიათ და შვიდის იულიმის ხელმწიფეს და ინდოეთის ხელმწიფეს შეუწყნარებიხართ, მეც ყოველივე თქვენი დანაშაულობა მიპატიებია, გამობრუნდა და ხელმწიფეებთან მოვიდა და ჩქარის სიარულით ხელმწიფეებთან ერთათ სასახლეში ჩამოხტნენ. მაშინ ქუჩუკმა მოახსენა, ხელმწიფეებო და დედოფლებო, თუ ინებებთ, ჭაერით იმ ოთხთა გმირთა და ყოველთა უმჯობესთა ფალავანთა: ხოსროვშირისა, ყოვლიბანისა, ყათრანისა, და ბარამჯიბილის ომს უჭვრიტოთ, აგრეთვე იმათ შვილებსათ. მაშინვე ტახტებზედ დასხდნენ და ფერიებმა ასწიეს, ჭაერში აიყვანეს და იქიდამ ომს ყურება დაუწყეს.

ესე ამ ყურებაში დაუტევოთ და ხოსროვშირისა, ყოვლიბანისა, ყათრანისა, ბარამჯიბილისა და ამათი შვილების ომი მოვიხსენიოთ. — შავის დევისა და ხაზარან დევის ხანგრძლივი ომი და ღვთის მალით ამ ხუთთა გმირთაგან ბაყბაყ დევისა, შავი დევისა და ხაზარან დევის შეპყრობაც მოვიხსენიოთ.

ამ დროს რა საშინელი ომები მოხდა და ხოსროვშირისაგან, ყოვლიბანისაგან, ბარამჯიბილისაგან, ამ ბაყბაყ დევის ლაშქარმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ, ამ დროს ბაყბაყ დევს ერთი სხვა ლაშქარიც ჩრდილოეთის მხარეს ეყენა, ნახეს რომ ეს ლაშქარნიც მორბიან. მაშინ ბაყბაყ დევმა და-

ძახა მაღალის ხმით: „ეს რა ამბავი მომხდარა რომ, ესრე უნამუსოთ ეს ამოდენა ჯარები მორბიანო“. მაშინ მოახსენეს: დევთა ხელმწიფევ, ოთხი ყმაწვილი ფალევანნი არ ვიცით ზეციდამ ჩამოსცვივდნენ თუ დედამიწიდან ამოძვრნენ; უცებ ვნახეთ რომ, ხმალ ამოღებულნი ამოდენათა ჯართა დაუ-რივნენ და უწყალოთ ხოცვენო; ჯერ ასი ათასი პირველი შეომარი ჯარი ამოსწყვიტესო.

ბაყბაყ დევმა რა ესე გაიგო თუ არა, მაშინვე შავ დევს და ხაზარან დევს იმათზედ მისვლა უბძანა, თითონ კი ამ ოთხთა ფალევანზე ესე იგი ყოვლიბანზე, ხოსროვშირზე, ყათრანზე და ბარამჯიბილზე მედგარი იერი-ში მიიტანა. ვის შაეძლო ბაყბაყ დევის წინ დგომა, მრავალი დევთა და ადამიანთ ჯარები ამოსწყვიტა, თუმცა გარს შემოეხვივნენ და მამაცათ ებრ-ძოდნენ, მაგრამ უკან ვერაფრით ვერ დაახევინეს. ბაყბაყ დევის ჯარიც სცდილობდა იმათი დამარცხება, მაგრამ ვერც ამათ დასძლიეს. უფრო ძა-ლიან გამწვავდა ამათი ომი, ორივე მხრიდან დიდძალი ჯარი იხოცებოდა. ამ დროს ქუჩუკმა ველარ მოითმინა, ჰაერიდამ ძირს ჩამოვიდა, თავისი შუ-ბიანი ჯაჭვი ჩაიცვა, ღვთის სახელი ახსენა და ბაყბაყ დევისაკენ საშინე-ლის ხმით შემოუტია, ამასთან ერთი საშინელი ნარაც გასწია. რა ეს ნა-რის ხმა იმ ოთხთა ყმაწვილთა ფალევანთა გაიგონეს, მაშინვე იკითხეს, ეს რა ხმა იყოვო? შუთურ აიარმა მოახსენა, ფალევანნო, ქუჩუკ ყარამანი ბაყბაყ დევის ჯარებს მიუხდათ და იმის ნარის ხმა არისო. მანამ შუთური ამ სიტყვებს დაასრულებდა, ოთხი საშინელი ნარის ხმაც სხვა მოესმათ, ესეც ჰკითხეს, ეს ოთხი ნარის ხმა ვიღასი იყოვო? მოახსენა აიარმა, ფა-ლევანნო, ეს ოთხივე ხმებიც თქვენი მამებისა იყოვო.

ამათ რა ესე გაიგეს, ერთმანერთს ხმა მისცეს და დევთა ჯარს შე-მოუტიეს. ამ დროს შავი დევიც და ხაზარან დევიც დაერივნენ და უწყა-ლოთ ხოცვა დაუწყეს ერთმანერთს, ბოლოს ამ შავმა დევმა და ხაზარან დევმა ამ ყმაწვილ ფალევნების ჯარს პირი აბრუნებინეს და უკანიდამ ხოც-ვით მისდიეს, რა ხოსროვშაჰმა და ბარზინმა უკან შემოხედეს, ნახეს რომ ორი მთის ტოლა დევნი საშინელის სახისანი, ამათ ჯარებს ხოცვით მოს-დევენ. ამათ ძალიან გაუკვირდათ და სთქვეს, ეს რა ბილწნი რამ არიანო, სჩქაროთ შუთურ აიარი მიიჭრა და მოახსენა: ფალევანნო, დიდი გაფრთ-ხილება გმართებთო, ესენი შავი და ხაზარან დევნი არიანო, რომლებსაც ხოსროვშირმა და ყოვლიბანმა დიდის ცდით დაიმორჩილესო. მაშინ ამათაც უბძანეს, ჩვენც მათი შვილები არავართო? შენ შორიდან გვიყურე თუ რას უზავთ ჩვენ მაგათაო. ამ დროს დედოფლები ჰაერიდამ უყურებდნენ და დი-დათ სწუხდნენ რომ, იმ ბილწ დევებს ყმაწვილ ფალევნებისთვის არაფერი

ვნება არ მიეყენებინათ. რა ამ ორთა დევებმა ის ოთხი გმირი ყმაწვილი ფალევნები დაინახეს, უცებ შედგნენ და სთქვეს: ნეტარ ეს მშვენიერნი ფალევანნი ვინ უნდა იყვნენო, მაშინ ერთი დევი წარდგა და ამ ორთა უთხრა, ფალევანნო გაფრთხილდითო, ერთი ხოსროვშირის შვილიაო, მეორე ყოვლიბანისაო, მესამე ყათრანისაო და მეოთხე ბარამჯიბილისაო; ულხუზ, მაზმურ, საყანჩუნ და არჯავ დევებიც მაგათ შეიპყრესო; ეგენი ძრიელნი ფალევანნი არიანო. ამაზედ უფრო გაჯავრდნენ, დაუახლოვდნენ და შავმა დევმა საშინელის ხმით შესძახა, შემდეგ ხოსროვშაჰს ლახტი ესროლა; ხოსროვშაჰამ დაიცდინა და იმის ჯარს ეცა, რამდონიმე ასი კაცი დასოცა. რა შავმა დევმა დაინახა რომ ხოსროვშაჰამ ლახტი აიცდინა, ახლა გურზით მიუხდა. ამ დროს ხოსროვშაჰა მაღლა შესტა და ხმალი ასეთი შემოჰკრა რომ, გურზი შუაზედ გაუწყვიტა, შემდეგ ხმალი მარცხნივ ხელში მიიცა და მარჯვენას ხელით ასეთი მუშტი შემოჰკრა იმ საძაგელ მოედნის ტოლ გულზედ რომ, ეს უშველებელი დევი გულდაღმა გადავარდა, მაშინ საჩქაროდ მივარდა ზედ და თავის ქამანდით ხელები მაგრა შეუკრა და თავისთა ფალევანთა ჩააბარა, შემდეგ ხელმწიფესთან გამოისტუმრა; თითონ კი დევთა ჯარს შეუტია.

რა ხაზარან დევმა შავი დევი დაჭერილი იხილა, საჩქაროთ თავისი ხლმით ბეგზადშაჰს შეუტია. რა ბეგზადშაჰამ თავისზედ მოსული ეს უშველებელი დევი შიშველი ხლმით დაინახა, საჩქაროთ შესძახა: ჰეი, შენ ბილწო! პირველათვე რომ მოსისხლეთ მომეკიდე რა გნებავსო? მაშინვე იმის მოქნეულ ხმალს თავისი ხმალი შემოჰკრა და ხმალი შუაზედ გაუწყვიტა. რა ხაზარან დევმა თავისი ხმალი გატეხილი ნახა, დიდათ ითაკილა და ხლმის ნატეხი პირში შემოჰკრა და არა მცირეთ დაკოდა. რა ბეგზადშაჰამ თავისი თავი ამგვარათ ნახა ერთი საშინლათ შესძახა და ხმალი თავის ქარქაშში მიაქცივა, შემდეგ მისწვდა, ერთი ხელი კისერში სტაცა და მეორე ხელი ფეხში, ეს უშველებელი დევი ასწია თავის სიმაღლეზე მერე მოიქნივა და მიწაზედ ასეთი დასცა რომ, იმის სახე მიწაზედ გამოისახა. ამ დროს ჩქარა მისწვდა, მკლავები მაგრათ შეუკრა და ფალევანთა ჩააბარა. იმ დროს ხელმწიფეები და ბანოვანნი ჭაერიდამ უყურებდნენ და დიდათ გაკვირვებულნი იყვნენ ამ ყმაწვილ ფალევანთა მოქმედებაზე, ამასთან ლოცავდნენ და ღმერთს მადლობას უცხადებდნენ, შემდეგ მაღლიდამ დიდის ხმით დაჰყვირეს კიჟინის კვრით: შაბაშ, შაბაშ, თქვენს ფალევნობასაო, რომ თქვენისთანა არავინ დაბადებულაო. ბოლოს გორშარაბმა და ბარზინმა ამათთან ერთათ დევთა ლაშქარს შეუტიეს და ამ ოთხთა მშვენიერთა ფალევანთა, იმოდენა ჯარს პირი აბრუნებინეს და უკანიდამ ხოც-

ვით მისდევდნენ. ამ დროს მეორის მხრიდამ იმ ოთხთა ვეშაპთა ესე იგი ხოსროვშირმა, ყოვლიბანმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა შემოუტიეს, მესამეს მხრიდამ ლომთა-ლომი ქუჩუკ ყარამანმა გამოილაშქრა, მეოთხეს მხრიდამაც საჰმან ალამზადმა, ზორაბშაჰმა, ზორაბ დევმა, ანუაბუზ დევმა, ანბირ დევმა და ზანგ დევმა შემოუტიეს. ესე საერთოთ, ბაუბაუ დევის ჯარები ერთ ალაგას მოიმწყვდიეს და ბუზებივით ჟლეტა დაუწყეს. ამ საშინელ სისხლის ღვრაში, ბაუბაუ დევმა თავისი სარდლები ველარ ნახა, გაჯავრებული ამ ჯარებში უშიშრათ დადიოდა და მრავალი ფალევანიც ამოსწყვიტა. თუნდა ბევრს სცდილობდნენ ამ ბილწთან შეხვედრას, მაგრამ არ იქნა ვერ შეხვდნენ, ვერც ქუჩუკი და ვერც ის ოთხნი გმირნი. ახალგაზდა ფალევანები ხომ სულ ფრჩხილებს იჭამდნენ ჯავრით, რომ ვერაფრით ვერ შეხვდნენ. იმ წყეულის ყვირილის ხმა კი ესმოდათ, თითონ კი ვერ ხედავდნენ, ამათ უფრო ჯარის სიმრავლე უშლიდათ. ბოლოს იმოდენა ეცადნენ რომ ეს ჯარები გამოაპეს და სადაც ბაუბაუ დევი ომობდა, იქამდისინ მივიდნენ, შეხედეს, ნახეს რომ, ერთი მთის ტოლა დევი ჯარებში დადის, ზოგს ფეხით და ზოგს ლახტით უწყალოთ ხოცავს. რა ამ ოთხთავემ ეს დევი კარგათ დაათვალიერეს, მაშინვე წინიდამ მოურბინეს, ამ დროს ხოსროვშირი, ყოვლიბანი, ყათრანი და ბარამჯიბილიც შამოესწრნენ. რა თქმა უნდა ესენიც აჩქარდნენ, ამასთან ქუჩუკის საშინელი ხმაც შემოესმათ, მიიხედეს ნახეს რომ ქუჩუკიც იქავ გაჩნდა.

ამათ თუნდა უნდოდათ დაეშალათ ყმაწვილ ფალევნებისთვის ბაუბაუ დევზე მისვლა, დიდათაც იწყინეს, მაგრამ გვიანღა იყო, ამათ უკვე ხმლებ ამოღებული ბაუბაუ დევს შემოუტიეს. რა ბაუბაუ დევმა შამოხედა, ნახა რომ, ოთხი ასეთი მშვენიერნი ყმაწვილი ფალევანნი წინ უდგანან და ასეთის მრისხანის სახისანი არიან რომ, მამაფალ ვეშაპსაც არ შეუძლიან მათი შეხედვა, დიდათ აქო და თავისი ბილწი ფეხი საჩქაროდ გაიქნია და მაღლათ შესძახა; უნდოდა რომ, ხოსროვშირისთვის შამოეკრა. მაშინვე ხოსროვშაჰამ ხმალი ასეთნაირათ შემოჰკრა რომ, ცალი ფეხი მოსწყვიტა, მეორე ფეხიც ბეგზადშაჰამ მოსწყვიტა. რადა გავაგრძელოთ ცალის მხრიდანაც რამდონიმე მგლავები დასწყვიტეს და წაუშინეს ამ უშველებელ დევს ხმლები. ამ დროს ქუჩუკი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი და ბარამჯიბილი იდგნენ, სეირს უყურებდნენ და სიცილით ეხოცებოდნენ. ყაღლიდამაც არდევან შაჰა, ნარიმან, როვშანბახტ, თეთრი დევი, ფარვან დევი და ბახოვნები! დიდის ხმით იცინოდნენ და ტაშის კვრით ყურთა ხმა არ ისმოდა, თან ყვიროდნენ: ოლოლო, ოლოლო, ბაუბაუ დევო შეგირცხვეს ტანით. რადა გავაგრძელოთ, ამ ოთხთა ფალევანთა ეს უშველებელი დევი, ამდე-

ნის ხმლის ცემით მკლავები და ფეხები სულ დასწყვიტეს და ბევრის სისხლის დენით გაიქცა და მიწაზედ დაეცა, მაშინვე საჭმანი, ზორაბ დევი, ანყაბუზ დევი და კოჭლი დევი, მოსცვივდნენ ჩქარა, დაიჭირეს და ჯაჭვებით მაგრა შაკრეს, შემდეგ თრევით არდევან შაჭასთან მოიყვანეს და ერთ სამინელ ხაროში ჩააგდეს; აგრეთვე შავი დევი და ხაზარან დევიც იქ მიათრიეს და ისინიც იმასთან ჩააგდეს. ამ დროს ქუჩუკი გაექანა და ამ ოთხთა ფალევანთა შუბლზედ აკოცა და დიდი ქება შეასხა. შემდეგ ხოსროვშირმა, ყოვლიბანმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა მივიდნენ და თავიანთ შვილებს გარდაეხვივნენ და დიდხანს ლოშნიდნენ, რა სალმობა გაათავეს, გამობრუნდნენ ეს გმირნი ფალევანნი, ომი თავიანთ დევთა სარდლებს დაანებეს და ქუჩუკის სამსურ ცხენს და თითონ ერთ უცხოს ალაგიდან თამაშას უყურებდნენ, ერთის სიტყვით—ცხრა დღე და ღამე დაუსვენებლივ ომები იყო, მეათე დღეს, ბაყბაყ დევის ჯარები სულ გაიქცნენ, ქუჩუკის ჯარიც უკანიდან ხოცვით მისდევდა, ბოლოს ხელი აიღეს და თავიანთ ბინებისაკენ წამოვიდნენ.

ბაყბაყ დევის გაქცეული ჯარები გამობრუნდნენ, სულ ერთ ალაგას ერთად შეიყარნენ, მოვიდნენ ქუჩუკთან და დაიჩოქეს, შემდეგ ეს ამოდენა ჯარებმა ერთის ხმით დაიძახეს და შეცოდების შენდობა ითხოვეს და ასე მოახსენეს: საბუირანო, ჩვენ ამოდენა დევები, ბაყბაყ დევისა, ხაზარან და შავი დევების ყმანი გახლავართ, იმათ გვიბძანეს და ჩვენც წამოვედით, ჩვენ ბრალი არა გვაქვს, ამისთვის გთხოვთ, თქვენის უფასო ოთხთა ახალ ფალევანთა სადღეგრძელოთ, და დაჩუმდნენ. მაშინ უბძანა ქუჩუკმა: ჰეი დევნო! მე ყველასათვის მიპატიებიაო, რადგანაც ჭეშმარიტი ღმერთი გიცვნიათო, შემდეგ ყველას ფეხზე ადგომა უბძანა. —საჭმან ადამზადს უბძანა: ეხლავე შეიტყე რამდენი ათასნი ლაშქარნი არიანო, ან რამდენი სარდალი და დღესვე შემატყობინეო. ესენი დაავალა და თითონ ხელმწიფეებისკენ წამოვიდა თავის გმირთა-გმირნი ფალევნებით.

იმ დროს რა შვიდის იკლიმის ხელმწიფე არდევან შაჭამ, დედოფლებმა, ნარიმანმა, სარვიხურამანმა, უსნიარმა, გულიჯანმა და გულჩინმა, ეს ოთხნი მშვენიერნი ახალი ფალევნები მომავალი დაინახეს, ერთმანერთს ეუბნებოდნენ, ნეტარ ამათთანა მშვენიერნი და გმირნი კიდევ იქნებიანო? ამათთან ქუჩუკ ყარამანი, ხოსროვშირი, ყოვლიბანი, შირვანი, ყათრანი და ბარამჯიბილი და იგი ოთხნი ახალნი ფალევანნიც ხელმწიფეს რომ დაუახლოვდნენ, მაშინვე მივიდნენ და საერთოთ შვიდის იკლიმის ხელმწიფეს გამარჯვება მიულოცეს და პირგაერთებით თაყვანი სცეს და მუხლთ აკოცეს. იმ დროს არდევან შაჭამ ქუჩუკს შუბლსა აკოცა, ამასთან დანარჩენი ფალევ-

ნებიც, შემდეგ დალოცა და დიდი ქება შესხა, მერე იგი ოთხნი ახალი ფალევანნი წამოვიდნენ მშვენიერის ყოფა-ქცევით, მხიარულის გულით და სიცილით, მერე ხელმწიფე არდევან შაჰმა დიდის ხმით ურა! ურა! მოახსენეს, შემდეგ მიწაზედ დაემხვნენ და პირდამხობით სალამი ჭკადრეს და კალთას აკოცეს, მაშინ არდევან შაჰმა ხელი სტაცა ოთხსავეს ააყენა, მოეხვია, გულზე მიიკრა და ოთხთავეს შუბლსა აკოცა, დალოცა, შემდეგ დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა იმათი დაბადებისათვის, და იმათი დღეგრძელობა სთხოვა. შემდეგ ბძანა ხელმწიფემ: თავიანთ განწესებულ ჯამაგირის გარდა, ყოველ წელიწადს ათას ათასი თუმანი მეტი მიეცემოდეთო; გარდა ამისა თითო ასეთი საჩენი ქალაქები აჩუქა რომ, შვიდსა იყლიმში იმისთანა ქალაქები არსად იყო და აგრეთვე თითოც ძვირფასი ხალათები უბოძა. რა ეს სალმობა გათავდა, შემდეგ ნარიმანი, როშანბახტი, იაეთრი დევი და ფარვან დევიც მოვიდნენ, მოესალმნენ და გაბრუნდნენ. მერე შვიდის იყლიმის დედოფალი შაჰნაზდუხტმა რა იგი ოთხნი ყმაწვილი თავისაკენ მომავალი დაინახა, წინ მოეგება, რომ უნდოდათ ყმაწვილებს თაყვანი ეცათ, არ ინება, მივიდა საჩქაროთ და ოთხთავეს შუბლზედ აკოცა, თითოს ოქროს სინით თვალ-მარგალიტი გარდააყარა, შემდეგ თითო ასეთი ბეჭედი უბოძა რომ, ფასი არ დაედებოდა. მერე სარვიხურამანი, უსნიარი, გულიჯანი, გულჩინი და რუიზანი მოეგებნენ, წაიყვანეს და გვერდით მოისხეს, შემდეგ ასეთი მხიარულობა გამართეს რომ, სპარსთა ასე აღუწერიათ: „ზეცით ანგელოზნიც უმზერდნენ, ამათ ამგვარ მხიარულებასაო“. ბოლოს იგი ხუთნი ხელმწიფენი მოვიდნენ და გამარჯვება მიულოცეს და აგრეთვე ულხუზ და მაზმურ დევებიც მოვიდნენ, მიულოცეს და ერთმანერთს ეუბნებოდნენ, ამათთანა ფალევანნი ვგონებ არსად იქნებიანო, მერე საჰმან ადამზად შემოვიდა და მოახსენა, სააპყრანო, ჯარების თვლა დახოცილების გარდა, ასოცი ათასი მოლაშქრე კიდევ არიანო და ათას ხუთასიც ფალევანები და ასოციც სარდალიო, ეხლა ნება თქვენი ასრულდესო. მაშინ უბძანა: წადი და დიდი იმედი მიეცი ჩემს მაგივრათაო და დიდძალი საჩუქარიც გაუგზავნა. შემდეგ გაბრუნდნენ სასახლეში, საომარი იარაღი მოიხსნეს, სალხინოთ შეიმოსნენ. ამ დროს შუთურ აიარი ასეთის ტანისამოსით მორთულ იყო რომ, მართლაც გასაკვირვებელი იყო, — მამისებურათ ნაჯახი მხარზედ გადო, ქუდი გვერდზედ დაეხურა და ცქვიტის სიარულით იმ თავის საკუთართ ოთხთა ახალ ფალევანთა წინ მოდიოდა.

ხელმწიფეთა და ბანოვანთა რა ესე დაინახეს, გაჰკვირდნენ იმის სიცქვიტეზე და იტყოდნენ: „რომ მოინდომოს ციდამ ვარსკვლავს ჩამოიღებსო“. იმ დროს არდევან შაჰმა თავის ტახტს დაბძანდა და გვერდით ნა-

რიმანი მოისო, იმის ქვეიდან ქუჩუკი დაჯდა, შემდეგ თეთრი დევი, ფარვან დევი, ამათ ქვეით ულხუზ და მაზმურ დევი, მარცხნივ იგი ხუთნი ხელმწიფენი, ესე იგი ისმეილ ხანი, ჭუსეინ ხანი, მაჭმად ხანი ამათთან თურქთა ხელმწიფის შვილები: იბრეიმ ხანი და მეით ხანი, იმათ გვერდით ყულყუნ ჯადო, გარდანქეშანი, ასიმი და სირივანჯა და აგრეთვე ვინც ჯდომის ღირსნი იყვნენ, ყველანი დასხდნენ. შვიდის იყლიმის ხელმწიფე არდევან შაჭას პირდაპირ დასხდნენ აგრეთვე ზორაბშაჭა, ზორაბ დევი; სურხარაბ დევი. იგი ოთხნი ყმაწვილი ფალევნები დედოფლებმა აღარ გაშოუშვეს და ვარდის კონასავით შუაში ჩასვეს და დიდი მეჯლისი გამართეს, ასე რომ ხელმწიფეებმა ცალკე და დედოფლებმა ცალკე მშვენიერი ჩირაღდნები დაიდგეს.

რა ამ შექცევას მორჩნენ, მოედანზე გავიდნენ და ახლა იქ შაექცნენ. შემდეგ ხელმწიფე არდევან შაჭამ პყრობილების მოყვანა ბძანა, საჩქაროდ წავიდნენ მოსაყვანათ, საჭმანმა, ზორაბ შაჭამ, ზორაბ დევმა, ანბირ და ზანგ დევმა. ცოტას ხნის შემდეგ მოიყვანეს პყრობილები, რა მოედანზედ მოასხეს, ვინც რომ შეხედეს, ყველას გულები დაუსკდათ და სთქვეს: ღმერთო, ამოდენა უშველებელი დევების დამარცხება, კაცთაგან ნეტარ როგორ შეიძლებაო!? მიიყვანეს სამნივე და დიდრონ ხეებზედ გააკრეს. რა ბაუბაუ დევმა, ხაზარან დევმა, და შავმა დევმა, ხელმწიფე, ქუჩუკი და იგი ოთხნი გმირნი ფალევანნი და ის ოთხნიც ყმაწვილი ფალევანნი დაინახეს, მაშინ სთქვეს: ნეტარ ამათთანა ძრიელნი და ლომგულნი ფალევანნი კიდენ იქნებიან სადმეო. დევნო, ნახეთ რა გვიყო ჩვენმა ბილწმა რაჯიბმა, როგორ მოგვატყუაო. იმ დროს ქუჩუკი წამოდგა და მივიდა ამ შეპყრობილ დევებთან და უთხრა: ჭეი დევნო, ჩემგან რა შეწუხება ნახეთო? პირველათ შეგიპყარით და ისევ გაგანთავისუფლეთ, თქვენი ქვეყნები, ხაზინები და ლაშქარ-ფალევნები ისევ თქვენვე მოგეცითო და თქვენვე ქვეყანაში გაგისტუმრეთო და დიდი და მართებული პატივიც გეცითო, ახლა რაღა მიზეზი იყოვო რომ, საბაოთ ღმერთი ჭგმეთო და ისევ თქვენსავით ბილწი ეშმაკი ღმერთათ გაიჩინეთო და ჩვენი მუხანათი შეიქმენითო, აბა იმ თქვენმა ეშმაკმა რა შემწეობა მოგცათო, თუ იმ ეშმაკს ძალა ჭქონდეს, ეხლა მაინც გიშველოსთო. იმათ პასუხი ვეღარ მისცეს.

ქუჩუკმა სამსავეს პირში ჩააფურთხა და უთხრა, რადგანაც პატივის ღირსნი არ იყავით, თქვენს მაგივრათ პატივის ცემას სხვები მიიღებენ და თქვენ ზარბაქ დევის გვერდზე დაეკიდებითო.

## აქ ბაუბაუ დევისა, შავი დევისა და ხაზარან დევის გატყავება და გუდათ ამოღება მოისხენიეთ.

მაშინ გარდანქეშანს, ზორაბ შაჰს და საჰმანადამზადს უბძანა: ეს წყეულნი როგორც მიკრულნი არიან, ისრევე გუდებათ დახადეთ, რადგანაც ამათ ჩემ დატყავებას ანბირ და ზანგ დევებს უთვლიდნენ, მაგრამ მე ჩემმა საბაოთ ღმერთმა მიხსნა მაგათის ხელიდანაო; ეხლა მურალმა რაჯიბმა ეგენი დაიხსნასო. თითონ ხელმწიფეები და ბანოვანნი ადგნენ და სასახლეში წამოვიდნენ, მაშინ საჰმანმა, გარდანქეშანმა და ზორაბ დევმა საჩქაროთ დევები მოიშველიეს და სამნივე დაატყავეს, შემდეგ გუდათ ამოიღეს და ბზით გატენეს, მერე ქუჩუკის ბძანებით ერთ ალაგას დაჰკიდეს. ამის შემდეგ ქუჩუკმა უბძანა ფარვან დევს, რამოდენიმე მარმარილოს სვეტების მოტანა, ამათაც საჩქაროთ მესამეს დღესვე მოიტანეს და სამნივე ესე იგი ბაუბაუ დევისა, შავი დევისა და ხაზარან დევის სხეები ერთ პირზე ამოაჭრევინა და მეორე პირზედაც იმ ოთხთა ახალთა ფალევანთა სხეები, ესე იგი ხოსროვშაჰისა, ბეგზადშაჰისა, გორშარაბისა და ბარზინისა, შემდეგ ერთ უცხო ალაგას, ქალაქს შიგან გაამაგრებინა და როგორც საქმეს გაევლო, ყოველიფერი ერთ მარმარილოს ქვაზედ დააწერინა; აგრეთვე იმ ოთხთა ფალევანთა სახელებიც, იმათი მოქმედება და დიდი ომების გარდახდა.

რა ამ საქმიდამ მოიცალეს, შემდეგ მეჯლისი გამართეს და იმხიარულეს. იმ დროს ულხუზ და მაზმურ დევებს უბძანა: თქვენი სამყოფი რომელ მხარეს არისო? მათ მოახსენეს, ფალევანნო ჩვენი სამყოფი შავი ზღვის კუნძულზედ არისო, ჩვენი ბინა და ქალაქებიც იქ არისო, ამასთან დიდი ჯარების და ხაზინების პატრონებიც გახლავართო, ჩვენც რამოდენიმე ასი წელიწადია რაც იქ ვცხოვრობთო. მაშინ ჰაზარი ეგდასტმა და ზარბაქმა ხუთჯერ კაცი გამოგვიგზავნა და შემწეობა გვთხოვაო, მაგრამ ჩვენ უარი უთხარით, ეხლა კი ჩვენის ცოდვის კითხვა იყოვო, რომ ამ ბაუბაუ დევს დავმორჩილდითო, მხოლოთ ეს უნდა მოგახსენოთ რომ, ეშმაკმა გვაცდინაო ჩვენც და ისინიცაო, ეხლა ვხედავთ რომ ჭეშმარიტი ღმერთი თქვენი ღმერთი ყოფილა და დაიწყევლოს რაჯიბის სახელიო. ამასთან კიდევ მოახსენეს: ფალევანო, გთხოვთ ჩვენი შაცოდება ღვთის გულისთვის გვაპატიოთო. მაშინ ქუჩუკმა ბძანა: თქვენი ლაშქარ-ფალევნები, თქვენი ხაზინაც და აგრეთვე თქვენი ქვეყნებიც სულ თქვენთვისვე უკან მომიციაო, მხოლოთ თუ ერთი რამ ურიგობა შაგამჩნიეთ, იცოდეთ თქვენც ბაუბაუ დევივით და თავის ამხანაგებივით დაგსჯიდო. მაშინვე ესენი ალაგზედ დასცვივდნენ, ხელმწიფეს და სააბყირანს მუხლთა აკოცეს და თავიანთ ლაშ-

ქარ-ფალევნებით საბაოთ ღმერთი იწამეს და სრული ერთგულობა ფიცით აღუთქვეს. კიდევ უბძანა, თქვენი თავი და თქვენი ქვეყნები თეთრი დევისათვის ჩამიბარებიათ, ჩვენი შესაფერი სამსახური ამან კარგათ იცისო და რაც გიბძანოთ უნდა აღასრულოთო, ეხლა ყური მიგდეთ: მანამდე მე აქა ვარ და ჩემს წასვლამდე, მე მსურს რომ თქვენ, თქვენსავე ქვეყანაში წახვიდეთ და ყოველთვის თეთრი დევის ბძანების ქვეშ იმყოფებოდეთ და ვინიცობაა ვისგანმე რომ ძალა დაგემართოთ სჩქაროთ გვაცნობეთ. მერე ულხუზ დევმა მოახსენა, სააბუირანო თქვენ და ხელმწიფეებს რა დროს მოგიხდებათ წაბძანება უშანგბათში?—ხელმწიფემ უბძანა, ჯერ კიდევ კარგა ხან ვიქნებით აქაო. მაშინ მივიდნენ ულხუზ და მაზმურ დევნი და ხელმწიფე არდევან შაჰსა, ქუჩუკს, ნარიმანს და როშანბახტს მუხლთა აკოცეს, აგრეთვე ხოსროშირს, ყოვლიბანს, ყათრანს, ბარამჯიბილს და იმ ოთხთა ყმაწვილ ფალევანთა აგრეთვე ყველა დედოფლებს ყველას საერთოთ თავი დაუკრეს, გამოესალმნენ და თავიანთ ლაშქრით გასწიეს.—მრავალ დღე და ღამე იარეს და თავიანთ ქვეყნებში მიაწივეს. აქ თავიანთ ხალხი მოეგებნენ და ამბავს ჰკითხავდნენ. იგინიც როგორც საქმეს გაევლო ყველაფერი უამბეს და სთქვეს: ღმერთო ჩვენო, განა ესეთი მძლავრნი, გმირნი და ყოვლად შეუდარებელნი ფალევანნი დაგიბადებიაო? რომ ამათთანა მძლავრნი დევნი ესრედ დაამარცხეს და დაიმორჩილესო; განა ვინმე მოიფიქრებდა, ბაყბაყ დევისა და იმის ფალევნების დამორჩილებასაო, ანუ ბარყულ ჯადოსთანა ჯადოსაო?—მაშასადამე იმათი ღმერთი ძრიელი ყოფილაო.

რა ამათ ესე ამბავი მოახსენეს, მაშინვე დიდნი თუ პატარანი, მოხუცნი თუ ყრმანი, ერთათ შეიყარნენ და თავიანთ რაჯაბ ეშმაკს შეაფურთხეს და ჭეშმარიტი ღმერთი ცისა და ქვეყნის გამჩენი იწამეს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, ერთათ შეიყარნენ ამათი დიდებულნი, სარდალნი და თვით ულხუზ და მაზმურ დევებიც და დიდი ფეშქაშები შეამზადეს ხელმწიფესათვის და აგრეთვე დედოფლებისათვის და წამოვიდნენ. მრავალი დღე და ღამე იარეს ბოლოს მოვიდნენ ზარბაქ დევის ქალაქში. მაშინვე არდევან შაჰს და ქუჩუკს მოხსენდათ რომ ულხუზ და მაზმურ დევები გიახლათო, სამოცის ათასის დევთა ჯარითაო და სარდალ-ფალევნებითაო. მაშინვე საჭმან და ზორაბ დევები წინ მიეგებნენ და დიდის პატივით შემოიყვანეს. მაშინ რა წამს არდევან შაჰს თვალი მოჰკრეს, მივიდნენ წინ და მუხლთა აკოცეს, აგრეთვე ქუჩუკს, ნარიმანს, როშანბახტს, ყოვლიბანს, ხოსროშირს, ყათრანს და ბარამჯიბილს და იმ უცხოთა ფალევანთა. შემდეგ დედოფალთა თაყვანი სცეს, მერე გაბრუნდნენ და თავიანთ რამდონსამე დევებსა რომლებსაც სინებით თვალ-მარგალიტი ეჭირათ წინ

მოიტანეს და ხელმწიფეებს და სააბყირანს თავს გარდააყარეს, აგრეთვე დედოფლებსაც, შემდეგ ულხუზ გაბრუნდა და დიდძალი ფეშქაშები მოიღო. მერე საერთოთ მიწაზედ დაცვივდნენ და პირ გაერთებით სალამი ჰკადრეს, შემდეგ ეს ფეშქაშები მიართვეს ხელმწიფეებთაგან დაწყობილი ვიდრე სულ-უპრალო ჯარის კაცამდე. ამ დროს ქურუკი გაკვირვებით უყურებდა, იმათ-თაგან იმდენი ფეშქაშების გაცემაზედ. ბოლოს კიდევ თეთრ დევს, ფარვან-დევს, ზორაბ შაჰს, საჰმან ალამზადს ამათაც ყველას მიართვეს, ერთის სიტყვით აღარავინ დარჩა რომ ფეშქაშები არ მიეღოთ. შემდეგ არდევან-შაჰამ და ქურუკ ყარამანმა დიდი მადლობა უბძანეს, გადიწვიეს და თავიანთ ალაგას დასვეს და უცხო მეჯლისი გადაიხადეს. მასუკან მაზმურ დევი მოვიდა და იმ ხუთთა ხელმწიფეთა თითოს ხუთ-ხუთი სალაროს გასაღებები მიართვეს და დიდი მადლობა უბძანეს, შემდეგ ასეთი მეჯლისი გამართეს რომ, თავის დღეში ისეთი მეჯლისი არსად გარდაეხადნათ. რა ლხინისაგან მობეზრდნენ, მერე მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა და ყოვლისა დამამშვენებელმან მზემან ქვეყანას თავისი სხივები მოჰფინა, ისინიც ადგნენ და ისევ ერთად შეიყარნენ, მაშინ ქურუკმა თავის ერთგულს მანთუზ დევს უბძანა: ჰეი მაღრიბის ხელმწიფეო მანთუზ დევო, შენ ეხლავე წადი და შენი სახელმწიფო მოწესრიგებული დაგვახვედრეო, ჩვენც ავიყრებით და მოვალთ; სამი დღე შენი სტუმარი ვიქნებით. რა მანთუზ დევი გაისტუმრა, მერე ყულუყ ჯადოს უბძანა: ყულუყ ჯადოვ, შენც შენს ქვეყნებს მიეპატრონეო; დიდად მადლობელი ვართ შენის ერთგულებისათვის და ჭეშმარიტი ღვთის პატივის ცემისათვის; ბარუყ ჯადოს სახელმწიფოც შენთვის მიბოძებია. ამასთან სხვა ბევრი საუნჯეებიც უფეშქაშა, ისე რომ წაღებაც უძნელდებოდა. შემდეგ კიდევ უბძანა: ყოველივე შენი საიდუმლო სულ ფარვან დევს აცნობეო და იმის ბძანების ქვეშ უნდა იყოვო. მერე ის ოთხნი ახალი ფალევანნი ესე იგი ხოსროვშაჰს, ბეგზადშაჰს, გორშარაბს და ბარზინს უბძანეს ქურუკმა და არდევან შაჰამ: თქვენ მშვენიერნო, ახალნო და გმირნო ფალევანნო! თქვენის მხნეობისათვის გვიბოძებია; ხაზარან დევისა, შავი დევისა, არჯავ დევისა და საყანჩუნ დევის საბძანებლებითო და ყოველის თავისის ხაზინებითაო,—აგრეთვე ჩემს საბძანებელშიაც რომელიც უცხო ქალაქებია, თქვენთვის მიბოძებიაო. რა ამათ ესე ისმინეს, მაშინვე მივიდნენ და მეფეს მუხლთ აკოცეს, შემდეგ ხელმწიფემ ულხუზს და მაზმურ დევებს დიდი მადლობა უბძანა და ისინიც თავიანთ ქვეყნებში გაისტუმრა ამ დარიგებით: ყოველივე თქვენი რჩევა თეთრს დევს უნდა ჰკითხოთო. შემდეგ თეთრს დევს დაავალა: შენ იცი და ფარვან დევმაო, როგორც გაუფრთხილდებითო

ამათ მხარესაო და აგრეთვე ამ ახალთა ფალევანთა, თავიანთ ქვეყნების ესე იგი შავის დევისა, ხაზარან დევისა, არჟავ დევისა და საყანჩუნ დევის ქვეყნებს ამსახურებთო. რა ამასაც მორჩნენ, შემდეგ უბძანა საჭმანს და გარდანქეშანს, სახვალიოთ მზათ იყავით, რომ უნდა მაღრიბში მივიდეთ, მერე ანბირ და ზანგ დევი დაიბარა, მრავალი საჩუქარი უბოძა; იმ ღამესაც უცხოთ შექცნენ და რა დილა გათენდა, მაშინვე ბაუბაუ დევისა, შავი დევისა და ხაზარან დევის ტყავები ერთ უშველებელს ტახტზედ დააურვინა და წინაწინ მაღრიბში გაისტუმრა და თითონაც აიყარნენ და დიდის ყოფით მაღრიბში შაუძღვა და სასახლეში ჩამოხდნენ, სამი დღე და ღამე იქაც უცხო ლხინი გარდაიხადეს, შემდეგ არდევან შაჭამ არჟავ დევის და საყანჩუნ დევის მოყვანა ბძანა. მაშინვე შეკრული მოიყვანეს, ხელმწიფემ ამათ აღარ ალაპარაკა, უბძანა და ისინიც მაშინვე გაატყავეს შემდეგ იქავ მაღრიბში ერთ საჩენ ალაგას ჩამოაკიდინა და ყოველივე ფერი როგორც მომხდარ იყო, ერთ მარმარილოზედ დააწერინა და ისიც იმათთან მიწაში ჩაასმევინა. რა აქაურობაც მორჩა, მერე თეთრი დევის ქალაქში წავიდნენ, ერთი კვირაც იქ უცხოთ შეექცნენ. მერე დიდის ფეშქაშებით გამოისტუმრა თეთრმა დევმა და თითონაც თან გამოჰყვა. ახლა მოვიდნენ ინდოეთში, ამათ მოეგებნენ მრავალნი დიდებულნი და მოქალაქენი და დიდის ყოფით მოიწვიეს, ერთი სიტყვით, ერთი წელიწადიც იქიდამ რუიზანმა და როვშანბახტმა აღარ გაუშვეს. ამ დროს ქურუკმა ბარყულ ჯადოს მოყვანა ბძანა, ესეც მოიყვანეს შეკრული, შემდეგ უთხრა: შე ბილწო, რა ნახე ჩვენგან ნაკლებულობა? რომ, ჩვენი დამბადებელი ღმერთი ჰგმეო და ხელ მეორეთ ეშმაკს თაყვანი ეციო. მაშინ ფარვანს უბძანა ამის სამართალიც შენ გადასჭერიო. ფარვანმა ერთი მაგარი ყუთი მოაღებინა, შიგ ჩაავდო და სულ ლურსმით მოჭედა, მერე ერთ მაღალ მთაში აატანინა და იქიდან დააგორა, რაღაც შაუღოცა და მერე ცეცხლი მოედო, ასე რომ თან იწვოდა, თან მიგორამდა, ერთიც რაღაც შეუღოცა, ინდოეთის ქალაქში ჩამოგორდა და ერთს ალაგას დადგა, მერე გავიდნენ და ნახეს რომ, ასე დამწვარ იყო რომ, სულ ნაცრათ გარდაქცეულ იყო. მაშინ დიდათ აქეს ფარვან დევის ხელოვნება, მერე გაბრუნდნენ და როვშანბახტის სასახლეში შევიდნენ და უცხო მეჯლისი გამართეს და კარგათ შეექცნენ.

ერთსა დღეს ინდოეთის სახელმწიფო მოედანზე კარვები დაადგმევინეს და სუყველანი ერთიანათ შვიდის იყლიმის ხელმწიფე არდევან შაჭამ, დედოფალი შაჭნაზლუხტ, ამათთან საამყირანი, ნარიმანი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყაორანი, ბარამჯიბილი, ამათთან იგი ოთხნი ახალი ფალევნები და იგი ხუთნი ხელმწიფენი, ისმეილ ხანი და მაჰმად ხანი, ამათთან კიდევ

თურქმანის ხელმწიფის შვილები; იბრეიმ ხანი და მეით ხანი, თეთრი დევი, ზორაბ შაჰა, როვშანბახტი, ფარვან დევი, საჰმან ადამზადი თავისი ათორმეტი ამხანაგებით, ანგიყალის სულთანი, სურხარავ დევი, ანყაბუზ, გარდანქეშან აიარი, ასიმ, სიროვანჯა, ერთის სიტყვით ვინც რომ იყვნენ, ხელმწიფენი თავიანთის სარდლებით და აგრეთვე დედოფლები და დიდებულნი და მათი ცოლები, სულ იმ მოედანზე შეიყარნენ და საკვირველი ლხინი გარდაიხადეს, რა ლხინი გაათავეს, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ. ამის შემდეგ ხან გავიდოდნენ ნადირობდნენ, მერე შემობრუნდებოდნენ ყაბახს ესროდნენ; ამათში თითქმის ორი წელიწადი გაიარა რაც ინდოეთში როვშანბახტთან და რუიზანთან შექცევოდნენ, რა ორი წელიწადი შესრულდა, მაშინ არდევან შაჰამ როვშანბახტს და რუიზანს დიდი მადლობა უბძანა და უთხრა ეხლა კი დრო არისო ინდოეთის ხელმწიფეო, ჩვენის წასვლისაო. მაშინ წამოდგა წინ რუიზანი და მოახსენა: შვიდის იყლიმის ხელმწიფეო; გთხოვთ რომ ერთი წელიწადიც აქ ბძანდებოდეთო, ერთათ დროება გავატაროთო. მაშინ უბძანა, დედოფალო ინდოეთისავ, მეხუთე წელიწადია რაც ჩვენს სახელმწიფოს მოვშორებულვართო და მეტი დგომა აღარ შაგვიძლიანო და გთხოვთ რომ თქვენდა როვშანიც თქვენის სარდალფალევნებით ჩვენსკენ წამობძანდეთო. ამათ ლაპარაკში შუთურ აიარი იქ იდგა და მოახსენა, ხელმწიფეო შვიდის იყლიმისავ, დედოფალმა იმისთვის გთხოვათ, ერთი წელიწადი ინდოეთში ყოფნა რომ, კარგათ იცოდა თქვენ არ ინებებდით და ამათ, თქვენ სახელმწიფოში გაიწვევდითო, მიზეზი ეს იყო რომ რაც თქვენზედ და ამოდენა ხელმწიფეებზედ ხარჯი მოუვიდათ, უნდა გადაეხდევინოთო. ამ შუთურის სიტყვაზედ მრავალი იცინეს და დიდი საჩუქარიც აღუთქვეს. რა ეს ლაპარაკიც გაათავდა, მაშინ საჰმანს, ზორაბ დევს და გარდანქეშანს უბძანეს: ამ ორიოდ დღესა ყოველივე მომზადება მზათ იყოსო, რასაკვირველია რომ, იმათაც ყოველივე ბძანება აასრულეს. ორი დღის განმავლობაში როვშანბახტი ასეთის საჩუქრებით მოემზადა რომ, ენა ვერ იტყვის; ხელმწიფეებისა ცალკე, დედოფლებისა ცალკე, ფალევნებისა ცალკე, ასე რომ უსაჩუქროთ აღარავინ დასტოვეს. რა თქმა უნდა ამისთანა სიუხვისთვის ყველამ დიდი მადლობა გადაუხადეს. შემდეგ ერთი ჩქარი მავალი ფაიკი ბურჯვეზირს გაუგზავნეს და თავიანთი მისვლა აცნობეს. რა ბურჯვეზირმა იმათი მოსვლა შეიტყო, მახარობელს მრავალი აჩუქა, მერე გვერდით მოისო და იქაური ამბავი ჰკითხა, —ამანაც მოუყვა და ყოველივე ამბავი სრულად მოახსენა, ესე იგი როგორც მოხდარიყო. მაშინ დაიჩოქა ბურჯვეზირმა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და თითონაც ყოველივე თავისი მიბარებული სახელმწიფოები; ესე

იგი უშანგბათი, ყარამანია ქალაქი, ქაბული, მშვენივრათ მოართვევინა და კარგათ მოამზადა და თითოს საჴელმწიფოდან ათი ათასი უცხო დიდებულნი თავიანთ შვილებით, ერთის სიტყვით საერთოთ, ოცდა ათი ათასი კაცით და დიდის ამბით წინ მოსაგებავათ წამოვიდნენ.

## ესე ბურჯვეზირი ამ წამოსვლაში და მომავლობაში დაუტეოთ და ისევ ჴელმწიფეებთან მოვიდეთ.

რა ჴელმწიფეებმა ინდოეთშიაც საქმეს მორჩნენ, — საჩქაროთ მეორეს დღეს აიყარნენ და წამოვიდნენ, ესე იარეს მრავალი დღე და ღამე ბოლოს უშანგბათში მოახლოვდნენ, შეხედეს ნახეს რომ; დიდი ძალი ჯარები მოდის, მაშინვე შუთურ აიარი წავიდა ამბვის შესატყობათ. რა მიუახლოვდა მაშინვე იცნა რომ ბურჯვეზირი იყო, მივიდა და ბურჯვეზირს ჴელზედ აკოცა, ბურჯვეზირმაც პირსა აკოცა და უბძანა, შუთურ აიარო! მშვიდობა შენი ნახვათ! შემდეგ ჰკითხა, ჴელმწიფეები შორს არიანო? შუთურ აიარმა მოახსენა, ვეზირო შვილის იელიმისაო, ერთ მანზილზედ არიანო; ეს სთქვა და საჩქაროთ გამოეთხოვა; ჩქარის ფეხით წამოვიდა და ჴელმწიფეებს მოახსენა: ჴელმწიფენო და ფალევანნო, ბურჯვეზირი ოცდა ათის ათასის დიდებულითა და დიდებულთა შვილებით თქვენთან გიახლებათო. რა ესე მოისმინეს, მაშინვე გარდასტნეს და კარავები დასცეს. მაშინ ბურჯვეზირიც მოუახლოვდა და რა შეხედა რომ ისინი იყვნენ, საჩქაროთ გადმოხტა ცხენიდამ და ქვეითათ წამოვიდა. რა შვილის იელიმის ჴელმწიფემ და ქურ-უგ ყარამანმა ბურჯვეზირი დაქვეითებული ნახეს, თითონაც ჩაქარდნენ და სულ ერთათ ჴელმწიფეები წინ მიეგებნენ, მაშინვე გაექანა ბურჯვეზირი და დაემხო, შემდეგ მოახსენა: მე არავღირსვარ ჴელმწიფენო, თქვენგან ჩემზედ მაგდენს გარჯასაო და მუხლზედ კოცნა უნდოდა, მაგრამ როგორც მამა ისრე მოეხვივნენ და დაჰკოცნეს, აგრეთვე დედოფლები მოეხვივნენ და ჴელზედ ჰკოცნიდცენ. მაშინ იმ ჴუთთა ჴელმწიფეთა იკითხეს, ეს მოხუცი ვინ არისო, რომ ესეთი პატივის ცემით ჴელმწიფეებმა მიიღესო? მაშინ გარდანქეშანმა მოახსენა, ჴელმწიფენო, ეს არის დიდის ჴელმწიფის უშანგის პირველი ვეზირიო — დიდი ჭკვიანი კაციც არის. მაშინ ეს ჴუთნი ჴელმწიფენიც მივიდნენ წინ და ბურჯვეზირს თავი დაუკრეს და მოახსენეს: შვილის იელიმის ვეზირო, მშვიდობა თქვენი ნახვაო, და ღირსი ხარ ჴელმწიფეებთაგან პატივის ცემისაო. მაშინ თუმცა ბურჯვეზირი

ვერ იცნობდა, მაგრამ შეხედა, ნახა რომ, ხელმწიფეთა მსგავსნი იყვნენ, ამიტომაც როგორც ეკადრებოდათ ისრეთ მადლობა გარდაუხადა. იმ დროს ის ოთხნი გმირნი ახალნი ფალევანნიც მოვიდნენ და ბურჯვეზირს შამოეხვივნენ და ხელზედ ჰკოცნიდნენ, მაშინ ბურჯვეზირმა ოთხივეს უურება დაუწყო და სთქვა, მადლობა შენ დამბადებელო, ცისა და ქვეყნისაო! რომ ეს ყმაწვილები ასეთი გმირნი და ფალევნათ დაჰბადეთ, გმადლობ შენ უფალო, რომ ამას იქით ადამის შვილს, ესე იგი შვიდი იყლიმის ხელმწიფეს არდევან შაჰს და მის სახელმწიფოს აღარა უჭირთო და აგრეთვე ყარამანის ჩამომავლობასაო. ეს სთქვა და ოთხთავეს შუბლზედ აკოცა, დალოცა და თითო თეფში მარგალიტი გარდააყარა, მერე გამობრუნდა და ხელმწიფეები იხილა და ამ ყმაწვილების ქება ბევრ რიგად წარმოსთქვა და მოახსენა: შვიდის იყლიმის საბუირანო, როგორც ჩემს სტროლაბში ჩნდა, სწორეთ ისეთები არიანო თუ არა? მაშინ ქუჩუკმა მოახსენა, ვეზირო მე ისე ვგონებ რომ, ქვეყნის დასასრულამდე ამათთანა ფალევანნი ადამის თესლისა აღარავინ გამოჩნდესო და არც დაიბადოსო. შემდეგ მოჰყვა და რაც გარდახდოდათ იმ ოთხთა ყმაწვილ ფალევანთა, სულ სრულებით მოახსენა.

რა ქუჩუკმა დაასრულა თავის მოხსენება, ბურჯვეზირი წამოდგა, ჯერ მივიდა ხელმწიფე არდევან შაჰს მიულოცა, შემდეგის სიტყვებით: „ხელმწიფეო, მე დღეს მოხარული ვარ, რომ თქვენ და თქვენს ტახტს მაღალმა ღმერთმა ინება და გიბოძათ თქვენის შესაფერისი ფალევანნიო“. დიდი მადლობა უბძანა ამაზედ ხელმწიფემ, შემდეგ მოუბრუნდა და უფროს ფალევნებს მოახსენა, ესე იგი ყოვლიბანს, ხოსროვშირს, ყათრანს და ბარამჯიბილს, შემდეგის სიტყვებით: ფალევანნო! მომილოცავს თქვენი ბედნიერებაო, რომ ამისთანა ძრიელნი და სახელოვანნი შვილები გებოძათ, ღვთისაგანო. ამათაც დიდი მადლობა გადაუხადეს. შემდეგ ესე დიდის ამბვით შევიდნენ კარავში და უცხო მეჯლისი გამართეს; სწორეთ ერთი კვირა იმ ადგილს ილხინეს, შემდეგ რა ლხინს მობეზრდნენ, აიყარნენ და დიდის ყოფით და ნელის სიარულით წამოვიდნენ.

რა უშანგბათს მოახლოვდნენ, მაშინ უშანგბათის დიდებულნი და მოქალაქენი დიდის ყოფით მოეგებნენ და მრავალი თვალ-მარგალიტი გარდააყარეს, შემდეგ გაუძღვნენ წინ და დიდის დიდებით ქალაქში შებძანდნენ. რა თქმა უნდა, ბურჯვეზირს უცხოთ მოერთო ქალაქი და უცხო ჩირაღდანებიც აენთებინა და სხვა ბევრი სათამაშოებიც გაემართათ. რა შევიდნენ არდევან შაჰს სასახლეში, მაშინვე უცხო მეჯლისი გამართეს და ეს უცხო მშვენიერნი ხელმწიფენი, ფალევანნი და დიდებულნი კარგათ შაექცნენ, რა ლხინით მობეზრდნენ, მაშინ კარში გამოვიდნენ; ხან სანადიროთ წავიდოდ-

ნენ, ხან ყაბახს ესროდნენ, ხან ბურთაობდნენ.

ამის შემდეგ ქურუკ ყარამანმა მოახსენა, შვიდის იყლიმის ხელმწიფეო, ამ ბაყბაყ დევის ტყავისას რას ბძანებთო? — მინდა რომ, ამ უშანგბათის მომავალ გზაზედ, ერთი დიდი მინარა აღვაშენებინო და იქ ჩამოვკიდოვო, შავი დევის და ხაზარან დევის ტყავიც, ყარამანია ქალაქის შესავალს კარებშიო. მაშინ არდევან შაჭამ უბძანა: „თვალთა ჩემთა ნათელო ქურუკ! როგორც შენი ნება იყოს, ისრე აღასრულეო და ეგრეც უცხო იქნებაო.

რა ქურუკმა ნება მიიღო ხელმწიფისაგან, საჩქაროდ ერთი მინარა აღაშენებინა უშანგბათის კარებთან, მოსავლელ გზაში დაადგმევინა და ერთიც ყარამანია ქალაქის კარებთან. მაშინ ქაბულის და ყარამანია ქალაქების დიდებულნი და მცირებულნი, ვისაც კი ფეხზედ სიარული შეეძლო, სულ უშანგბათში იყვნენ შეყრილნი. რა ის მინარა დაასრულეს და ბაყბაყ დევის ტყავი გაიტანეს და ჩამოჰკიდეს, რა ამ ხალხთა ნახეს, დიდათ და დიდათ უკვირდათ, იმისთანა ბილწის შეპყრობა, ამ ყმაწვილ ფალევანთაგან და დიდ ქებას შეასხამდნენ. ასე ეგონათ რომ ერთი დიდი მთა მოუგლეჯიათო და ამ მინარაზედ ჩამოუკიდნიათო. მაშინ ერთი უცხო მარმარილოს სვეტიც სხვა მოაღებინა და ყოველივე გარემოებაც ზედ დააწერინა, შემდეგ გამობრუნდნენ და ყარამანია ქალაქში მივიდნენ, იქაც მინარა მზათ დახვდათ და შავი დევის და ხაზარან დევის ტყავებიც იქ ჩამოჰკიდეს და ყოველივე გავლილი საქმეებიც ერთ მარმმრილოს ქვაზედ დააწერეს და ისიც იქ გაამაგრეს, შემდეგ გამობრუნდნენ და უშანგბათშივე მოვიდნენ. მაშინ სუყველანი ერთათ შეიყარნენ: ხელმწიფენი, დიდებულნი და ფალევანნი და უცხო მეჯლისი გარდაიხადეს, მერე იგი ხუთნი ხელმწიფენი იხმეს, ისინიც წამოდგნენ და მოწიწებით დადგნენ. მაშინ არდევან შაჭამ უბძანა: ხელმწიფენნო! არა მცირე შეცოდებანი გაქვსთო რომ შვიდის იყლიმის სახელმწიფოს სარდალ-ფალევანნი მეორეთ თქვენის მიზეზით დიდს შეჭირვებაში შეიყვანეთო და თქვენის მიზეზით რამდენი სისხლი დაიღვარაო და რამდენი უცხო ფალევანნი დამეხოცნენო, მაგრამ თქვენის ყმაწვილ კაცობისათვის მიპატიებიაო ამასთან უცხო ფალევანნიც და ხელმწიფენიც ხართო, ამიტომ ცოდვა არის რომ, თქვენისთანა ყრმა და მშვენიერნი ხელმწიფენი უდროოთ დაიხოცნენო, ამას იქით მე გიბძანებთ რომ, იმ მაცდურს ორსავე სოფლისას, აღარ აჰყვეთო და წმინდის გულით ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი შეიყვაროთო და უკვე თუ კიდევ შეგამჩნიეთ რაიმე მუხანათობა, მაშინ სიკვდილის მეტი ვეღარა გიხსნისთრაო. იცოდეთ, მაშინვე ხუთნივ ერთათ დაემხნენ, მუხლთ აკოცეს და საშინელის ფიცით ერთგულობა აღუთქვეს. ხელმწიფემ მაშინ უბძანა: თქვენი ქვეყნები ისევ თქვენთვის მი-

ბოძებიაო,—ამასთან დიდი ძალი საჩუქარიც უბოძა. მაშინ წამოდგნენ და ხელმწიფე არდევან შაჰს, ქუჩუკ ყარამანს, ნარიმან ხელმწიფეს, ყოვლიბანს, ხოსროშირს, ყათრანს, ბარამჯიბილს და იმ ოთხთა მშვენიერთა ახალ ფალევანთა, აგრეთვე დედოფლებს მდაბლათ თავი დაუკრეს, დიდი მადლობა გადაუხადეს და ისე გამოეთხოვნენ.

რა ესენი თავიანთ ქვეყანაში მივიდნენ, მაშინვე წინ მოეგებნენ თავიანთ დიდებულნი და დიდის პატივით შევიდნენ თავიანთ ქალაქებში, შემდეგ უამბეს თავიანთ წარსული და თავგარდასავალი, ყველამ ძალიან გაიკვირვეს და ღმერთს მადლობა შესწირეს მათი გადარჩენისთვის. შემდეგ დასწყევლეს თავიანთ მაცდური ეშმაკი და ყველა იმათ საბძანებელის ხალხმა საერთოთ ირწმუნეს ყოვლად შემძლებელი ღმერთი.

რა ეს ხუთნი ხელმწიფენი დაბინავდნენ თავთავიანთ ალაგებში, მაშინვე ამოარჩიეს თავიანთ საუკეთესო და გამოჩენილი ვეზირები და დიდის ფეშქაშებით გაგზავნეს უშანგბათში. რა ესენი მივიდნენ ქალაქში, ნახეს რომ, ეს ხელმწიფენი და ფალევანნი ისევ ერთათ იყვნენ და საუბრობდნენ. კარის კაცებმა რა იმ ხუთთა ხელმწიფეთა ვეზირები იხილეს, მოვიდნენ და არდევან შაჰს მოახსენეს: ხელმწიფეების ვეზირნი გიახლნენო ასის ათასის კაცითაო. მაშინვე ფარავანი, საჰმანი და გარდანქეშანი მიაგებეს წინ და დიდის პატივით შემოიყვანეს, ხუთნივ ვეზირნი მივიდნენ და არდევან შაჰს მუხლითა აკოცეს, აგრეთვე სააბყირანს და ერთობრივ ხელმწიფეებს და სარდლებს. ამათ მაშინვე დასხდომა უბძანეს. ცოტას ხანს შემდეგ წამოდგნენ, წიგნები ამოიღეს და ხელმწიფეებს მიართვეს, ამასთან ყველას თავთავიანთ შესაფერი ფეშქაშებიც მიართვეს, დედოფლეფსაც ცალკე და აგრეთვე იმ ოთხთა ახალთა ფალევანთა უცხო და საკვირველი ფეშქაშები მოართვეს, აგრეთვე ამასთან, თავიანთ ქვეყნებში რომელიც საუკეთესო ქალაქები იყო, თითო ქალაქიც მოართვეს. რა თქმა უნდა, ამათაც დიდი მადლობა შეუთვალეს. მერე ეს ვეზირებიც ამათაც თავიანთის მხრით ფეშქაშებით თავიანთ ხელმწიფეებთან გაისტუმრეს. რა ამასაც მორჩნენ, მაშინ საერთოთ უცხო მეჯლისი გარდაიხადეს და ეს მშვენიერნი ამხანაგნი და ხელმწიფენი თავიანთს ქვეყნებში წავიდნენ, ესე იგი ნარიმან ქაბულში წავიდა, ყოვლიბანი თავისი შვილი ბეგზადშაჰითა თავის სახელმწიფოში წავიდა, ხოსროშირი თავისი შვილი ხოსროშაჰითა თავის სახელმწიფოში წავიდნენ, ყათრანი თავისი შვილი გორშარაბით ქიშმირში წავიდნენ, და ბარამჯიბილი თავისი შვილი ბარზინით ფერიისტანში წავიდნენ, სარვიხურამანი ყარამანის ქალაქში წავიდა, როშანბახტი და რუიზანი ინდოეთში წავიდნენ, ფარვან დევი, საჰმანადამზადი, თავიანთ ამხანაგებით და ამათთან

სურხარავ დევი, ანუაბუზ დევი, ზორაბ დევი, ზორაბ შაჰა, კოჭლი დევი და გარდანქეშანი თავისის შვილით შუთურ აიარით, ამათთან ასიმი და სიროვანჯა, ესენიც ყველანი თავთავის ქვეყნებში წავიდნენ. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ მკითხველთ რომ, ყველა ესენი, უერთმანერთოთ დიდხანს ვერ სძლებდნენ და კიდევ ერთათ ხშირათ შეიყრებოდნენ, ერთმანერთის სიყვარულით სტკბებოდნენ და ისევე სიყვარულით გაიყრებოდნენ ხოლმე.

---

ქუჩუკ ყარამანის და არდევან შაჰას მოთხრობაც ასე დასრულდა. ეხლა დაიწყობა სხვა უფრო და უფრო კარგი საამური და სახალისო ამბავები: ქუჩუკისა და მისი შვილისა, და რადგანაც ქუჩუკის შვილი ამ მოთხრობის შემდეგ იბადება, ამიტომაც გვაქვს პატივი, ვაცნობოთ ჩვენს პატივცემულს მკითხველებს, რომ მისი ამბავი შემდეგ ნაწილში იქნება დაბეჭდილი.

დ. ლ.

---

## შეცდომის გასწორება:

წიგნის კანის პირველ გვერდზე, სურათის ქვეშ დაბეჭდილია—ქუჩუკისა, უნდა იყოს—ყათრანისა.